გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“


# ქართული სიტყვა

№30 (294)

ფასი 1 ლარი

29 ივლისი 4 აგვისტო 2015 წ.

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

## ვინ არის მაღალჩინოსანი, რომელმაც გარდაცვლილი ადმირალი გაძარცვა



მე-2-3 გვ.

*„— ადმირალმა ასეთი რა იცოდა?*

— ზურა ირემაძე უმართავი ადამიანი იყო, ანუ თვლიდა, რომ თუ ქვეყნისთვის საჭირო იყო, ხელისუფლებასაც დაუპირისპირდებოდა.

*— ეს გასაგებია, მაგრამ იარაღის ტრაფიკთან რა შეხება ჰქონდა?*

— ზღვა...

*— ანუ, ვიღაცას უკანონო იარაღის ზღვით შემოტანა უნდოდა და ამაზე ირემაძემ უარი თქვა?*

— ალბათ... ისევ იარაღის თემას ვუბრუნდები: დაკარგული იყო, უცებ გამოჩნდა და მაინტერესებს, ამ ხნის განმავლობაში იარაღი ვის ჰქონდა?.. პირადი კონტაქტებით ბევრი რამე გავარკვიე...“

## უკრაინაში მებრძოლი ქართველი ვეტერანი „ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ ემუქრება!



მე-2-3 გვ.

„მაქვს ინფორმაცია, რომ ვეტერანი მარტიაშვილი, რომელიც უკრაინაში ერთ-ერთ ბატალიონს ხელმძღვანელობს, მხოლოდ „ოცნებას“ კი არა, რამდენადაც უნდა გაგიკვირდეთ, „ნაცმოძრაობასაც“ ემუქრება, ჩამოვალ და ნახავთ, რას ვიზამო... ვიღაცა საქართველოში დესტრუქციის მოწყობას გეგმავს... სხვათა შორის, მაკკეინის ფრთის წარმომადგენელმა, ერთ-ერთმა ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ განაცხადა, უახლოეს პერიოდში მარიუპოლის მიმართულებით რუსული ძალების გააქტიურებაა მოსალოდნელიო.. არ ვიცი, მოვლენები როგორ განვითარდება, მაგრამ ქართველი მებრძოლები, რომლებიც წინა ხაზზე დგანან, შეიძლება, სამშობლოში გაღიზიანებულნი დაბრუნდნენ, რასაც არავინ იცის, რა მოჰყვება.“

## დენის გაძვირებაში ნოღაიდელ-მერაბიშვილის ინტერესები იკვეთება?!



მე-8-9 გვ.





### ქართული ენერგომაფიის ანატომია — ენერგეტიკოსი თემურ ჭიჭინაძე ამხელს

## გზა ჭაობისაკენ

### ტუალეტის ქაღალდზე დაწერილი დღიური

მე-16-17 გვ.

## მათხოვარ ბავშვებს პროსტიტუციას აიძულებენ?!



მე-15 გვ.

### ბოშათა ბანდა — მოზარდთა ექსპლუატაციის შემზარავი ფაქტები

## „ყაზტრანსგაზის“ ყველა აბონენტი საფრთხეშია!“



მე-12-13 გვ.

### გლდანში მომხდარი აფეთქების უცნობი დეტალები — მოსახლეობა ექსპერტიზის დასკვნის გასაჯაროებას ითხოვს!

„ეს პოლიეთილენის ალუმინნარევი მილია, რომელიც ჩვეულებრივ, ერთი ჩხვლეტით იხვრიტება და ამ მილით მთელ თბილისსა და საქართველოს რეგიონში გაზი გაჰყავთ. ქარხნის სერთიფიკატში მითითებულია, რომ აღნიშნული მილი მხოლოდ ცივი და ცხელი წყლისთვის გამოიყენება, გაზისთვის გამოყენება კი, კატეგორიულადაა აკრძალული. ამ მილებს თურქული ქარხანა „ფირატი“ აწარმოებს, რომლის ქარხნული სერთიფიკატი „საქსტანდარტმა“ გადათარგმნა და გააყალბა. ვინც ეს გააკეთა, „ნაცმოძრაობის“ მსხვილი დამფინანსებელი ფირმა „ჩაკფრია“.

## ვინ აკონტროლებს „ტაჩკების“ ბიზნესს

მე-15 გვ.

ქართული სიტყვა
ლიტერატურა. მეცნიერება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

# ვინ არის მაღალჩინოსანი, რომელმაც გარდაცვლილი ადმირალი გაძარცვა?

**„მაქვს ინფორმაცია, რომ ვეტერანი მარტიაშვილი, რომელიც უკრაინაში ერთ-ერთ ბატალიონს ხელმძღვანელობს, მხოლოდ „ოცნებას“ კი არა, რამდენადაც უნდა გაგიკვირდეთ, „ნაცმოძრაობასაც“ ემუქრება, ჩამოვალ და ნახავთ, რას ვიზამო. მუქარის მოტივაცია ჩემი კი არა, უშიშროების გასარკვევია და, დროა, დაზვერვამ და კონტრდაზვერვამ ინფორმაციის ლეგალურ და არალეგალურ წყაროებზეც იმუშაონ. ფაქტია, ვიღაცა საქართველოში დესტრუქციის მოწყობას გეგმავს... სხვათა შორის, მაკკეინის ფრთის წარმომადგენელმა, ერთ-ერთმა ამერიკულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ განაცხადა, უახლოეს პერიოდში მარიუპოლის მიმართულებით რუსული ძალების გააქტიურებაა მოსალოდნელიო, ანუ ამერიკელები ფიქრობენ, რომ რუსეთი ყირიმისკენ სახმელეთო გზის გაჭრას შეეცდება. იქვეა ოდესის ოლქი, რომლის ჩრდილოეთი ნაწილიც რუსებითაა დასახლებული. ამასთან, ოდესის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილია. არ ვიცი, მოვლენები როგორ განვითარდება, მაგრამ ქართველი მებრძოლები, რომლებიც წინა ხაზზე დგანან, შეიძლება, სამშობლოში გაღიზიანებულნი დაბრუნდნენ, რასაც არავინ იცის, რა მოჰყვება“, — ასე დაიწყო „ქართული სიტყვის“ სკანდალური ექსკლუზივის 74-ე ინტერვიუ უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკმა, უსაფრთხოების ექსპერტმა კონსტანტინე ფორჩხიძემ, რომელიც ახალი სახელმწიფო სამსახურის — სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინიციატივით გამოდის. ამასთან, ფორჩხიძე ათი წლის წინ გაურკვეველ ვითარებაში გადაცვლილი ადმირალის, ზურაბ ირემაძის საქმესაც ეხება და კიდევ ერთხელ ეჭვობს, რომ მისი მეგობარი ადმირალი იარაღის უკანონო ბიზნესს შეეწირა.**

**— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ შს მინისტრის კანდიდატურის დასახელება თითქოს ჭიანურდება. თქვენც ასე გეჩვენებათ, ბატონო კოტე?**

— ვანო, თუ გახსოვთ, ადრეც გამოვთქვი ვარაუდი, რომ შს ახალი მინისტრი „რესპუბლიკელი“ იქნება-მეთქი, მაგრამ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რაც დღეს, რეალურად, არსებობს, შს მინისტრის კანდიდატურა შეიძლება, „რესპუბლიკელებსა“ და პარტია „ქართულ ოცნებას“ შორის შიდა კულუარული გადანაწილების, ასე ვთქვათ, საკითხი იყოს. საერთოდ, ხელისუფლებას ის აკონტროლებს, ვინც ძალოვან უწყებებს სრულად ფლობს. ამიტომ, თუკი გავაანალიზებთ, ძალოვანი სტრუქტურების გადანაწილება როგორ ხდება და ყველაფერ ამას სექტორებად დავყოფთ, ისეთ სურათს მივიღებთ, რომ პარტია „ქართული ოცნება“, პრაქტიკულად, ძალოვანი უწყების გარეშე რჩება. ამიტომ, ის ბოლომდე იბრძოლებს, რომ შს მინისტრად საკუთარი კანდიდატურა გაიყვანოს...

**— მედიაში აქტიურად ამბობენ, რომ ამ პოსტს ანზორ ჩუბინიძე დაიკავებს...**

— არ მგონია, რომ ანზორი ამ თანამდებობას დასთანხმდეს.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ანზორ ჩუბინიძე თავისი დარგის, ანუ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის პროფესიონალია და ამ პოზიციაზე ქვეყნისთვის უფრო მეტი სარგებლის მომტანია. ბიძინა ივანიშვილის დაცვის ერთი ყოფილი კადრი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი გახდა და ეს, პრაქტიკულად, იმას ნიშნავს, რომ გადანაწილების პროცესი შს მინისტრის დანიშვნით დასრულდება და ეს იმის ნიშანიც იქნება, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში პარტია „ქართული ოცნება“, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, წარმოდგენილი არ იქნება.

**— ეს დამალულიც არაა და ხელისუფლების ყველა რგოლის წარმომადგენელი ღიად ამბობს, რომ კოალიცია შესაძლოა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიშალოს და მანამდე საფრთხე არ ემუქრება...**

— მეც მაგას ვამბობ, რომ კოალიცია ორი სეგმენტით — „რესპუბლიკელებითა“ და პარტია „ქართული ოცნებით“ შენარჩუნდება.

**— ჩვენთვის რომ ვთქვათ, კოალიციაში სხვა მსხვილი პოლიტიკური მოთამაშე არავინაა... ასეა თუ ისე, კოტე ბატონო, ისეთი პირი უჩანს, რომ შემოდგომა აშკარად მძიმე იქნება და დენის გაზრდილი ტარიფი კიდევ უფრო დაამძიმებს... კარგი ამბები არც საგარეო პოლიტიკის ორბიტიდან მოდის...**

— იმას, რომ საგარეო პოლიტიკური ვითარება იძაბება, დასავლურ მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიც მოწმობს. ამ მხრივ შეშფოთებას, პირველ რიგში, აშშ გამოხატავს, რომელიც ყველაფერს აკეთებს, რომ იმ შემთხვევაში, თუკი უკრაინაში სიტუაცია აქტიურ ფაზაში გადავა, რუსეთს ფინანსური ნაკადების აქტიურად გამოყენების საშუალება არ მისცეს. მოკლედ, ამერიკელები პრევენციულ ნაბიჯებს დგამენ და ისეთ დიდ კორპორაციებს, როგორიც, მაგალითად, „გაზპრომი“, ან „როსნეფტია“, გარკვეულ ფინანსურ აქტივებზე ემბარგოს უწესებენ და ევროპასაც იგივეს გაკეთებას ურჩევენ...

**— ფინანსურ აქტივებზე ემბარგოს დაწესება იმას ნიშნავს, რომ ზემოხსენებული კომპანიები აშშ-ში გარკვეულ მანიპულაციებს ველარ განახორციელებენ?**

— დიახ, სწორად გაიგეთ...

**— ამ „ომში“ ჩართულები შეიძლება, ჩვენც აღმოვჩნდეთ, რამეთუ ფოთის პორტი „როსნეფტის“ ხელშია. ბატონო კოტე, ჩემი ეს მოსაზრება უტოპიაა?**

— ვერ ვიტყვი, რომ უტოპიაა, რადგან აშშ ჩვენი მთავარი პარტნიორი და მეკავშირეა, რომელიც „როსნეფტს“, როგორც აღვნიშნე, გარკვეულ ფინანსურ შეზღუდვებს უწესებს და თუკი „გავატარებთ“, ამას აშშ ჩვენი მხრიდან კეთილმეგობრულ დამოკიდებულებად არ აღიქვამს. ამიტომ, გარკვეული ზომები უნდა მივიღოთ.

**— მაინც, რა ზომები?**

— მაგალითად, უნდა შევეცადოთ, რომ „როსნეფტმა“ საქართველოში საქმიანობა არ გააფართოვოს და, ფოთის პორტის გარდა, სხვა ობიექტებიც არ შეიძინოს.



**უკრაინაში მებრძოლი ქართველი ვეტერანი „ოცნებასა“ და „ნაცმოძრაობას“ ემუქრება!**

**— თუკი რომელიმე კერძო მფლობელი „როსნეფტთან“ საქმიან გარიგებას დადებს, ამას სახელმწიფო როგორ აკრძალავს?**

— ყველა კერძო მფლობელს იმის შეგნება უნდა ჰქონდეს, რომ რუსულ სახელმწიფო კომპანიებთან საქმიანი ურთიერთობა არ დაიჭიროს — „როსნეფტში“ პირდაპირ რუსული სახელმწიფო ინტერესი დევს. „როსნეფტი“ საქართველოში მხოლოდ ფოთის პორტისთვის არ შემოსულა და, ვანო, ადრე ვისაუბრეთ, თუ რა სერიოზული განზრახვები აქვს — მისი მთავარი მიზანია, რომ „სოკარ“-სა და სხვა აზერბაიჯანულ თუ თურქულ კომპანიებს, რომლებიც საქართველოს ბაზარზე ოპერირებენ, კონკურენცია გაუწიოს.

**— გამოცდილი ეკონომისტები ამბობენ, რომ საქართველოსთვის დღეს მთავარი ფულია და, შესაბამისად, ინვესტიციების წარმომავლობის გარკვევით არ უნდა დავკავდეთ...**

— ეს ცხონებული კახა ბენდუქიძის თეორემაა, ფულს სუნი არ აქვსო, მაგრამ ფულს სუნი, რა თქმა უნდა, ასდის, მით უმეტეს, თუკი ფულს შენი ქვეყნის მოწინააღმდეგე მართავს, ეს, ცხადია, გარკვეულ მხოლოდ ფინანსურ კი არა, პოლიტიკურ რისკებსაც მოიტანს, ანუ დასაშვებია, რომ ე.წ. შავი და რუხი სქემები ამუშავდეს, რასაც ჩრდილოვანი ფინანსები მოჰყვება, რომელიც, კაცმა არ იცის, საით იქნება მიმართული...

**— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რატომღაც მგონია, რომ პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, ქვეყანაში ანტირუსული, უფრო სწორად, ანტიოკუპანტური იდეოლოგიის გაზრდაა. არ მეთანხმებით, კოტე ბატონო?**

— ანტირუსული იდეოლოგია კი არ უნდა გაიზარდოს, არამედ, საქართველოში ისეთი სახელმწიფო იდეოლოგია უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც დასავლეთზე იქნება ორიენტირებული. ასეთი მკვეთრად ჩამოყალიბებული იდეოლოგია არც „ნაცმოძრაობას“ ჰქონდა და სხვა პოლიტიკური ძალებიც, რომლებიც თვლიან, რომ დასავლეთისკენ მიდიან, ამ კუთხით ჩამოყალიბების პროცესში არიან. მათ ხალხს უნდა უთხრა, თუ რა არის ჭეშმარიტად ევროპული დემოკრატია და ღირებულებები. საფრთხეებს სწორედ ღირებულებები განსაზღვრავენ და უნდა გაითვალისწინო, ამ ღირებულებების პედალირებას თუ რა საფრთხეები მოჰყვება. იდეოლოგია მაშინაა ჩამოყალიბებული, როცა ეს კომპონენტები ერთმანეთთანაა დაკავშირებული... ყველაფერ ამაში დიდი როლი მხოლოდ პოლიტიკურ ძალებს კი არა, მედიასაც ეკისრება. სხვათა შორის, ამ კუთხით მიზანმიმართულ საქმიანობას ხელისუფლებაც უნდა ეწეოდეს, მით უმეტეს, რომ დასავლური ღირებულებები დეკლარირებული აქვს...

**— ამასობაში, ჩვენს მეზობლად დიდი ამბებია — თურქეთმა „ისლამურ სახელმწიფოზე“, პრაქტიკულად, იერიში მიიტანა. ყოველ შემთხვევაში, ტერორიზმთან კავშირის ბრალდებით, ათასზე მეტი ადამიანი ამხილეს...**

— თავის დროზე ვივარაუდე, რომ თურქეთი ამ პროცესების მიღმა არ დარჩებოდა და შექმნილ ვთარებას საკუთარი მიზნების განსახორციელებლად გამოიყენებდა და ქურთისტანის საკითხის საბოლოო გადაწყვეტასაც შეეცდებოდა.

**— თურქეთში დაწყებული კამპანია, რომელიც, პრაქტიკულად, „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგაა მიმართული, ჩვენც ხომ არ შეგვეხება?**

— ხელაღებით ვერაფერს უარვყოფ, თან დააკვირდით: თურქეთმა „ისლამურ სახელმწიფოზე“ შეტევა პირდაპირ კი არ მიიტანა, არამედ, საკუთარი პრობლემების მოგვარება დაიწყო...

**— „საკუთარი პრობლემა“ რას ნიშნავს?**

— რას და, — ქურთისტანს. მოკლედ, თურქეთისთვის საფრთხე მხოლოდ „ისლამური სახელმწიფო“ კი არა, ქურთისტანია, ანუ თუკი ქურთისტანი დამოუკიდებელ სახელმწფოდ ჩამოყალიბდება, მაშინ თურქეთი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება.

**— თუკი გავყვებით ვერსიას, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ უკან რუსეთი დგას, შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ოფიციალურ ანკარას კრემლთან ურთიერთობა გაურთულდება?**

— მხოლოდ „ისლამური სახელმწიფოს“

გაგრძელება მე-3 გვ.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

29-VII 4-VIII 2015 | № 30 (294) | 3

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართული სიტყვავ!“

## სკანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

უკან კი არა, არსებობს გარკვეული ინფორმაცია, რომ ქურთისტანის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზეც რუსეთი პედალირებს. ყოველ შემთხვევაში, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან და 90-იან წლებშიც ქურთისტანში იარაღის შეტანა სწორედ რუსეთიდან ხდებოდა, მათ შორის, საქართველოს გავლით. იარაღის ბიზნესის ამ სქემებს რუსეთი ახლო აღმოსავლეთსა და სხვაგანაც დღემდე ამუშავებს. სხვათა შორის, წინა ინტერვიუებში ამ თემებზეც გვილაპარაკია... მოკლედ, თურქეთი არ დაუშვებს, რომ ქურთისტანის სახელმწიფო ჩამოყალიბდეს...

**— სიტყვამ მოიტანა და, იარაღით უკანონო ვაჭრობის სქემაში რამე ახალი დეტალი ხომ არაა?**

— არა. ახლა მთავარი რეკომენდაციებია...

**— ვერ მივხვდი, რა რეკომენდაციებზე ლაპარაკობთ?**

— ვანო, დადგა დრო, რომ ძალოვან და საერთოდ, ყველა უწყებაში, სახელმწიფო შესყიდვებზე „შავი და რუხი სქემების“ გამოყენების შესაძლებლობა გამოირიცხოს. ეს „შავი და რუხი სქემები“ სახელმწიფო ჩინოვნიკების მერკანტილურ ინტერესებს ემსახურება, ანუ ეს ელიტური კორუფციის სათავეა.

ვერ ვიტყვი, რომ დღესაც ყველაფერი ისეა, როგორც 9 წლის განმავლობაში იყო-მეთქი, მაგრამ იგივე სქემა შენარჩუნებულია და გამორიცხული არაა, ვიღაცას, თავისი ძალაუფლებიდან გამომდინარე, ფულის შოვნის სურვილი გაუჩნდეს და სახელმწიფო შესყიდვებით ძალიან სწრაფად და იოლად გამდიდრდეს.

**— მოკლედ, ვერ გავიგე, რისი თქმა გინდათ?**

— რისი თქმა მინდა და, სახელმწიფო შესყიდვები ყველა უწყებიდან უნდა „გამოვიდეს“ და ცალკე სამსახურად უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც პარლამენტს დაექვემდებარება. ეს ისეთივე უწყება უნდა იყოს, როგორიც, მაგალითად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურია. საერთოდ, როცა ადამიანი ძალოვანი უწყების სათავეში ხვდება, მას მაქსიმალური ძალაუფლება და გავლენა აქვს. შესაბამისად, მერკანტილური ინტერესები უჩნდება...

**— როგორც გავიგე, გამოდიხართ ინიციატივით, რომ შეიქმნას ახალი სამსახური, რომელიც მხოლოდ ძალოვან კი არა, ყველა სახელმწიფო უწყებაში სახელმწიფო შესყიდვებს განახორციელებს...**

— დიახ, ასეა... სხვათა შორის, ასეთი უწყება ევროპულ ქვეყნებში, მათ შორის, გერმანიაშიც არსებობს. თუკი ასეთი სამსახური შეიქმნება, მაშინ სახელმწიფო შესყიდვებზე კონტროლი მაქსიმალურად გაიზრდება... სხვათა შორის, ეს სამსახური, პარალელურად, ნარკოტიკებისა და ნარკოტრაფიკის წინააღმდეგაც იქნება მიმართული?

**— როგორ?**

— იქ, სადაც იარაღის უკანონო ბიზნესია, აუცილებლად, ნარკოტრაფიკიც არსებობს. თუკი სახელმწიფო შესყიდვების სამსახური მოლაპარაკებებს, მაგალითად, იარაღის შესყიდვაზე დაიწყებს, ამის თაობაზე საქმის კურსში პარლამენტის ნდობის ჯგუფი უნდა ჩააყენოს, ანუ ანგარიშვალდებული მასთან უნდა იყოს, თუმცა ეს ნდობის ჯგუფი ისეთი არ უნდა იყოს, როგორიც დღესაა.

**— დღეს ნდობის ჯგუფი როგორია?**

— როგორია და, — მისი ზოგიერთი წევრი იარაღის ტრაფიკში ირიბად მონაწილეობდა.

**— ახალი სამსახურის შექმნა გასაგებია, მაგრამ იქაც ადამიანები იმუშავებენ. კორუფცია ადამიანური ბუნებაა. ასე რომ, რა გარანტია არსებობს, რომ ახალი სამსახურიც კორუფციის ბუდე არ გახდება?**

— ამ სამსახურში კადრები პატრიოტიზმის, პროფესიონალიზმისა და არაკორუმპირებული ბეგრაუნდით უნდა შეირჩეს, თან ამ სამსახურის თანამშრომლებს მაღალი ხელფასი უნდა ჰქონდეთ. აუცილებელი არაა, რომ ამ სამსახურში ასობით ადამიანი მუშაობდეს, 50 თანამშრომელიც საკმარისია, რომ ამ თემატიკას კარგად გაუძღვეს.

**— ისე, ბატონო კოტე, თქვენს ხელთარსებულ სკანდალურ მასალებთან დაკავშირებით, შესაბამისი უწყებებიდან ისევ არავინ გამოგხმაურებიათ?**

— ჯერჯერობით, არა, ყველაფერი გაჩერებულია, თუმცა ამ თემატიკის დაძვრის სხვა გზაც არსებობს.

**— რა გზა?**

— როცა ლაპარაკი საერთაშორისო დანაშაულის ნიშნების შემცველ საქმეს ეხება, არსებობს შესაბამისი საერთაშორისო ორგანო, რომელიც ასეთ დეტალებს იკვლევს.

**— რომელ ორგანიზაციას გულისხმობთ?**

— გაერო-ს უშიშროების საბჭოს ექსპერტთა საგამომძიებლო ჯგუფს, ანუ თუკი საქართველოში ამ თემის გამოძიება არ დაიწყება, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მივმართავ.

**— როგორც იტყვიან, თქვენი საქმისა თქვენ იცით, მაგრამ გაერო-ს უშიშროების საბჭო, ალბათ, მყარ მტიცებულებებსა და დოკუმენტაციას მოგთხოვთ...**

— დოკუმენტაციას იმ ორგანოებს მოსთხოვს, სადაც „დალექილია“, ანუ ჩვენს ძალოვან სტრუქტურებს. მე კი, ოპერატიულ და ღია მასალას წარვადგენ. ეს, სხვათა შორის, მიღებული პრაქტიკაა. ისე, გამორიცხული არაა, რომ იმ დანაშაულებრივ სქემებში, რომლებზეც ამდენი ხანი ვლაპარაკობ, გაერო-ს თანამშრომლებიც აღმოჩნდნენ გარეულნი და საბოლოო ჯამში, საქმე ჰააგის ტრიბუნალამდე მივა.

**— ვთქვათ, საქმე ჰააგის ტრიბუნალამდე მართლა მივიდა, ამით, ბატონო კოტე, პირადად თქვენ რა მოგებას ნახავთ?**

— მოგებას მე კი არა, ქვეყანა ნახავს — ხალხს ის ფული დაუბრუნდება, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებამ 2008 წლის ომის ხარჯზე მიიტაცა. აქ დიდ კი არა, ძალიან დიდ ფულზეა ლაპარაკი.

**— კარგი რა, ხალხს იმ ქონებას ვერ უბრუნებენ, რომელიც წართმეულია და რომელი მიტაცებული დიდი ფულის დაბრუნების ილუზია არსებობს?**

— ქონება რომ დაბრუნდეს, ამისთვის პოლიტიკური ნება და შესაბამისი პროფესიონალიზმია საჭირო. იარაღის უკანონო ბიზნესის საკითხი არსებობს და ამ დროს სააკაშვილს რაღაც პალტოებზე ედავები, ეს, სხვა თუ არაფერი, ლუსტრაციაა.

**— სხვათა შორის, პრეზიდენტმა მარგველაშვილმაც განაცხადა, არ შეიძლება, მიშას პალტოების გამო ვეძებდეთო და რეაქციამაც არ დააყოვნა — „ოცნებამ“ მარგველაშვილი ჭეშმარიტად ნაციონალ პრეზიდენტად გამოაცხადა... ისე, პრეზიდენტი ახალგაზრდული ოლიმპიადის გახსნაზე არ მივიდა. ცალკეული პერსონები და არასამთავრობოები კი, მარგველაშვილის იმპიჩმენტზე ალაპარაკდნენ... მოკლედ, „ოცნების“ მთავარი საფრთხე დღეს პრეზიდენტი მარგველაშვილია?**

— მგონია, რომ აქცენტების სხვაგან გადატანა ხდება, თორემ დღეს პრეზიდენტი ისეთ ძალას არ წარმოადგენს, რომელსაც დასაყრდენი აქვს.

**— მარგველაშვილი ძალას შეიძლება, შიდა პოლიტიკაში არ წარმოადგენს, მაგრამ დასავლეთისთვის ის მაინც პრეზიდენტია...**

— ჩვენი პოლიტიკური სისტემა დასავლეთმაც ძალიან კარგად იცის — დღეს ხელისუფლება პრემიერის ხელშია. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტი ძალას არ წარმოადგენს და მასზე იერიშის მიტანა უფრო ყურადღების გადატანას ჰგავს. ისე, პრეზიდენტის კონსტიტუციური უფლებაა, ის შეიწყალოს, ვინც უნდა. ეს უფლება რომ ჩამოართვან, საკონსტიტუციო ცვლილება უნდა განხორციელდეს, რისთვისაც 112 დეპუტატია საჭირო. „ოცნებას“ კი, 112 დეპუტატი არ ჰყავს. მოკლედ, ყველაფერი ბელეტრისტიკაა და მეტი არაფერი!

**— ევროპარლამენტარებმა მერაბიშვილი, უგულავა და ახალაია ციხეში მოინახულეს, ესეც ბელეტრისტიკაა თუ გარკვეული პოლიტიკური ჟესტი და მესიჯი?**

— ვანო, რატომ გავიწყდებათ, რომ „ნაცმოძრაობა“ ევროპის სახალხო პარტიის წევრია და რა გასაკვირია, რომ საქართველოში ჩამოსული ევროდეპუტატები სტრატეგიული პარტნიორი პარტიის დაჭერილ ლიდერებს შეხვდნენ? გვინდა თუ არა, ეს „ნაცმოძრაობა“ არსებობს, დღევანდელმა ხელისუფლებამ კი, ვერაფერი გააკეთა, რომ დასავლეთისთვის მისი ნამდვილი სახე ეჩვენებინა. ხელისუფლების მთავარი მინუსი სწორედ ესაა, რომელიც არჩევნებზე შესაბამის შედეგს მოუტანს.



სხვათა შორის, „ნაციონალები“, 2016 წლის არჩევნებისთვის, კოორდინატორების დონეზე უკვე მუშაობენ და ამას ჩემი თვალით ვხედავ.

**— ეს მუშაობა რაში გამოიხატება?**

— უბნებში დადიან, მხარდამჭერების სიებს ადგენენ, აგიტაცია-პროპაგანდას ეწევიან, ანუ „ნაცმოძრაობა“ პოლიტიკურად მუშაობს. სხვათა შორის, „ნაცმოძრაობას“ ოფისი თითქმის ყველა რაიონსა და რეგიონში აქვს. წარმოგიდგენიათ, თბილისში, 10-ზე მეტი ოფისი აქვს, თითო ოფისის შენახვა, თვეში, მინიმუმ, ათასი დოლარი ჯდება. „ნაცმოძრაობის“ შემომწირველთა კატეგორიაც არ შეცვლილა... მოკლედ, „ნაცმოძრაობა“ მოქმედი პოლიტიკური ძალაა და ამ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. „ოცნებას“ იმის სტრატეგია არ ჰქონდა და არც აქვს, პოლიტიკური ველიდან „ნაცმოძრაობის“ დამნაშავე ელიტა როგორ ჩამოიცილოს...

**— ბატონო კოტე, ამას წინათ, მითხარით, ადმირალ ზურა ირემაძის გარდაცვალებიდან ათი წელი გავიდაო...**

— ზურა საქართველოში პირველი ადმირალი და, პრაქტიკულად, საზღვაო ძალების ჩამომყალიბებელი იყო, მაგრამ 8 ივლისს, საზღვაო ძალების დღისადმი მიძღვნილ პატარა ღონისძიებაზე ზურა ერთხელაც არ უხსენებიათ, რაც ჩემთვის, როგორც მისი მეგობრისთვის, ძალიან დამთრგუნველია... სხვათა შორის, ადმირალის სიძეც, ქალიშვილის ქმარიც, როგორც ოფიციალურ საბუთებში წერია, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა, მაგრამ დღეს ზურას ოჯახს საკუთარი ჭერიც არ აქვს...

**— როგორც ვიცი, მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, ადმირალის ცხედრის ექსჰუმაცია ჩატარდა...**

— დიახ, ჩატარდა...

**— და რა ითქვა?**

— ჯერ გამოძიება არ დასრულებულა, თუმცა როგორც ვიცი, იარაღი, რომელიც ზურას ეკუთვნოდა, ამოღებულია, მაგრამ ოჯახს არ დაბრუნებია — თავდაცვის სამინისტროში ინახება.

**— ბატონო კოტე, როგორც მოწმე, დაგკითხეს, არა?**

— დიახ. ბევრი სხვაც დაკითხეს...

**— ანუ, „ოცნებამ“ ადმირალის გარდაცვალებაზე გამოძიება ხელახლა დაიწყო?**

— ასეა...

**— საქმე რა მუხლითაა აღძრული?**

— არ ვიცი...

**— გამომძიებელმა რა გკითხათ?**

— აინტერესებდა, როგორი ურთიერთობა მქონდა. ამასთან, სიკვდილის მიზეზი, ჩემი აზრით, რა შეიძლება გამხდარიყო. ვუთხარი, როგორ შეიძლება, ადამიანს, რომელიც 500-600 მეტრის სიმაღლიდან პარაშუტით ხტება, გულით ავადმყოფი ვუწოდოთ-მეთქი.

**— თქვენი აზრით, ადმირალის სიკვდილის მიზეზი რა გახდა?**

— ეს მაინც მკვლელობა მგონია...

**— რატომ უნდა მოეკლათ?**

— ესეც იარაღის ტრაფიკთან უნდა იყოს დაკავშირებული.

**— ადმირალმა ასეთი რა იცოდა?**

— ზურა ირემაძე უმართავი ადამიანი იყო, ანუ თვლიდა, რომ თუ ქვეყნისთვის საჭირო იყო, ხელისუფლებასაც დაუპირისპირდებოდა.

**— ეს გასაგებია, მაგრამ იარაღის ტრაფიკთან რა შეხება ჰქონდა?**

— ზღვა...

**— ანუ, ვიღაცას უკანონო იარაღის ზღვით შემოტანა უნდოდა და ამაზე ირემაძემ უარი თქვა?**

— ალბათ...

**— ირემაძის გარდაცვალება რომ გაიგეთ, რა იფიქრეთ?**

— რასაც ახლა ვფიქრობ — მოკლეს...

**— ბოლოს როდის ნახეთ?**

— სიკვდილამდე, დაახლოებით, ერთი თვით ადრე.

**— რაზე ილაპარაკეთ?**

— ჩვეულებრივი მეგობრული შეხვედრა იყო...

**— ხომ არ ეჭვობდა, რომ რამეს უწყობდნენ?**

— არა, არა... სხვათა შორის, 13 აგვისტოს ზურას გარდაცვალებიდან ათი წელი სრულდება... ისე, ზურა ახალი გარდაცვლილი იყო, სამსახურიდან რომ გამაგდეს.

**— იმის თქმა გინდათ, რომ ადმირალის გარდაცვალება და უშიშროების რიგებიდან თქვენი დათხოვა ურთიერთკავშირშია?**

— ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთს საეჭვოდ დაემთხვა.

**— მაშინ იარაღის უკანონო ბიზნესის შესწავლა უკვე დაწყებული გქონდათ?**

— არა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ: სამხედრო კონტრდაზვერვაში ვმუშაობდი და მათ შესახებ, ვინც რუსებთან იყო კავშირზე, ყველაფერი ვიცი. ინფორმაცია მათზე მაქვს, ვინც ხელისუფლებაში „ნაცმოძრაობას“ მოჰყვა.

**— სამხედრო კონტრდაზვერვაში სხვებიც მუშაობდნენ და ინფორმაცია მათაც ექნებოდათ. „ნაციონალებისთვის“ მიუღებელი მაინცდამაინც თქვენ რატომ გახდით?**

— იმიტომ, რომ თავდაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატს ვემსახურებოდი... სამხედრო კონტრდაზვერვის დეპარტამენტი 1993 წელს ანზორ ჭეიშვილმა შექმნა და ჩვენ პირველი თაობა ვართ, რომელიც ოპერატიული საქმიანობის სათავეში იდგა და დიდ ინფორმაციას ვატარებთ.

**— ბატონო კოტე, თქვენი აზრით, ადმირალ ირემაძის საქმე ოდესმე გაიხსნება?**

— იმედი მაქვს... ისევ იარაღის თემას ვუბრუნდები — დაკარგული იყო, უცებ გამოჩნდა და მაინტერესებს, ამ ხნის განმავლობაში იარაღი ვის ჰქონდა?

**— არ შეგიძლიათ, ეს პირადი კონტაქტებით გაარკვიოთ?**

— პირადი კონტაქტებით ბევრი რამე გავარკვიე... ზოგიერთი მათგანი, ვისაც ამ იარაღთან შეხება ჰქონდა, დღეს ხელმძღვანელი პირია. როგორ შეიძლება, სისტემაში ისეთი პირი გყავდეს, ვინც მიცვალებული გაძარცვა?!

**— ეს პირი ვინაა?**

— გამოძიებამ დაადგინოს...

**ესაუბრა ვანო პავლიაშვილი**

**(თემის გაგრძელება იქნება)**

№ 30 (294)
29-VII – 4-VIII 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“



**შატილი**

დღეს, საქართველო
ჩაგვრის მახეა,
ვაი, ქვეყანავ,
ეშმას წილხვედრო,
შატილზე კარგი
რა გვინახია!
მივხედოთ, ხალხო, –
შატილს მივხედოთ,
და თუ ქართველმა
ცხადად იწამა.
რომ დაიჯეროს,
არ არს მარტივი,
შატილი უფლის
ცა და მიწაა,
ციხესიმაგრე
არის შატილი!

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

**კლინიკა „გული“**

ჩვენი კლინიკის
გულიან სახელს
მთელი ქვეყანა
შემოუვლია.
გული გაწუხებთ? –
მობრძანდით, გვნახეთ,
გულის მკურნალი
მხოლოდ „გულია“!

**ჯანსუღ ჩარკვიანი**



**საზოგადოება**

# ინტერნეტში სუპერთასის 35-ლარიანი ბილეთები 350 დოლარად იყიდება!

**„ფეისბუქზე“ გადავაწყდი, ვიღაც წერდა, სუპერთასის 35-ლარიანი ბილეთები ვისაც გინდათ, მომწერეთო. სად – მე და სად – ფეხბურთი, მაგრამ რადგან 2 კვირის წინ, ვაკის პარკში, სადაც საფეხბურთო „მეორედ მოსვლა“ იყო, გადამყიდველებს ვერ გავესაუბრე, ამ „მოულოდნელი ვითარებით“ ვისარგებლე და უცნობს გამოველაპარაკე. ოღონდ, თავი მეც გადამყიდველად გავასაღე. ჩვენს შორის ასეთი დიალოგი შედგა:**

**– რამდენად ყიდი?**

– 1 ცალი 350 დოლარი (შეგახსენებთ, საუბარი 35-ლარიან ბილეთზეა – ბ.ღ).

**– ვააა... მე 750 დოლარად გავყიდე. სულ რამდენი გაქვს?**

- 35-ლარიანი 750 დოლარად? რა ვი... ვის მიყიდე, მასწავლე... მინიმუმ, 10 ბილეთი გვექნება „სასტავს“. 4 ბილეთი გავყიდე 300 დოლარად და ხვალ 10-ს ველოდები კიდევ 300-ად. სად „ააგდე“, ტო, ეგეთი ვინ „დააბოლე“?

**– რა მნიშვნელობა აქვს, ის მაინც აღარ იყიდის. ხომ იცი, ძვირს რომ გადაიხდის, უფრო გემრიელად უყურებს... შენ საიდან „ითრიე“ ბილეთები?**

– რიგიდან, „ბრატ“... მარტო ერთი გაყიდე?

**– ჰო, მეტი არც მქონდა... „მამენტ“, რა მაინტერესებს, ვერ მივხვდი და, რომ დაერივნენ ამ გადამყიდველებს, ბილეთები ხელში არ ჩაიგდონო, საიდან გაიგებენ, ვინ ჩაიგდო ან რა უნდა გვიქნან, შენ ხომ არ იცი?**

– ეშმაკმა იცის... ისე, ჩვენში დარჩეს და, მე ჩემს ბილეთს გავყიდი თუ რას ვუზამ, უეფა-ს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რა საქმეა? ხომ არავის მოვპარე, ესე იგი, მიჭირს და ვყიდი.

**– ჰო, აბა, რა, მაგრამ სხვასაც რომ უჭირს და ყიდვა უნდა, ჩვეულებრივფასიანი არ რჩება და ჩვენი, ძვირიანი უნდა იყიდოს?**

– ეგ მართლა „მიტყდება“, „ბრატ“, მარა ყველა ყოველთვის ვერ იქნება კმაყოფილი. ვისაც გაუმართლა და აიღო, მშვიდობაში მოახმაროს...

**– მთავრობამ 2 500 ბილეთი, აქედან მერიამ 300 რომ წაიღო, ეგ სწორი იყო?**

– მე რიგში 1500-ე ნომერი ვიყავი, ანუ ჩემამდე 6 000 ბილეთი უნდა ყოფილიყო ***გაყიდული („რესპონდენტი“, სავარაუდოდ, იმას გულისხმობს, რომ თითო მსურველს 4 ბილეთი ეყიდა, ესეც, – იდეალურ შემთხვევაში – ბ.ღ.),*** მე რომ მივედი, ეწერა, 11 000 გაყიდულიაო. ვინ იყიდა, ნეტავ, ეს 5 000?..

**– სულ რამდენი ბილეთი გქონდა?**

– რა ვი... „კამანდამ“ დავითრიეთ 24, მარა აქედან 4 გვინდა ჩვენთვის, რა...

**– იმ 20-დან რამდენი გაყიდე?**

– ოთხი და ხვალ, წესით, 10 უნდა გაიყიდოს.

**– როგორ ფიქრობ, გაყიდვას მოახერხებ?**

## ინტერვიუ „ბარიგასთან“

– რა ვი, წესით, კი.

**– მაგ ბილეთებიდან მოგება რამდენი დაგრჩა?**

– აუ, რა ვიცი, „ბრატ“... ჯერ 4-დან, რაც გაიყიდა, 2 500 ლარი.

**– სულ რამდენი დაგეხარჯათ?**

– კაცზე 140 ლარი...

**ისე, გადამყიდველს თავი რომ დავანებოთ, იქნებ, ის უფრო საინტერესოა, სინამდვილეში რამდენი ბილეთი წაიღეს მთავრობის წარმომადგენლებმა და რა უფრო უსამართლობაა: დღეების განმავლობაში რიგში დგომა, ბილეთის აღება და, თუნდაც, ათმაგ ფასში გაყიდვა, თუ დიდი, მაგრამ გაურკვეველი რაოდენობის ბილეთის რიგში დგომის გარეშე მისაკუთრება. რა ვიცი, აბა, თქვენ გადაწყვიტეთ...**

**ბექა ღიბრაძე**



ლიტერატურული გაზეთი
29-VII 4-VIII 2015
№ 30 (294)





# ვაჟა ფშაველა

# გველისმჭამელი

I
სასტუმროს იყვნენ ხევსურნი,
ლუდი ედუღა წიქასა;
ისხდენ ბანზედ და ღრეობდენ,
თასებით ჰსვამდენ იმასა;
ზოგნი უკრავდენ ფანდურსა,
ზედ დაჰმღეროდენ დიდადა, —
მსმენელთა გრძნობას უდებდენ
საგმირო ამბებს ხიდადა;
აღგზნებით გმირთა სახელებს
ლექსებში სთვლიდენ წმიდადა;
მოხუცნი ჩიბუხებს სწევდენ,
ბოლი ეხვიათ ნისლადა,
განმარტავდიან მათ ამბავს,
შანდობა თქვიან გმირთადა.
ახლების საწურთნელადა
იხსენებდიან ქებითა:
„თქვენ იცით, ამას იქითა
კაცად ვინც გამასდგებითა!“
კრებაში ერთი ვინმე სჩანს
სახე-მკრთალი და მშვიდია,
როგორც თაფლს მწერი, ეხვევა
იმას მცირე და დიდია.
დაღვრემილს წელზე ხმალი ჰრტყავ,
მხარ-იღლივ ფარი ჰკიდია.
მუხლებს წინ თავშიშველანი
ორნი უსხედან ჩოქითა,
თასებს აწვდიან, იღებენ
შავს ლუდსა დიდა გობითა. —
„შასვი, მინდიავ, — ეტყვიან,
კაი ლუდია, სვიანი,
გვითხარი რამე, ღვთის მადლსა,
ერთი ქართული გზიანი“.
— მთვრალმა რა გითხრათ, კაცებო,
ჭკუა სასმელმა დაძალა,
სათქმელი მერმისთვის დარჩეს,
თუკი სიკვდილმა მაცალა. —
ასწია კარახანასა,
გადიწურა და დაცალა.
ტყვეობით დაბრუნებული
ძმებში ყოფნითა სტკბებოდა,
როგორაც სხვანი მრავალნი,
ისიც ლუდითა თვრებოდა.
ამ მინდიაზე ამბობდენ
დაუჯერებელს ამბებსა:
მინდია ტყვედა ჰყოლია
თორმეტს წელს თურმე ქაჯებსა.
ტყვეობამ ფრიად დაჩაგრა,
სამშობლოს გარეთ ყოფნამა;
მიდის დრო, განვლო მრავალმა
აღდგომამა და შობამა,
მაგრამ მინდიას ტყვეობას
არ ექნა დასასრულია,
გული დაუდნო მონებამ,
ამოსვლას ლამობს სულია.
აგონდებოდა თავისი
ჩამოთოვილი მთებია,
ჩაბნელებული ხევები,
უსწორ-მასწორო გზებია,
მის ბედის მგლოვიარენი
დედა, მამა და ძმებია,
თავისი ქოხი მწირული,
სამოთხედ მისაღებია,
ეშველათ, ბევრჯელ ხატ-ღმერთსა
მხურვალედ შაჰვედრებია.
ბოლოს სთქვა: „თავსა მოვიკლავ,
ასეთს სიცოცხლეს სჯობია!“
ქაჯთათვის ცეცხლზე ნადგამი
სადილად ნახა ქობია.
იცოდა, გველსა ჰხარშავდენ,
იმასა სჭამდენ ხშირადა;
ქაჯნი ქაჯობით იტანდენ
გველის მიღებას პირადა,
და თავის თავზე იფიქრა,
რომ ექცეოდა ჭირადა.
აიღო ერთი ნაჭერი,
ზიზღით ქურდულად შეჭამა
და ამ დროს მოწყალეს თვალით
ტყვეს გადმოხედა ზეცამა:
ახალად სული ჩაედგა,
ახალი ხორცი აისხა;
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუვს, გაეხსნა.
ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ, წვალობენ.
რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ-უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო.
ამას ჰგრძნობს, უკვირს თითონაც
ტყვეს თვის ბუნების ცვალება.
შეიგნო, ჭამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება.
სიბრძნე აჩვენეს გველადა,
რომ ჰზიზღებოდა საჭმელად,
თუმც „შენც ჭამეო, მინდიავ“,
არა ზარობდენ სათქმელად.
შეიგნო სიბრძნე ქაჯების
ამიერიდამ ტყვემაო;
მას მუსაიფი დაუწყო
ცამ, დედამიწამ, ტყემაო.
მხოლოდ ბოროტმა მის გულში
ვერ მოიკიდა ფეხია,
სხვა დანარჩენი ქაჯური
ყველა ისწავლა ხერხია.
მას აღარაფრის ეშინის,
თუნდ თავს დაატყდეს მეხია.
ქაჯნი ბრაზობენ, რა ჰხედვენ —
გამეცნიერდა გლეხია.
აღარ აშინებს ტყვეობა,
აღარც ხრიკები ქაჯური,
დღეს თუ ხვალ, იმედიანობს,
ქაჯებს უჭიროს პანჩური.
მალია ტყვიასავითა,
გრძნეული, როგორც გველია,
აღმერთებს, ნუგეშად ჰსახავს
ფშავ-ხევსურეთი მთელია,
გვირგვინოსანი თამარი
სულ-მუდამ ამის მთქმელია:
„ოღონდ მინდია თან მყვანდეს,
მასთან მთიელი ერია,
რაც უნდ ძალიან ეცადოს,
ვერას დამაკლებს მტერია“.
იცის მტრის დასამარცხები
და შემმუსვრელი ფანდია;
თუ დაჭრილს ცოცხალს მიუსწრო,
ნუ აქვს სიკვდილის დარდია.
შუაზე გაჭრილს გაჰკურნავს
მის უებარი წამალი;
მით არ მცირდება ომებში, —
მუდამ ჯარი ჰყავ მრავალი;
შორს არის ამბად წასული
მისი თავგადასავალი.

II
როცა კი გაზაფხულდება,
გამოიღვიძებს ქვეყანა:
სილაღე, სიმხიარულე
დასეირნობენ ყველგანა,
გაჩნდება ჩირთი, ყვავილნი
ეკონებიან მწვანესა,
მინდია გაფაციცებით
სულ მიმოივლის მთა-ველსა.
ყველა მცენარეს და მღილსა
ის ეგებება სალმითა,
ბუნებაც „ვაშას“ უძახის
მდიდრად მორთულის ალმითა.
ყვავილნი ყელ-გადაგდებით,
დახატულები კალმითა,
„მინდიას გაუმარჯოსო“,
ერთხმად ასტეხენ ჟიჟინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ,
ბუნება იწყებს ბიბინსა,
და მერე სათითაოდა
ყველა მოჰყვება ტიტინსა:
„მე ვარო ამის წამალი“;
სხვა გაიძახის — „იმისა;“
მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს,
ჯერ ზედ ნამი აქვთ დილისა.
თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა:
ოღონდ ეწამლონ სნეულთა,
სიცოცხლით გაფუფუნებულს
არად აგდებენ სხეულთა:
სალხინოდ ჰსახვენ, კაცთ სარგოდ,
ძვალ-ხორცთა ჩამორღვეულთა.
ყვავილთ ეს ზნე სჭირთ და ხეებს
თურმე მოუვათ ტირილი;
მარტოკა მინდიას ესმის
მათი კვნესა და ჩივილი.
ამისგან მისი ცხოვრება
ძალიან დაცარულია:
მივიდა ხესთან ცულითა,
სთქვა: „უნდა მოვჭრა ესაო!“
შემოჰკრავს ცულსა და ამ დროს
ხის შამოესმის კვნესაო:
„ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ,
ნუ დამიბნელებ მზესაო,
უიარაღო რომა ვარ,
მიტომ მიბრიყვებ ხესაო?!..“
დაუდუნდება მკლავები,
შტერად გაჰხედნებს ზეცასა.
სხვა ხეს მიჰმართავს, ის უფრო
მეტად დაიწყებს კვნესასა.
ხელცარიელი წამოვა,
ვერ მოიყოლებს შეშასა,
და რომ ღველფზედა არ გაჰქრეს
ცეცხლი, აანთებს თივასა
ან ჩალას, გამხმარს ჯოყრებსა,
თან მიაშველებს წივასა;
თუ სად ხმელს წიწკრებს იპოვნის,
არც დაიწუნებს იმასა.
მაინც ღმერთს ჰმადლობს, მაინცა,
საღამოსა და დილასა.
სხვებსაც მას ურჩევს: „კაცებო,
მოდით, ნუ ჰშვრებით ცოდვასა;
ნუ მასჭრით ხესა, დავჯერდეთ
ჯოყრებს, ხმელს წიწკრებს ცოტასა“.
არავინ უსმენს, არქმევენ
ამგვარს მის რჩევას ბოდვასა.
— „ღმერთს ჩვენთვის გაუჩენაო
სარგოდა, მოსახმარადა!“
და დღესაც არავინ ჰზოგავს
ვერხვ-წიფელს მოსაკლავადა.

III
როცა ყანის მკას დაიწყებს,
გიჟია, გადარეული:
ერთს ფეხს აქ მოსჭრის, ერთს იქა,
საგულე-ჩამოხეული;
სულ გადასთელავს ყანასა,
გაჰბურდღნის, გაატიალებს,
მინამ ღონე აქვ მკლავშია,
ციბრუტივითა ტრიალებს,
და როცა დაიქანცება,
გაიშხლართება მიწაზე.
რო ჰკითხოთ: „ასე რად სჩადი?“
ის გიპასუხებსთ იმაზე:
— რას ამბობთ, კაცნო, არ გესმისთ,
მიტომ მიწუნებთ ქცევასა.
ის როდი იცით, თავთავნი
როგორ მიწყებენ ხვეწნასა;
უნდა იცოდეთ, ჰხედავდეთ
თავთვების ყელის წევასა,
ათი-ათასი ყოველ მხრივ
რომ დაიქუხებს ერთადა, —
ხელ-ნამგლიანი როცა ვარ,
მნახავენ თავის ღმერთადა: —
„არა, მე მომჭერ, მინდიავ,
ნუ მტოვებ, შენი კვნესა-მე!“
„არა, მე, — სხვა გაიძახის, —
უფრო მაშინებს ზეცა მე.
პატარა ნისლიც რო ვნახო,
ჩამოვიშლები ტანითა.
ვაი თუ სეტყვა მოვიდეს,
ყელი გამომჭრას დანითა“.
სხვა უფროც ჰყვირის: „ნუ მწირავ,
იხარე თავის ჯანითა!“
გამაგიჟებენ ბოჟირით,
გადავირევი ბრალითა:
ვცდილობ და ყველას ვერ ვწვდები
ორის ხელით და თვალითა
და ამ დროს თავადაც ვხდები
მოსაბრუნები წყალითა.
ყანასა სეტყვა აშინებს, —
კაცთ უსაზრდოოდ დარჩენა,
თორემ ვით ნამგალს, სეტყვასა
სით შაუძლიან წახდენა?!.
კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ
თავთავნი ოქროს ფერანი, —
არ სწადით ოხრად ლპებოდენ,
ჰკენკდენ ყვავნი და ძერანი.
მიტომ ჩქარობენ მომკასა,
ერთად ჟივიან ყველანი,
ჰსურთ პურად იქცნენ, საჭმელად,
რომ მითი გაძღნენ მშიერნი, —
მკვდართ კაცთა შანდობა ვუთხრათ,
ძალნი ვახსენოთ ციერნი.

№ 30 (294)
29-VII 4-VIII 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პოეტური პროზა

# ვანო პავლიაშვილი

●

ეს არც პროზაა და არც — პოეზია,
ეს არც ვერლიბრია და არც — სკაბრეზი,
ეს, უბრალოდ, ქაღალდზე გადატანილი განცდაა,
განცდა, რომელიც ლიტერატურულ დოგმებს არ ემორჩილება...
არ მოგწონთ? — არ წაიკითხოთ!..
მე ჩემთვის,
ჩემებურებისთვის,
ჩემებურად ვწერ...
მე არც პოეტი ვარ და არც მწერალი...



### მირაჟი

გუშინდელ მირაჟს
დღევანდელი რეალობა მირჩევნია -
მირაჟი მაინც მირაჟია და
ნეტარების ბურანიდან გვიან გამოსულს
რეალობასთან შეგუება გამიჭირდება...
ამიტომაც ჩემს ყველა აღმაფრენას
მღვრიე წყალს გავატან და
დავმშვიდდები, თუმცა
სიმშვიდეს ისევ სიგიჟე სჯობს, რამეთუ
მერე მარკესივით ვთქვა:
ვიცხოვრე, რადგან მომეყოლა!
ჰო, მე ჩემს სიგიჟეებზე მოვყვები, სიგიჟეებზე,
რომელთაც დამცეს და აღმაზევეს,
რომელთაც ფოლადივით გამომაწვრთეს და
ჩემეულ ჭეშმარიტებამდე მიმიყვანეს!..

### პირადი სივრცე

შენი პირადი სივრცე დავარღვიე...
კერძო საკუთრების ხელყოფა
დასჯადია...
მეც დავისჯები,
მაგრამ პირველ ჩვენებას
მაინც არ შევცვლი
და ბრალდებულის
საბოლოო სიტყვაში ვიტყვი:
ცამდე კი არა,
ცის იქითაც მიყვარხარ!
მე მსჯავრდებული ვარ...
მე სიყვარულისთვის დავისაჯე...

●

მე წავალ, წავალ იქ, სადაც დედამიწა ცას უერთდება
და დემონები ჯოჯოხეთის ტანგოს როკავენ...
და ამ მეჯლისზე მეც დემონი ვიქნები, ალბათ,
დემონი, ვისაც ასი კაცის სახე მოარგეს...

### ტკივილი ჩემი ბედისწერაა

რაღაცებს აღარ განვიცდი...
აღარ განვიცდი, მაგალითად, იმას,
რომ მტრებმა ზურგი მაქციეს
და მოკეთეებსაც იშვიათად
ვახსენდები...
აღარც იმას განვიცდი,
პირში რომ მაქებენ,
პირს უკან კი, ქოქოლას მაყრიან...
ჰო, ბევრ რამეს აღარ განვიცდი...
სამაგიეროდ, მტკივა...
მტკივა ყველაფერი:
სიყვარულიდან დაწყებული
სიძულვილით დამთავრებული...
მზეც მტკივა და მთვარეც,
მიწაც და ზღვაც,
სითბოც და სიცივეც...
და კიდევ... ადამიანები მტკივა,
მტკივა მთელი თავიანთი
ღირსებითა და უღირსობით,
სევდითა და სიხარულით,
ვნებითა და ტყუილით...
მოკლედ, მე სიცოცხლე მტკივა...
ტკივილი ჩემი ბედისწერაა, თუმცა...
უკვე ამასაც აღარ განვიცდი!

●

ჩემი ტკივილი დაიხვეწა,
მე ტკივილის მართვა ვისწავლე...
არც სიყვარული, არც სიძულვილი
არ შემიძლია...
მე დავიცალე...
მე ტკივილის მართვა ვისწავლე...

●

რომ არ ვიყვირო, გავგიჟდები...
რომ არ ვიყვირო, ემოციას დავემონები...
მე მონობისთვის არ დავბადებულვარ...
ჩემი თანამეცხედრე თავისუფლებაა.
ამიტომაც ვიყვირებ და ემოციას მოვკლავ...
მერე რა, რომ მკვლელს დამიძახებენ?! —
მე ვიქნები მკვლელი, მკვლელი, რომელმაც
დუელში საკუთარი ემოცია გამოიწვია...
მე მონობისთვის არ დავბადებულვარ...
მე თავისუფლებისთვის უნდა ვიბრძოლო!..

### უგულობის ხუთწლედი

ერთი სული მაქვს, მოგესალმო და გკითხო:
— როგორ ხარ-მეთქი?!
ვიცი, რასაც მიპასუხებ, უფრო სწორად,
ხმასაც არ გამცემ და...
ამიტომაც არ გეკითხები...
და აი, ასე:
გაუცხოების კვირეულიდან
გაუცხოების ხუთწლედამდე
სულ დამკვრელური ტემპით მივიწევთ და...
ხუთწლედის ბოლოს, ალბათ,
საპატიო გულსაბნევებსაც დავიმსახურებთ...
ეგაა ოღონდ:
მაშინ ჩვენც,
ყველა ოცდამეერთესაუკუნელის მსგავსად,
გული აღარ გვექნება...
ჩვენ ხომ უგულო ეპოქის პირმშოები ვართ...

●

მშვიდობა თქვენდა,
ვინც ჩემს ცხოვრებაში
გუშინ იყავით და დღეს აღარ ხართ...
რატომ მოხვედით ან სად წახვედით?
თქვენთან შეხვედრა, მით უმეტეს,
განშორება არ მითხოვია...
მშვიდობა თქვენდა,
ჩემი ცხოვრების წარსულის და
მომავლის თანამგზავრებო,
მშვიდობა თქვენდა...

●

შენ ჩემი დაკარგული მაისი ხარ,
ზამთარიც ხარ და შემოდგომაც ხარ,
შენ ზაფხულიც ხარ, რომელიც მახსენებს,
რომ შენამდეც ვცხოვრობდი და
შენს მერეც უნდა ვიცხოვრო...
შენ ჩემი დაკარგული კი არა,
სამარადჟამოდ ნაპოვნი მაისი ხარ...

### არ ვბრაზობ

არ ვბრაზობ,
ანდა რატომ უნდა გავბრაზდე?
ყველაფერი ისეა, როგორც დავგეგმე...
თავიდანვე ვიცოდი, რომ
ამის იქით არაფერი იქნებოდა,
ვიცოდი, მაგრამ თამაში მაინც დავიწყე...
წითელი ხაზებიც გადავკვეთე და...
ჩემივე ფანტაზიის ლაბირინთში დავიკარგე...
გეფიცები, მართლა არ ვბრაზობ...
აი, გული კი მწყდება...
რაზე? — ბევრ რამეზე,
თუნდაც იმაზე, რომ
სულსწრაფობა გამოვიჩინე...
ველარაფერს ვიზამ,
წარსულს ვერ დავიბრუნებ...
არა უშავს...
გპირდები,
მომავალში ვიქნები ბედნიერი...
გეფიცები, მართლა არ ვბრაზობ...
მე ხომ ჩემივე ფანტაზიის ლაბირინთში
დავიკარგე...

### წამიერად

ცხოვრებას წუთები კი არა, წამები ცვლიან...
წამი სამყაროს ყველაზე დიდი სასწაულია:
წამიერად გონება გვინათდება და გვიბნელდება...
წამიერად გვიყვარს და გვძულს...
წამიერად ბედნიერებიც ვართ და უბედურებიც...
წამიერად დემონებიც ვხდებით და ანგელოზებიც,
უფალსაც ვეპაექრებით და
ჯოჯოხეთსაც ვმბრძანებლობთ...
წამიერად ვცოცხლობთ და ვკვდებით...
წამიერად ბევრი რამ ხდება...
წამიერად ცხოვრება იცვლება...
და მერე, სიკვდილის იქითაც,
ამ წამს ვწყევლით და ვლოცავთ...
წამი ჩვენი იღბლისა და უიღბლობის საიდუმლოა...
ჩვენ გარდაცვლილი წამების ჭირისუფლები ვართ...

### რექვიემი დედამიწისთვის

ვიცი, ამაღამ ისევ იწვიმებს, თუმცა
ეს ჩვეულებრივი წვიმა კი არა,
სპეციალურად დედამიწისთვის
დაწერილი რექვიემი იქნება...
რექვიემი, რომელსაც სადღაც იქ, ცაში
სულთა ორკესტრი დაუკრავს...
მაგრამ... ჩვენ, ადამიანები
ამას ვერ მივხვდებით და
ამღამინდელ წვიმასაც მორიგ
უამინდობად ჩავთვლით...
არადა, ეს სხვა, სხვანაირი წვიმა იქნება,
წვიმა, რომელიც მარადიულს დაგვაკავშირებს...
ვიცი, ამაღამ ისევ იწვიმებს...

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ქართული სიტყვა

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

29-VII 4-VIII 2015 № 30 (294)



## ახალი ლექსები



# ლალი ხვედელიანი

### ქარონის ნავი

მოცურავს ნავი ნაცრისფერ ბინდში,
ირინდებიან რიგში სულები,
მოგონებებში იძირებიან დღეები,
უკვე გარდასულები.
მოგონებებში ჩაძირულ დღეებს,
ფანტელებივით მიაფრენს ქარი
იქითკენ, სადაც გზა იკარგება და
ბინდს მოუცავს გზის გასაყარი.
ნაცრისფერ ბინდში, ვით თეთრი გედი,
შემოსრიალდა ქარონის ნავი,
მთვარე ღრუბლებში გაუჩინარდა,
ობოლიც გაქრა ციდან ვარსკვლავი.
იდუმალებით გარემოცული,
წამით არ ცხრება მსახური სულთა,
მდუმარე არის და ფერმიხდილი —
სიკვდილს ასეთი მსახური სურდა.
ტალღიდან ობლად ამონასხლეტი
შხეფი შეაკრთობს მის მდუმარებას,
ნაცრისფერ ბინდით გარემოცული
იხდენს ქარონი იდუმალებას.
დრო კი გიჟივით მიაპობს სივრცეს,
უსასრულობას თავი რომ მისცეს,
დრო მეუფეა უსაზღვრო სივრცის,
საითკენ მიჰქრის, ის კი არ იცის.
გამჭვირვალეა მდინარე — მდორე,
ნავი ირწევა, როგორც აკვანი,
მგზავრებს ნაპირზე დაუტოვიათ
ამქვეყნიური ყველა ზრახვანი...
აი, მიადგა ქარონი ნაპირს,
ნავში ჩასხდომა უკვე იწყება,
ძნელია, ნეტავ, თუ ადვილია
ამ წუთისოფლის გადავიწყება...

### ღამე გათრიაქებული

ბოროტია ღამე ბნელი, ავიცა აქვს მას
ზრახვანი:
მთვარე მხოლოდ მისი იყოს, მხოლოდ
მას რომ სცეს თაყვანი.
მოუთმენლად ელოდება
ბნელი ღამე დაღამებას,
იცის, მთვარე მას რომ ელის,
მხოლოდ მას ეთაყვანება....
ო, რა ვნებას აფრქვევს ღამე—
თვალი რომ აქვს მიბნედილი
და მთვარემაც მოხდენილად
გადმოუგდო მას მანდილი,
ღამეს ფეხი აერია:
ველარ სძლია მან ფორიაქს,
ოქროს თასით მიწოდებულს
დაეწაფა მთვარის თრიაქს...
ღამე გათრიაქებული,
მიუყვება ქუჩას ნელა,
ერთ პატარა და უჩინარ
სახლთან წამით შეისვენა,
ჯადოსნური ოცნებები
მიმოფანტა ირგვლივ მუჭით
და ისევე გზას აუყვა
მთვარისაკენ, ვიწრო ქუჩით...

### დიდი მონღოლი

მზე ამოვიდა, თანაც როგორი,
მზეს ეფიცხება დიდი მონღოლი.
გადაღლილი და ნაომარია,
გვერდს ღვთაებრივი უზის მარია,
გურჯისტანიდან არის ლამაზი,
მონატრებია ძლიერ არმაზი.
ცრემლი ღვარად სდის ორთავ თვალიდან,
თუმცა დავიწყებ თხრობას თავიდან...
დიდი ომია საქართველოში,
არის განგაში, გლოვა, დებოში,
ზეიმობს ქვეყნად დიდი მონღოლი,
გურჯი არ დარჩა ამბის მომყოლი.
აგორებულა ცრემლების ზვირთი,
გაედინება უზღვავი ტვირთი,
თვალმარგალიტი, ოქრო და ვერცხლი,
უბედურების ბრიალებს ცეცხლი,
როგორც ნახირი, მათრახის ცემით,
წინ გაუგდიათ კაცი და ქალი
ბავშვები, როგორც ანგელოზები,
ვაი, ტანჯული სამშობლოს ბრალი...
აგორებულა აღმართზე ქვები,
აქ ისტორიას ველარ  მივყვები...
გურჯის სისხლსა სვამს დიდი მონღოლი,
მზე კი, ანათებს, თანაც როგორი...

### ყორანი

*გიორგი კეკელიძეს*

ყორანო, ჰეი, ყორანო!
გაუმაძღარო ლეშითა,
ვისით ხარ, ნეტავ, ნაყრული,
ვისი სისხლი სვი პეშვითა?
ვაითუ, ის ყორანი ხარ,
ტატოს კვალდაკვალ მდევარი,
სიკვდილის თანამოაზრე და
შაოსანი მხევალი.
ვინ იცის, ბრძოლაც გინახავს
დიდი დიდგორის ველისა,
იქნებ, ხარ თანამედროვეც
სამასი არაგველისა...
ვაჟას დაჭრილი არწივი,
როცა ებრძოდა ყვავ-ყორნებს,
იარას შენ უკორტნიდი,
იარას გულს რომ აღონებს.
შენი ჩხავილის გამგონეს
კლდეს ფორიაქი დაეტყო,
სოფელსა — ქვემოთ ჭალაში,
ცუდი ამბავი შაეტყო...
P.S.
უკანასკნელად გიხილეს
კეკელიძიანთ ბაღნარში,
გიორგიმ რომ გადმოგასხა,
ჭინჭრის მდუღარე ნახარში,
იმასაც გაიძახიან,
ყვავილებს ეფერებოდი,
ვინ იცის, იმ დღეს, ყორანო,
სამასი წლისა ხდებოდი.

### სერაფიტა

*ეპიტაფია არმაზის ციხის*
*უძველეს საფლავზე*

ეს მე ვარო, სერაფიტა,
ვარ ასული პიტიახშის,
ვიყავ უმშვენიერესი,
ვით ყვავილი ედემ-ბაღჩის,
ყორნისფერი თმები მქონდა,
ყელ-კისერი თეთრი გედის,
უფლის ნებით აღვესრულე,
როცა ვიყავ ოცდაერთის.
ბროლის მკერდი მამშვენებდა,
ვიყავ ნატიფი და ნაზი
და არავინ არ ყოფილა
ქვეყანაზე ჩემი ფასი.
ეს მე ვარო, სერაფიტა,
ოცდაერთის ვიყავ მხოლოდ,
წამკითხველო, შემინდე და
იქნებ, ლოცვაც მომაყოლო...
P.S.
მშვენიერო სერაფიტა,
ვარდო, ედემ-ბაღჩისაო,
უკეთესი ბედ-იღბალი ღმერთმა
რად არ გაღირსაო...

### მონატრება

როცა თოვლი გადაფარავს ნაფეხურებს შენსას,
გაძარცვული ხეები რომ დაიწყებენ კვნესას,
როცა ქარი გასაფრენად სევდისფერ ფრთებს
გაშლის, მაშინ ჩუმი მონატრება შენზე ფიქრებს აშლის.
როცა თოვლით იფარება ირგვლივ მინდორ-ველი,
როცა ვიცი აღარ მოხვალ და მეც აღარ გელი,
შენზე  ფიქრებს ვერ გაფანტავს თოვლიანი ქარი,
როცა გვერდით სევდა მიდგას, ჩემი მეგობარი.



# ნოდარ ბაქრაძე

●

ფერს სიკვდილისას ამ შემოდგომის
ვებრძვი და ვებრძვი, მაგრამ ამაოდ,
ისევ შენა ხარ დღეს ჩემი ჰობი,
უძირო ლურჯო ცაო მაღალო!..
წერო, მუზა და ღმერთის წერილი
გულში კვლავ მინთებს ჩამცხრალ ოცნებას,
ნაშემოდგომარ ყვითელ მტვერივით,
არ მიმახვეტოს სადღაც ცხოვრებამ!..

### ლექსი მზესავით ამომავალი

ვინ რას გაუგებს საით ილტვიან
სისხლად ქცეული თოთო ტიტები,
ლექსის სტრიქონი მარგალიტია,
უძვირფასესი განძი პირველი!
არ ვიცი, რა მწყინს რა მიხარია,
მოკლდება ჩემი გზები სავალი,
განძი მზესავით ჩამავალია,
ლექსი მზესავით ამომავალი...

●

როს დამაჯდება მხარზე პეპელა
გული საგულეს ველარ ეტევა
თითქოს შეიგრძნეს ძვლებმა ბებერმა
შენი სითბო და შენი ვედრება,
ამაოება იქცა ედემად
მხარი მხარს მისცეს ტბაში გედებმა
როს დამაჯდება მხარზე პეპელა,
კვლავ სიყვარულის ალი მედება...

### ქართული სიტყვა

სიტყვა სიტყვას მივამატე
მოგაწვდინე ჩემი ხმა,
შენი გული, ჩემი გული
მხოლოდ სიტყვით შეირხა.
სიტყვა ერთხელ თუ გაბრწყინდა
სულ იბწყინებს მზესავით,
მოედება მთელ პლანეტას,
ჩანგზე ანაკვნესარი.
იფრენს, იფრენს კიდით-კიდეს,
დაუღლელი ფრთამალი,
სიტყვა ღვთისა ზეცისა და
კაცთა შუამავალი...

ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ენერგოინტრიგები

# დენის გაძვირებაში ნოლაიდელ-მერაბიშვილის ინტერესები იკვეთება?!

**მაშ, ასე: რეგიონის მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის გადასახადი თითქმის 4 თეთრით გაძვირდა. გაძვირება, სავარაუდოდ, თბილისელებსაც შეეხებათ, რამეთუ სემეკ-ს, ტარიფის გაზრდის მოთხოვნით, „თელას“-მაც მიმართა. ენერგოკომპანიები დენის გაძვირებას ლარის კურსის დაცემით ხსნიან, თუმცა გამოცდილი ენერგეტიკოსი თემურ ჭიჭინაძე „ქართულ სიტყვასთან“ საუბრისას აქცენტს ენერგომაფიაზე აკეთებს და ამ კონტექსტში ყოფილ პრემიერს, ზურაბ ნოლაიდელს, ენერგეტიკის ექსმინისტრ ალეკო ხეთაგურსა და ამჟამად პატიმრობაში მყოფ, „ნაციონალების“ ხერხემლად სახელდებულ ვანო მერაბიშვილს ახსენებს. ამასთან, ჭიჭინაძე, ვერსიის დონეზე, იმასაც უშვებს, რომ სემეკ-ს, ეროვნული ბანკისა არ იყოს, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები მართავენ და იმას აკეთებინებენ, რაც უნდათ. მოკლედ, თუკი თემურ ჭიჭინაძის ვარაუდებს გავყვებით, მივალთ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ დენის გაძვირება ვიღაცას სოციალური ჯანყის მოსაწყობად უნდა. ამ ვერსიას არსებობის უფლება აქვს, მით უმეტეს, რომ ენერგეტიკა დიდი პოლიტიკაა... რაც შეეხება ზურაბ ნოლაიდელს, ისე ჩანს, რომ რუხი კარდინალია, რომელიც ქვეყანაში ენერგოსიტუაციას მართავს. ნოლაიდელის ენერგოინტერესები დიდი ხანია, ცნობილია: ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“, როცა ფინანსთა მინისტრობიდან წავიდა, „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო კომპანიის“ კონსულტანტი გახდა, რომელიც ამავე დროს, ნოლაიდელის მეუღლესთან ასოცირებული კომპანიის მომსახურებით სარგებლობდა. ბოლოს, ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ ენერგოდისტრიბუცია გაეკოტრდა — 750 მილიონი ჩამოაწერეს. თემურ ჭიჭინაძის მოსაზრებით, ეს იმიტომ გაკეთდა, რომ „ენერგო პრო“ „სუფთა ადგილზე“ შემოსულიყო. მოკლედ, რა კავშირი აქვს დენის 4-თეთრამდე გაზრდას ნოლაიდელ-მერაბიშვილთან და როგორია ქართული ენერგეტიკული მაფიის ანატომია? — „ქართული სიტყვა“ ენერგეტიკოს თემურ ჭიჭინაძეს ესაუბრა, რომელმაც ამ თემებზე წიგნი — „ქართული ეკონომიკის მკვლელები“ გამოსცა და რომლიდანაც ამონარიდებს „ქართული სიტყვა“ შემდეგი ნომრიდან შემოგთავაზებთ.**




## ქართული ენერგომაფიის ანატომია — ენერგეტიკოსი თემურ ჭიჭინაძე ამხელს

**„სახელმწიფოს ტარიფის წარმოქმნაში ჩარევის უფლება არ აქვს, ეს ორი სუბიექტის — მომხმარებლისა და მარეგულირებელი კომისიის საქმეა. „ენერგო პროს“ შემოსვლამდე, „საქართველოს სადისტრიბუციო კომპანია“ არსებობდა, რომელსაც ტარიფი 6 მთელი და რამდენიმე მეათედი ჰქონდა, „ენერგო პროს“ შემოსვლის მეორე დღესვე კი, ტარიფი 16 თეთრი გახდა, თუმცა არავინ იცის, რის ხარჯზე.“**

**— ბატონო თემურ, დენის ტარიფის გაზრდას ობიექტური მიზეზები ჰქონდა თუ სემეკ-ის გადაწყვეტილება გარკვეული ე.წ. ფინანსური ავანტიურაა, რომელიც „ფულის კეთებას“ უკავშირდება?**

— მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე ტარიფის გაზრდის აუცილებლობა არ არსებობდა. საერთოდ, არ შეიძლება, რომ ტარიფი მხოლოდ ლარის კურსის მოკლევადიანი ვარდნის გამო გაიზარდოს, მით უმეტეს, ელექტროენერგიის გაზრდილი ტარიფი მოსახლეობას დააწვება.

**— „ლარის კურსის მოკლევადიან გაზრდაში“ რას გულისხმობთ?**

— რას და, — მაგალითად, ნოემბერში ლარის კურსი შეიძლება, დაეცეს. ამიტომ, დაკვირვება წლის ბოლომდე უნდა გაგრძელებულიყო და მონაცემები ენახათ, „ენერგო პრო“ მოგებაზე მუშაობს თუ წაგებაზე. ისე, ათი წელია, ეს კომპანია ზეგეგმიურ მოგებასა და უკანონო შემოსავლებზე მუშაობს და ოთხი თვე პრობლემებს ნამდვილად არ შეუქმნიდა. ესეც რომ არა, სემეკ-მა საკითხი დაჩქარებული წესით განიხილა — სემეკ-ს ტარიფის განსაზღვრისთვის 150-დღიანი ვადა აქვს, თუმცა ტარიფის გაზრდაზე კომპანიების მოთხოვნა სამ თვეში დააკმაყოფილა. სხდომაზე ვიკითხე, ტარიფის გაზრდას მაინც აპირებთ, რატომ ჩქარობთ და სექტემბერში გაგეზარდათ, მოსახლეობა შვებას ორი თვე მაინც იგრძნობდა-მეთქი, მაგრამ პასუხი არ გამცეს.

**— ბატონო თემურ, წეღან თქვით, ათი წელია, „ენერგო პრო“ ზემოგებასა და უკანონო შემოსავლებზე მუშაობსო...**

— თავიდანვე, როცა საქართველოში შემოვიდა, ამ კომპანიას სასათბურე პირობები შეუქმნეს — საქართველოს ენერგეტიკისა და გენერაციის 70 პროცენტი 130 მილიონად იყიდა. გარდა ამისა, „თელასისხელა“ ტარიფი — 16 თეთრი ისე მისცეს, რომ ინვესტიცია განხორციელებული არ ჰქონდა.

**— როგორც მახსოვს, ამ სასათბურე პირობების შექმნაში ნოლაიდელს ამხელთ...**

— თავისთავად — მაშინ ნოლაიდელი პრემიერ-მინისტრი იყო და ეს 16-თეთრიანი ტარიფი მემორანდუმით მისცა, რისი უფლებაც არ ჰქონდა.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ სახელმწიფოს ტარიფის წარმოქმნაში ჩარევის უფლება არ აქვს, ეს ორი სუბიექტის — მომხმარებლისა და მარეგულირებელი კომისიის საქმეა. „ენერგო პროს“ შემოსვლამდე, „საქართველოს სადისტრიბუციო კომპანია“ არსებობდა, რომელსაც ტარიფი 6 მთელი და რამდენიმე მეათედი ჰქონდა, „ენერგო პროს“ შემოსვლის მეორე დღესვე კი, ტარიფი 16 თეთრი გახდა, თუმცა არავინ იცის, რის ხარჯზე.

**— ნოლაიდელის მიერ ხელმოწერილი მემორანდუმი, რითიც ტარიფი 16 თეთრამდე გაიზარდა, სისხლის სამართლის დანაშაულია?**

— ამ კვალიფიკაციას ვერ მივცემ... სხვათა შორის, „ენერგო პრო“ 330 მილიონს იხდიდა, მაგრამ თქვეს, მოდი, ამდენი არ გადავახდევინოთ და 130-ად მივყიდოთო, ანუ 200 მილიონი უცებ დაიკარგა.

**— დაიკარგა თუ ეს ფული ვინმეს ჯიბეში წავიდა?**

— ეს არ ვიცი, მაგრამ ინვესტორი 330 მილიონს იხდის, შენ კი, გამყიდველი ეუბნები, სამასი არ მინდა და 130 მილიონი მომეციო. ჭკუათმყოფელი ხარ? ესე იგი, სახელმწიფოს 200 მილიონს აკარგვინებ!

**— თქვენი აზრით, ნოლაიდელმა სახელმწიფოს 200 მილიონი რატომ დააკარგვინა?**

— ალბათ, პირადი ინტერესი ჰქონდა. ყოველ შემთხვევაში, ლოგიკა აქეთ მიდის. თავის დროზე თქვეს, ამ 200 მილიონს „ენერგო პრო“ ინვესტიციის სახით განახორციელებსო, მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ ის თანხა, რაც ობიექტში უნდა გადაიხადო, ინვესტიციაში ჩადო?

**— „ენერგო პრომ“ დაკლებული 200 მილიონი ინვესტიციაში რეალურად ჩადო?**

— ყველა ინვესტიცია ჭარბი ტარიფის ხარჯზე განახორციელა, ანუ ფული თვითონ არ შემოუტანია და ამ ინვესტიციის თანამონაწილე მოსახლეობაცაა.

**— ესე იგი, თუკი ლაპარაკი სამართლიანობის აღდგენაზეა, მაშინ ზურაბ ნოლაიდელის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს, არა?**

— ვანო, შემიძლია, დარწმუნებით ვთქვა, რომ ტარიფებს და, საერთოდ, ყველაფერ ამას ნოლაიდელი ლობირებს და „კამანდრობს“!

**— ეს როგორ? — ჯერ ერთი, ნოლაიდელი ხელისუფლებაში არაა და, მეორეც, დენის ტარიფი სემეკ-მა გაზარდა...**

— ხელისუფლებაში არაა, მაგრამ ნოლაიდელს ინტერესი „ენერგო პრო“-ში აქვს. გარდა ამისა, მისი ბიზნესპარტნიორები კიდევ სადღაც-სადღაც არიან.

**— სად „სადღაც-სადღაც“?**

— დღესაც ყველაფერს ალეკო ხეთაგური განკარგავს...

**— რა ყველაფერს?**

— თუნდაც, სემეკ-ს, თუმცა ეს ვერსიაა...

**— ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა „ენერგო პრო“-მ მოითხოვა და, ბატონო თემურ, როგორც კერძო საუბრისას მითხარით, ხელისუფლება დააშანტაჟა, თუ ტარიფი არ გაიზრდება, ნოემბერ-დეკემბერში მოსახლეობას დენი გრაფიკით ექნებაო...**

— დიახ, ასეა...

**— ხელისუფლება ამ შანტაჟზე რატომ წამოეგო?**

— საინტერესოა, კომპანია ხელისუფლებას რატომ აშანტაჟებს? ხალხს რომ ეუბნები, დენს არ მოგცემო, ეს მუქარაა. მუქარა კი, თუ არ ვცდები, სისხლის სამართლის დანაშაულია...

თუკი სემეკ-ს ჩავუღრმავდებით, ვნახავთ, იქ რა შემადგენლობაა, თუნდაც კომისიის ხელმძღვანელი, ირინა მილორავა, რომელიც ნოლაიდელთან ფინანსთა, მიშასთან კი, იუსტიციის სამინისტროში მუშაობდა...

**— სხვათა შორის, მარიამ ვალიშვილიც „ნაციონალებისდროინდელი“ კადრია...**

— სერიოზული ენერგეტიკული მაფიაა და არაფერი შეცვლილა — ყველაფერი იგივე სქემით მიდის, რომელი სქემითაც 2012 წლამდე მიდიოდა...

ვანო, თუ გახსოვს, რამდენიმე თვის წინ, ხეთაგურს მილიონი დოლარი დაუჭირეს, საქმეც აღიძრა, მაგრამ რამდენიმე დღე იჯდა და გამოვიდა. ეს მილიონი დოლარი, ალბათ, იმ „ლუფტიდანაა“, რაც ტარიფშია ასახული. იმაზე ლაპარაკი აღარ მინდა, ვისი მამა სადაა და რომელი მინისტრის ცოლი სად მუშაობს...

**— დღევანდელ მინისტრებზე ამბობთ?**

— დღეს ისევ ძველი სქემა მუშაობს!

რატომღაც მგონია, რომ ხალხს ელექტროენერგიის გაძვირებას დიდი ხანია, აგუებდნენ. ყოველ შემთხვევაში, „ენერგო პრო“-მ ტარიფის გაზრდაზე განაცხადი შარშან, ამ დროსაც შეიტანა...

**— მაშინ ლარი შერყეული ჯერ კიდევ არ იყო...**

— დიახ, არ იყო. ამიტომ, მაშინ ერთი ამბავი ატყდა, ამის ერთ-ერთი შემოქმედი მეც ვიყავი და ყველაფერი გაჩერდა. მარეგულირებელზე ზეგავლენა არ მოუხდენია, მაგრამ ირაკლი ღარიბაშვილმაც სერიოზული როლი ითამაშა. წელს კი, იგივე გაიმეორეს და ლარის კურსს დაეყრდნენ...

საქმე ისაა, რომ „ენერგო პრო“-ს ობიექტების გაყიდვა და გასვლა უნდა.

**— გასვლა საქართველოდან უნდა?**

— დიახ.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ძალიან დიდი ფული აქვს ნაშოვნი, ბევრი ვალდებულება კი არ შეასრულა. ბოლოს და ბოლოს, სემეკ-ში ისეთი ვინმე მოვა, ვინც ამას ჩასწვდება...

საერთოდ, ხელშეკრულება ორმხრივი ვალდებულებაა...

**— ბატონო თემურ, როგორც თქვენგან ვიცი, ეს ხელშეკრულება გასაიდუმლოებულია...**

— დიახ და, ალბათ, იმიტომ მალავენ, რომ ვალდებულებები არაა შესრულებული... არც შენ უნდა შელახო ინვესტორის უფლებები და არც ინვესტორმა — შენი. ამიტომ, უფლება გვაქვს, ინვესტორს მოვთხოვოთ...

**— მაპატიეთ, არ ვიცით, ხელშეკრულებაში რა წერია და რა უნდა მოვთხოვოთ?**

— ხომ ვიცით, რა ვალდებულებაც აქვს? ისიც ვიცით, რომ ტარიფი თავიდანვე ზედმეტი ჰქონდა. გარდა ამისა, 100-მეგავატიანი ჰესი უნდა აეშენებინა, მაგრამ სადაა? ასი მილიონი ხაზებში უნდა ჩაედო, 85 კი — ჰესების რეაბილიტაციაში, მაგრამ ერთი, რაც ამ ხნის განმავლობაში გააკეთა, მხოლოდ ისაა, რომ 150 მილიონი დისტრიბუციასა და გადაცემის ხაზებში ჩადო, თუმცა აქედანაც ძირითადი თანხა ჭარბი ტარიფიდანაა შესული, ანუ ეს ფული „ენერგო პრო“-მ კი არ შემოიტანა, არამედ, ჩვენს მიერ გადახდილი ინვესტიციაა.

**— გასაგებია, რომ გასაიდუმლოებულია, მაგრამ „ოცნების“ ხელისუფლებას ხელშეკრულების, უხეშად რომ ვთქვათ, ნახვა ხომ შეუძლია?**

— როგორ არ შეუძლია! სემეკ-ის თავმჯდომარეს ვუთხარი, ხელშეკრულება გვანახე-მეთქი, მაგრამ მიპასუხა, ჩემს მიერ არაა ხელმოწერილი და არ შემიძლია, გაჩვენოთო... ტელეკომპანია „იმედთან“ დადებულ ხელშეკრულებასაც გრიფი „საიდუმლო“ ედო, მაგრამ „გახსნეს“ და თუკი ის „გახსნეს“, რატომ არ შეიძლება, რომ ესეც „გახსნან“, ან ვის გაუგია, რომ სახელმწიფოს კერძო კომპანიასთან საიდუმლო ხელშეკრულება ჰქონდეს გაფორმებული?!

**— ეს კანონდარღვევაა?**

— თავისთავად... საიდუმლო მხოლოდ სტრატეგიულ ობიექტებზე გაფორმებული ხელშეკრულება უნდა იყოს.

მოკლედ, სერიოზული, ძლიერი მაფიური ჯგუფი მუშაობს, რომელიც ყველაფერს განკარგავს... სემეკ-ში სამი ადამიანი ზის და ეს ზუსტად ისაა, 37 წელს „ტროიკა“ რომ იყო და გადაწყვეტილების მიღებისას სამივე ხელს ერთდროულად წევს. სემეკ-ის იმ სხდომაზე, როცა ტარიფს ზრდიდნენ, ვთქვი, გადაწყვეტილება, რაც უნდა მიიღოთ, ჩემთვის ცნობილია-მეთქი და სხდომა დავტოვე.

**— ბატონო თემურ, სემეკ-ს ტარიფი რომ არ გაეზარდა, რა მოხდებოდა?**

გაგრძელება მე- 9 გვ.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## ენერგოინტრიგები

*„სერიოზული ენერგეტიკული მაფიაა და არაფერი შეცვლილა — ყველაფერი იგივე სქემით მიდის, რომელი სქემითაც 2012 წლამდე მიდიოდა...*

**თუ გახსოვთ, რამდენიმე თვის წინ, ხეთაგურს მილიონი დოლარი დაუჭირეს, საქმეც აღიძრა, მაგრამ რამდენიმე დღე იჯდა და გამოვიდა. ეს მილიონი დოლარი, ალბათ, იმ „ლუფტიდანაა“, რაც ტარიფშია ასახული. იმაზე ლაპარაკი აღარ მინდა, ვისი მამა სადაა და რომელი მინისტრის ცოლი სად მუშაობს... რატომღაც მგონია, რომ ხალხს ელექტროენერგიის გაძვირებას დიდი ხანია, აგუებდნენ. ყოველ შემთხვევაში, „ენერგო პრო“-მ ტარიფის გაზრდაზე განაცხადი შარშან, ამ დროსაც შეიტანა...“**

მე-8 გვერდიდან

— არაფერი. ვთქვათ, ლარი გასწორდა, რა, ტარიფს ძველ ნიშნულზე დააბრუნებენ? იცით, ტარიფი კიდევ რატომ არ უნდა გაეზარდათ? — ჩემი გათვლებით, „ენერგო პროს“, ათი წლის განმავლობაში, მილიარდამდე თანხა აქვს მითვისებული. სემეკ-ის მეთოდი ასეთია: კარგი, მაღალ ტარიფს მოგცემ, მაგრამ სამაგიეროდ, ინვესტიცია განახორციელე, მაგრამ თუ არ განახორციელებ, ეს თანხა დააბრუნეო. თანხის დაბრუნება კი, მოსახლეობისთვის ტარიფის კლებაში გამოიხატება, მაგრამ ამას ვერ ვხედავთ.

**— ერთი სიტყვით, აცხადებთ, რომ სემეკ-ის მიერ გაზრდილი ტარიფი უკანონოა?**

— თუ დავუშვებთ, რომ „ენერგო პრო“-ს საბაზისო, 16-თეთრიანი ტარიფი ეკუთვნოდა, მაშინ ახლა გაზრდილი ტარიფი უკანონო არ გამოვა, მაგრამ 16 თეთრი, როგორც გითხარით, თავიდანვე უკანონო იყო...

**— ბატონო თემურ, არ შეიძლება, სემეკ-ის ბოლო გადაწყვეტილება გასაჩივრდეს?**

— კი, შეიძლება, მაგრამ საჩივარს მე ვერ შევიტან, რადგან „ენერგო პრო“-სთან შეხება პირდაპირ არ მაქვს, ანუ მისი აბონენტი არ ვარ — „ენერგო პრო“ თბილისში არაა.

**— თბილისში „თელასია“, რომელმაც სემეკ-ს ტარიფის გაზრდის მოთხოვნით უკვე მიმართა...**

— სხვათა შორის, „თელას“-მა, ერთის გარდა, ვალდებულებები განახორციელა.

**— ეს ერთი, არგანხორციელებული ვალდებულება რომელია?**

— მოსახლეობასთან ხელშეკრულებები არ გააფორმა... 2007 წელს, „თელასის“ ტარიფი კლებაზე უნდა წასულიყო, რადგან საინვესტიციო პროგრამა დაამთავრა, მაგრამ ამ დროს სცენაზე ისევ ზურაბ ნოღაიდელი გამოჩნდა, რომელმაც „თელასის“ ხელმძღვანელობასთან ახალი მემორანდუმი გააფორმა, რომლის მიხედვითაც, ტარიფი გრძელვადიანი, ანუ 2015 წლამდე გადაუხედავი გახდა. სანაცვლოდ, „თელასს“ ასმეგავატიანი ჰესი უნდა აეშენებინა, მაგრამ არ ააშენა.

**— ამ შემთხვევაშიც, საქმე დანაშაულამდე მიდის?**

— დიახ...

**— ყველაფერ ამაზე ენერგოომბუდსმენი რას ამბობს?**

— სემეკ-ის სხდომაზე ენერგოომბუდსმენს ვკითხე, არჩეული ხართ თუ დანიშნულიმეთქი. პარლამენტის დარგობრივმა კომისიამ ამირჩიაო, მაგრამ დარგობრივმა კომისიამ ომბუდსმენი როგორ უნდა აირჩიოს? — ესე იგი, დანიშნულია, სემეკ-ში ზის და მას ექვემდებარება.

**— მაშასადამე, ენერგოომბუდსმენი ხალხის ინტერესებს ვერ დაიცავს?**

— გამორიცხულია...

ადრე კარგი ენერგოომბუდსმენი გვყავდა — დათო ებრალიძე, სერიოზულად მუშაობდა, მაგრამ თუ ენერგოომბუდსმენი დამოუკიდებელია, სემეკ-ს, რომელიც, ასევე, დამოუკიდებელი ორგანოა, არ უნდა ექვემდებარებოდეს...

**— ბატონო თემურ, სემეკ-ში ორი წევრის ადგილი ვაკანტურია... კერძო საუბრისას ისიც თქვით, მოსწრებაზე არიანო...**

— 3 ოქტომბრის სემეკ-ის ერთ-ერთ წევრს ვადა უთავრდება და უკვე სამი ვაკანსია იქნება... არ ვიცი, ვინ შევა...

**— სემეკ-ის წევრებს ვინ ან სად წარადგენს?**

— კანდიდატურებს პრეზიდენტი, მთავრობასთან ერთად, პარლამენტს წარუდგენს და საკანონმდებლო ორგანო ამტკიცებს... სხვათა შორის, სემეკის წევრობის ერთ-ერთი მაძიებელი ვარ — საბუთები შეტანილი მაქვს. აქამდე ამის ინტერესი არ მქონია... მარეგულირებელში ახალი ხალხი რომ შევა, დავალებებს აღარ შეასრულებს. ამიტომ, მაფია ამუშავებულია და ყველანაირად ცდილობს, რომ ისინი, ვისი განწყობაც ცნობილია, დაბლოკონ.

**— ე.წ. „ნაციონალურ“ მაფიაზე ლაპარაკობთ?**

— „ნაციონალურია“ თუ სოციალური, ეს ენერგომაფიაა! ისე, სემეკ-ის წევრობის უკვე 30 მაძიებელია, აქედან ერთ-ერთი ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე, ქალბატონი ვალიშვილია... გეუბნებით, მაფია სერიოზულად მუშაობს-მეთქი!

**— მაფიას დენის გადასახადის გაზრდა ხელს რატომ აძლევს? — ყველაფერ ამას ხომ შეიძლება, სოციალური ბუნტი მოჰყვეს?**

— მერე, რა?! ქვეყანაზე შესტკივათ გული თუ რა? ამ გაზრდილ თანხას, სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაიხდის, ანუ ისევ ხალხის გადასახადია.

**— ბიუჯეტიდან სუბსიდირება ბიუჯეტს უარესად დაანგრევს. ხელისუფლება ამაზე რატომ მიდის?**

— იმიტომ, რომ ხალხის უკმაყოფილება როგორმე გადაიფაროს...

**— ენერგოტარიფის გაძვირებას სხვა პროდუქტების გაძვირებაც მოჰყვება, არა?**

— დიახ, პური, წყალი... ყველაფერი გაძვირდება.

**— გაზიც?**

— ალბათ, გაძვირდება... ისე, გაზთანაც დახურული თემებია...

**— „ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება დენის ტარიფის გაიაფება იყო...**

— მგონია, რომ გარკვეულმა ჯგუფმა ბიძინა ივანიშვილი შეცდომაში შეიყვანა, ტარიფი რომ შევამციროთ, ენერგეტიკა დაგვენგრევაო.

**— რომელ ჯგუფს გულისხმობთ?**

— „ოცნება“, ხელისუფლებაში რომ მოვიდა, ექსპერტების ჯგუფი შექმნა, რომელიც მერე დაშალეს.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ კლანისთვის ეს ჯგუფი საჭირო არ იყო. ბიძინა ივანიშვილს ტარიფის შემცირება გულწრფელად უნდოდა, მაგრამ დაარწმუნეს, რომ არ შეიძლება.

**— ბატონო თემურ, შეიძლება, შეთქმულების თეორიაა, მაგრამ გამორიცხულია, ლარის კურსის დაცემის უკან ენერგომაფია მდგარიყო?**

— ამ აზრს არსებობის უფლება აქვს... ისე, ლარის კურსის დაცემით ბანკებმაც უდიდესი მოგება ნახეს... ხომ ვიცით,ეროვნულ ბანკს და სემეკ-ს რომელი ჯგუფიც მართავს?.. საარჩევნოდ სიტუაცია საკმაოდ ამღვრეულია.

**— „ენერგო პრო“-ში ფარული რუსული ინტერესებია?**

— თავიდან ასეთი აზრი არსებობდა, მაგრამ, როგორც ვიცი, უფრო ქართულია... ამ ქართულ ინტერესებს კი, ნოღაიდელი და მერაბიშვილი ლობირებდნენ...

**— მაშასადამე, დღეს „მუსიკას“ ისევ ვანო მერაბიშვილი „უკვეთავს“?**

— ყოველ შემთხვევაში, ციხიდან შემოსვლას ელის... ეს ისეთი ბერკეტია, რომლითაც შეუძლიათ, სოციალური ჯანყი ნებისმიერ დროს მოაწყონ. სემეკ-ს ხელი პულსზე უდევს...

**თემურ ჭიჭინაძის თქმით, ყველაფერი მაშინ დალაგდება, როცა სემეკ-ი გამჭვირვალე გახდება, მისი წევრები პარტიული ნიშნით არ დაინიშნებიან და კომპანიების კი არა, ხალხის, ანუ მომხმარებლის ინტერესებს გაატარებს...**

**ვანო პავლიაშვილი**

## საზოგადოება

# რუსული ოქრო თბილისში ისევ პოპულარულია?!

**შესასვლელთან უამრავი ხალხია. ვიღაცა ხმამაღლა ყვირის, ჩქარა, წყალი მოიტანეთ, ქალია ცუდადაა... ახლოს მივდივარ — გულწასული შუახნის ქალი მიწაზე წევს. — გაიწიეთ, ხალხო, ისედაც ცხელა, ჰაერი სჭირდება, — ყვირის მეორე ქალი, რომელიც იქვე გაშლილი დახლიდან წამოდგა და ავადმყოფს თავზე დასტრიალებს... ვიღაც სასწრაფო დახმარებას ურეკავს... — ეს ხომ ჩვენი მადონაა, — ამბობს წითელპომადიანი, რომელმაც ხმაურისა და აყალმაყალის გამო, მოშორებით მდგარი დახლი მიატოვა და გულწასული ქალისკენ წამოვიდა..**

## „გრამი ოქრო 50 ლარი ღირს, ბაჯაღლო — 85...“ — რეპორტაჟი ოქროს ბირჟიდან

ამასობაში, სასწრაფო დახმარებაც მოვიდა — ექიმებმა წნევა გაუზომეს და თქვეს, სიცხის გამო, წნევა დაეცაო... წყალი დაალევინეს, ურჩიეს, ერთი ჭიქა ყავა დაელია და წავიდნენ... მადონას, რომელიც ე.წ. ვაგზლის გარემოვაჭრეა, როგორც მერე გავარკვიე, გული სიცხის კი არა, უფრო დიდი პრობლემის გამო წასვლია.

— რა დაგემართა? — ეკითხება კოლეგა.

— ახლა ჩვენთან იყო შემოსული, ავადმყოფობის არაფერი ეტყობოდა, ოქროს რგოლი შემოიტანა და ჩააბარა გოგოებს, — მადონას პასუხს აღარ უცდის ე.წ. ვაგზლის ოქროს ბირჟიდან გამოსული მამაკაცი...

მადონამ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო და დაადასტურა, რომ ცოტა ხნის წინ, უკანასკნელი ოქროს ბეჭედი, მართლაც, ჩააბარა. ოქროს ბირჟიდან გამოსულს კი, ვიღაცამ საფულე გამოსტაცა, შვილის ენციფალოგრამისთვის ნაშოვნი ფულიც დაკარგა და მთელი დღის ნავაჭრი 15-ოდე ლარიც...

ასეთი რაღაცები ვაგზალზე, თურმე, ყოველდღე ხდება — „ჯიბის ქურდები“ ისევ გამოჩდნენ... საქმეში პოლიცია ჩაერია... მე კი, ოქროს ბირჟაზე, ცოტა არ იყოს, დაზაფრული შევედი.

— ოქროს ხომ არ აბარებთ? — ერთდროულად მომაძახა რამდენიმემ და ჩემი საქორწინო ბეჭედი, როგორც იტყვიან, მუშტრის თვალით შეათვალიერა... როცა გაიგეს, რომ ოქროს ჩაბარება არ მინდოდა, დახლებისკენ მიმითითეს, იქნებ, ყიდვა გინდაო და ოქროს ნაკეთობების დათვალიერება შემომთავაზეს.

ხშირად არა, მაგრამ ოქროს ბირჟაზე ადრეც ვყოფილვარ. ყოველთვის იმდენი ხალხი ირეოდა, ფეხის გადადგმა გაგიჭირდებოდა. ახლა კი, როცა გავიხედ-გამოვიხედე, აღმოვაჩინე, რომ ამხელა დარბაზი თითქმის ცარიელია — სულ რამდენიმე ადამიანი ტრიალებს და აქედან მყიდველს ერთიც არ ჰგავს.

ნივთების დათვალიერება დავიწყე. ასორტიმენტი დიდია, მაგრამ არჩევანი მაინც გაგიჭირდება... ოქროს ბირჟა ცნობილი ოქროსმწარმოებელი კომპანიების უხარისხოდ გაკეთებულ მოდელთა ასლებს მიაქვს. აქა-იქ საბჭოთა პერიოდის წითელთვლიან სამკაულებსაც შეხვდებით. მართალია, ამ საკითხში ექსპერტად არ გამოვდგები, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ ხარისხიანი ოქროთი მხოლოდ ეს ძველი ნაკეთობებია დამზადებული.

— რა ღირს გრამი ოქრო? — ვეკითხები ერთ-ერთ გამყიდველს.

— ოქრო გაინტერესებს თუ ბაჯაღლო? — მიბრუნებს შეკითხვას.

— რა ვიცი... ორივე ოქრო მგონია და... ორივეს ფასი მითხარით.

მატყობს, რომ მყიდველი არ ვარ და ცალუბად მპასუხობს:

— გრამი ოქრო 50 ლარი ღირს, ბაჯაღლო — 85... თუ მყიდველი ხარ, დაკლებაც შეიძლება.

გზას ვაგრძელებ და დახლებს შორის დავდივარ. სულ ერთნაირი საქონელია, ყველას „სომხური სუნი ასდის“, ანუ თბილისის ოქროს ბირჟა სომხურ ოქროს, უხარისხო და, ცოტა არ იყოს, უგემოვნო ნაკეთობებს მიაქვს...

ანაზდეულად, ჩემი ყურადღება ერთმა დახლმა მიიქცია: სტანდარტულია, როგორც ყველა, მაგრამ გადაჭედილი არაა. დახლზე რამდენიმე ნაკეთობა დევს... ყველა კარგი ნამუშევარია და გამორჩეული. ამდენ „ბარახლოში“ კარგის გამოჩენა გამიხარდა და დახლთან მდგომ ქალბატონს გამოველაპარაკე...

ქალბატონი თამარი ოქროს ბირჟაზე „ახალბედაა“ — ორი წელია, მუშაობს.

— სადაური ნამუშევრებია? — ვინტერესდები.

— ქართული... ჩვენთანაა დამზადებული — ჩემი მეუღლე ოქრომჭედელია და ამზადებს. ამიტომ შემიძლია, ხარისხზე თავი დავდო.

— სხვა ოქრო, რომელიც ბაზარზეა, უხარისხოა?

— აი, ამ ბეჭედს შეხედეთ, — ბრილიანტისთვლიან საქორწინო ნაკეთობას მაჩვენებს, — ამის დამზადება ჩემს მეუღლეს, ხელობის გარეშე, 180 ლარი უჯდება, ახლა, გაიარეთ და ნახეთ, იგივენაირი ნაკეთობა რა ღირს — 170 ლარი. ამის მერე კიდევ მეტყვით, რომ ხარისხიანი ნაკეთობები იყიდება?

— გამოდის, რომ მთელი ბაზარი უხარისხო ოქროთია სავსე, — ვუმხელ, ვინც ვარ და რაც მაინტერესებს,

— თუ ნამდვილი ოქროს ყიდვა გინდა, აქ არ უნდა შეიძინო.

— არც ე.წ. ჩაბარებული ოქრო?

— ჩაბარებულ ოქროს სხვა პრობლემები „აქვს“ — იმდენჯერაა დალომბარდებული, რომ სულ გადაფხეკილია,

— რატომ?

— სინჯისთვის ნაწილაკს ყველა ლომბარდი იღებს... აქ უმეტესობა ისეთი მოდის, ვისაც ოქრო საჩუქრად უნდა. ის კი, ვინც ნამდვილი რუსული ოქროს ფასი იცის, აქ არ შეიძენს, წავა და ოქრომჭედელს დაამზადებინებს.

— თქვენ რატომ ხართ აქ, თან ამბობთ, რომ ჩემს ნაკეთობაზე პასუხს ვაგებო. როგორც ვატყობ, ჩამბარებელი უფრო მეტია, ვიდრე — მყიდველი. რამე გამოგდით?

— დახლში, ყოველთვიურად, 250 ლარს ვიხდი, დილიდან საღამომდე აქ ვზივარ და მთელი თვე შეიძლება, 200-300 ლარი გავაკეთო, მაგრამ მაინც არ ვაგებ, რადგან ჩემს პროდუქციას ვყიდი.

— თქვენი მოდელების დიდი ნაწილი თეთრი ოქროთია დამზადებული, ანუ თეთრი ოქრო, ევროპისა არ იყოს, ქართულ ბაზარზეც მოთხოვნადია?

— ჩვენთან მაინც რუსული ოქრო ურჩევნიათ, მაგრამ ძალიან ცოტაა... ისე, ახალგაზრდები უპირატესობას თეთრ ოქროს ანიჭებენ.

...ქალბატონ თამარს ვემშვიდობები და დახლებს კიდევ ერთხელ ვაკვირდები. გული არაფერზე მწყდება, რადგან უკვე ვიცი, რომ ამ ნაკეთობების შეძენისას, შინ, ოქროს ნაცვლად, დიდი რაოდენობით ბრჭყვიალა უხარისხო მეტალს წავიღებ...

**ნათია ვერძეული**

№ 30 (294)
29-VII 4-VIII 2015

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

უმრავლესობის ტრიბუნა

# საით მიდის ზაზა პაპუაშვილის მატარებელი



**ყოველგვარი შესავლის გარეშე, გთავაზობთ ინტერვიუს მსახიობთან, მთაწმინდის მაჟორიტარ დეპუტატთან, საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ზაზა პაპუაშვილთან.**

**„ალმომიჩენია ჩემს თავში გაშმაგება, მრისხანებაც, მაგრამ ქვებს არ ვისვრი...“**

**— ბატონო ზაზა, ცოტა ადრე რომ შეგხვედროდით, საუბარს, ალბათ, სხვანაირად დავიწყებდი, მაგრამ რუსეთმა საზღვარი ისევ გადმოსწია...**

— ამ თემაზე რომ ვისაუბროთ, გამომწვევ მიზეზებსა და საფუძველზე, უკან უნდა წავიდეთ და ცოტა შორიდან დავიწყოთ. ძალიან კარგად ვიცი, თუ საიდან დაიწყო და ამ შეკითხვას პასუხი როგორ გავცე, მაგრამ ეს ძალიან დიდ დროს წაიღებს...

**— გვაქვს დრო, ბატონო ზაზა, გისმენთ...**

— ჩვენ ახლა „რეზულტატს“ ვხედავთ. უფრო გულსატკენი და გულდასაწყვეტი ისაა, აქამდე როგორც მოვედით. დღევანდელ შედეგს საკუთარი ბიოგრაფია აქვს: 25 წელი გავიდა, რაც ჩვენმა უგულობამ, უცოდინრობამ, უტვინობამ და უილაჯობამ დაგვღუპა, ჩვენ კი, სწორი დასკვნა მაინც ვერ გამოვიტანეთ. საქართველომ ცხოვრება უფრო და უფრო უტვინოდ გააგრძელა და ჩიხში უფრო მეტად შევიდა. აი, გული ყველაზე მეტად ამაზე მწყდება... დღეს კი, ეს მომენტი დაგვიდგა...

ყველამ კარგად ვიცით, თუ რა არის და როგორია რუსეთი. რა საჭიროა ისევ ამ ადგილის ტკეპნა, ყოველ ჯერზე ერთი და იგივეს გამეორება და ამით ვიღაცისთვის პოლიტიკური ქულების დაწერა? ეს ხომ, სინამდვილეში, არაფერს გვაძლევს?! დღემდე ვერ მოვახერხეთ იმის სწორი ანალიზი, თუ რა ავნო რუსეთმა საქართველოს 200 წლის განმავლობაში. დღემდე ჩვენს ისტორიას მხოლოდ ფაქტების გროვად აღვიქვამთ და მეტი არაფერი. ხელის გაშვერა, ლანძღვა, სხვაზე გადაბრალება, რა თქმა უნდა, იოლია და ჩვენც ასე მოვიქეცით... არ ვიფიქრეთ, თუ როგორ უნდა აგვეცილებინა თავიდან ის შედეგი, რომლისკენ სვლაც ეროვნული მოძრაობიდან დაიწყო და რომელსაც, თავის მხრივ, დიადი მომენტები ახლავს, მაგრამ ასევე, — კატასტროფული შეცდომებიც. ეს შედეგი მხოლოდ არასწორი ლოზუნგებითა და გამონათქვამებით, გულში ღალატის გავლებითა და მცდარი ნაბიჯებით კი არა, რეალობიდან მოწყვეტითა და სიტუაციის გაუაზრებლობითაც მივიღეთ. აი, ეს არის ჩემი საწუხარი. უამრავი რამის მომსწრე და მონაწილე ვარ. ასე რომ, ყველაფერი კარგად მახსოვს. სადაც ბეტონს დავინახავდით, გავექანებოდით და თავს ვუბრახუნებდით.

**— ყველაფერი ეს წარსულია...**

— ჰო, ჰო... მაშინაც არ უსმენდნენ ძალიან ბევრ ჭკვიან ადამიანს, მაშინაც იყო „იარლიყების პერიოდი“. ორს დავასახელებ: რეზო თაბუკაშვილს და მერაბ მამარდაშვილს.

**— ეს ხელისუფლების ბრალია თუ საზოგადოებისაც?**

— საზოგადოებასაც აქვს ამ დაავადების ნიშნები, მაგრამ წინამძღოლობა იმას ნიშნავს, რომ ერი აღტკინებული, ცრუ და მხოლოდ ემოციური ტალღით კი არა, გააზრებულად კვებო. ამიტომ მივედით სამოქალაქო ომამდე. ყველაფერ ამის ქვესათაურებად დალაგება და განვრცობაც შეიძლება, მაგრამ ძირითად პრინციპზე ვლაპარაკობ.

**— მაშინ ემოცია გვერდზე გადავდოთ და პირდაპირ მითხარით: როდემდე შეიძლება, რუსეთმა საზღვარი გადმოგვიწიოს? ხელისუფლება რის გაკეთებას აპირებთ?**

— რუსეთის ძირითადი შეცდომა, რომელიც თავად ძალიან ავნებს, ისაა, რომ არ არის ნორმალური და პროგრესული ქვეყანა — მთელ მსოფლიოს „კუნთების ენით“ ელაპარაკება და ამიტომ, თითქმის წარმოუდგენელია, მასთან ურთიერთობის მომავალი ვინმემ განჭვრიტოს და საკუთარი საქმის კეთება მშვიდად გააგრძელოს. რუსეთი, ვფიქრობ, განსაცდელის წინაშეა. მოარული ხმაა, დაველოდოთ და რუსეთი მალე დაიშლებაო, მაგრამ ამაზე მეცინება და ცოტა უტოპიად მიმაჩნია. ვინც ასე ფიქრობს, მაშინ ისიც ახსნას, ეს ჩვენს რეგიონში რა კატაკლიზმებს გამოიწვევს და, საერთოდ, რას მოიტანს. რუსეთი პროგრესულ ქვეყნად უნდა გადაიქცეს, რომ მასთან ურთიერთობისას რაღაც შედეგის მიღწევა შიძლებოდეს. ამ ეტაპზე კი, რთულია, მაგრამ მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დავჯდეთ, თან მთელი მსოფლიო ამას გვიკიჟინებს... ჩვენს თავზე რამენაირად უნდა ავმაღლდეთ და რუსეთთან საუბარი მოვახერხოთ. გულში არ უნდა გავივლოთ, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს დავემშვიდობებით.

მოდი, საკითხი ასე დავსვათ: საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ჩვენი ბიუჯეტითა და რაოდენობით, რუსეთს ომს მოვუგებთ? — ვერა. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ თუ არა რუსეთთან ომზე? — არა. მისმა ასეთმა არაადექვატურმა საქციელმა მსოფლიოში რეალობა, პრინციპში, შეცვალა. თავი დავანებოთ საქართველოს, მსოფლიოში ვერ დავინახე ძალა, რომელსაც რუსეთთან ფიზიკური დაპირისპირება აზრად მოუვა. გეთანხმებით, რომ უმწეობის გარკვეული განცდა არსებობს, მაგრამ ის, რაც ჩვენ დავიმართეთ, ჩვენი ბრალია. როდესაც ურთიერთობა ასეთ მეზობელთან გაქვს, არ მგონია, ის რიტორიკა გამოდგებოდეს, რომელიც მის მიმართ წინა ხელისუფლებას ჰქონდა. არ ვიცი, ვაჟკაცობას სჩადიოდა, ნახეთ, რა მაგრები ვართ, რუსეთს ვაგინებთო თუ რას აკეთებდა, მაგრამ თუ მარტო ამ ნიშის დაკავება გვინდა, ეს ძალიან ცუდი ნიშაა. გამოდის, ვიღაცის დაკვეთას ვასრულებთ, რუსეთს უფრო ვუჩიჩხინებთ და სანაცვლოდ, მწარე ალიყურს ვიღებთ.

**— და ტერიტორიებიც იკარგება?**

— ტერიტორიებიც იკარგება და წონასწორობასაც ვკარგავათ. ჩვენ ჩვენი ტერიტორიების დაკარგვის თანამონაწილე არ უნდა ვიყოთ!

**— ესე იგი, რადგან არაფრის გაკეთება შეგვიძლია, ნებისმიერი ტალახი, რომელსაც რუსეთი გვესვრის, უნდა ავიტანოთ?**

— როგორი გაჭირვებაც უნდა დაუდგეს ქვეყანას, აუცილებლად ეძებს გამოსავალს, ალტერნატიულ გზებს, დროებით მაინც, რათა გადარჩეს და არსებობა არ შეწყვიტოს. ვფიქრობ, ჯერ კიდევ შინ არის ბევრი რამ დასალაგებელი, როგორც სამოქალაქო საზოგადოებაში, ასევე, — პოლიტიკურ წრეებში. უმჯობესია, როდესაც ასეთი ჟამი დგება, მთელ ქვეყანას, გარკვეული საკითხების მიმართ მაინც, ერთი პირი ჰქონდეს. არსებობს საკითხები, რომელთა წინაშეც ყველა, მტერი თუ მოყვარე, უნდა გაერთიანდეს.

საქართველოსა და მის გარეთაც ურთულესი მდგომარეობაა. ქვეყანას ნიშნის მოგებით არ უნდა ვუყუროთ და ემოციურ ფონზე რაღაც სიტყვები არ ამოვისროლოთ, პირიქით, პირიქით... თორემ, ეს სიტყვები შემდეგ სხვა მნიშვნელობას იღებს. ამას ყურადღებას წინა ხელისუფლება არ აქცევდა. მეტიც, მას ჰქონდა გეგმა, რომ დაეკარგა სამაჩაბლოც და აფხაზეთიც, ისიც, რაზეც ახლაა საუბარი და, ნებსით თუ უნებლიეთ, გახდა ამ პროვოკაციის თანამონაწილე. მან შექმნა ასეთი ვითარება... ნატო, საქართველოს მსგავს კომფლიქტურ ქვეყანას, საკუთარ რიგებში არ იღებს. სამაჩაბლო დაიკარგა, აფხაზეთი დაიკარგა, საზღვრები გაკეთდა და ახლა მაინც მიგვიღეთო, მაგრამ, აბა, ქართველ ხალხს ჰკითხეთ, ეთანხმებიან ასეთი მდგომარეობით რომელიმე გაერთიანებაში შესვლას?!

წინააღმდეგი ვარ, ორი ზესახელმწიფოს ჭიდილში ჩემი პატარა ქვეყანა გაიჭყლიტოს. ჩვენში უკვე ნაკლებად ლაპარაკობენ პატრიოტიზმსა და ქვეყნის ჭეშმარიტ სიყვარულზე, ამოჩემებული გვაქვს სქემატური თემები: ნატო, ნატო, ნატო, ნატო, ნატო... ევროპა, ევროპა, ევროპა... რას ვგულისხმობთ? ჩემთვის ევროპის ყველაზე დიდი ფასეულობა, პირველ რიგში, ქრისტიანობაა... მისი ლიტერატურა, ხუროთმოძღვრება, ფილოსოფია, მუსიკა... აი, ეს ფასეულობები მაინტერესებს და არა — ის ჭუჭყი და უბედურება, რომელიც საკუთარ თავში მას თავად არ მოსწონს და ჩვენ ამ ჭუჭყს უნდა გავუხსნათ კარი — აბა, ქაჯები ხომ არ ვართ, ჩვენც ხომ ევროპელები ვართო?!

**— ხომ შეიძლება, დასავლეთისგან ის ავიღოთ, რაც კარგია?**

— აგაშენათ ღმერთმა! მაგას ვლაპარაკობ, რომ ავიღოთ ის, რაც მეც მეძვირფასება და შენც... ღმერთმა დამიფაროს, არც იმას ვამბობ, დიქტატურა და ერთი აზრი უნდა იყოს გაბატონებული-მეთქი. მე იმ ფასეულობებს ვგულისხმობ, რომელზეც სახელმწიფო შენდება.

**— ეს გამოგვივა?**

— რასაკვირველია, გამოგვივა. გამოუსვლელი არაფერია, გააჩნია, როგორ გინდა, რა ხარისხით გინდა, მართლა გინდა და მზად ხარ თუ არა, განათლება, ცხოვრების ის დონე და პროგრესი მიიღო, არ ჩამორჩე და, პირიქთ, დაეწიო კიდეც, თან საკუთარი თვითმყოფადობა ანუ ის შეინარჩუნო, რისთვისაც სახელმწიფო არსებობს. ეს უმთავრესია.

**— როგორ ფიქრობთ, ყველაფერი ეს მართლა გვინდა?**

— პოლიტიკოსების ყველაზე დიდი დანაშაული ისაა, რომ ადამიანების დაჩეხვასა და დანაწევრებაში დიდი წვლილი მიუძღვით. ეს, რა თქმა უნდა, ყველას არ ეხება, მაგრამ ჩემს შეშფოთებას პოლიტიკაში თავის დასამკვიდრებლად წასული უნიჭო ადამიანები იწვევენ. ზოგიერთ პოლიტიკოსს ვუსმენ და ტანში მზარავს მათი ასეთი უმეცრება, უსულგულობა და არასერიოზულობა...

რასაკვირველია, ადამიანების ტვინის გამორეცხვაში ჟურნალისტიკამაც დიდი როლი ითამაშა, განსაკუთრებით, — ტელევიზიამ და ეს ახლაც გრძელდება. ცნობილი ფორმულებია — როგორ გამოვურეცხოთ ადამიანს ტვინი და გავხადოთ აბსოლუტურად ინერტული.

რას აკეთებს დღეს მასმედია? — აჩლუნგებს, აშუქებს ტენდენციურ და ხშირად ცრუ ინფორმაციას და, ბოლოს და ბოლოს, ადამიანებს ნერვებს უშლის! იშვიათად არიან კარგი გამონაკლისებიც, მაგრამ არიან სულ-გულდაკოდილი ადამიანები, რომლებიც ვერ ხვდებიან, ვერც არსს, ვერც ფორმას და ხშირად მათი პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია კრიტიკასაც ვერ უძლებს. კრიტიკის მოსმენა კი, მოგეხსენებათ, ჭირს — ეს ლანძღვა ჰგონიათ... თავისუფალი აზრის მოსმენა ძალიან ცოტას შეუძლია. თავისუფალი აზრის გამოხატვაც ძალიან ცოტა ადამიანს შეუძლია და ასევე, ცოტაა გამგონიც. ასე რომ, ზოგჯერ სიტყვებს ამოვეფარებით და ვამბობთ ხოლმე, ეს ჩემი ადამიანური უფლებააო, მაგრამ ამის უკან, შეიძლება, ათასი საშინელება ისე ვაკეთოთ, როგორც დროშით მოსულმა ხელისუფლებამ საქართველოს დედა უტირა!

**— თავისუფალი აზრის მოსმენა და გამოხატვა ზაზა პაპუაშვილს შეუძლია?**

— ვცდილობ... არავის ვეჯიბრები, თავი არც ვინმეზე უკეთესი მგონია და არ მინდა, დავიჩემო, ერთადერთი და განუმეორებელი აზრის მქონე ვარ-მეთქი. ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ, ცოდვილი, რომელსაც შეცდომებიც დაუშვია და უშვებს კიდეც, მაგრამ საკუთარ თავთან მაქვს პრეტენზია, ოდნავ მაინც ვიცხოვრო ისე, როგორც ვამბობ.

**— გულწრფელი ხართ?**

— ვცდილობ! შეიძლება, ძალიან ძნელია, მაგრამ ვცდილობ. ხანდახან საქმე სიტყვას

გაგრძელება მე- 11 გვ.

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## უმრავლესობის ტრიბუნა

მე-10 გვერდიდან

დაშორდება ხოლმე, მაგრამ როდესაც სიტყვისა და საქმის ერთმანეთთან მიახლოება გამომდის, ბედნიერების განცდა მეუფლება.

**— ამ მცდელობის „ბრალი“ ხომ არაა, რომ ბევრი ბრაზიანად და აგრესიულად გიცნობთ?**

— არ მინდა, სიბრაზესთან დაკავშირებით ლიტერატურული შედარებები მოვიყვანო, მაგრამ მრავალფეროვნება კი მჭირს. შემიძლია, სევდიანიც ვიყო, მოწყენილიც, ენერგიულიც, ვიღიმოდე, მიხაროდეს...

**— ეს თქვენგან, როგორც მსახიობისგან, გასაკვირი არცაა...**

— დიახ... და აღმომიჩენია ჩემს თავში გაშმაგება, მრისხანებაც კი, სიბრაზეზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგრამ ქვებს არ ვისვრი და ადამიანებს თავს არ ვესხმი. ამას რაღაც მოტივაციები ახლავს. მინდა, ეს შევამცირო, ვებრძოლო, ხან გამომდის, ხან — არა. უმიზეზოდ თავს ნამდვილად არავის ვესხმი.

თქვენი გაზეთიდან მივმართავ ზოგიერთ ჟურნალისტს, კი არ ვემუქრები, უბრალოდ, ადამიანურად ვაფრთხილებ: თუ ჩემთან კამათი მოესურვებათ, არგუმენტებით მეკამათონ და, იცოდნენ, რომ ურთიერთობაში მეტი დელიკატურობაა საჭირო.

**— წელან ჩამოთვალეთ — სიხარული, გაბრაზება, მოწყენილობა... თქვენში ყველაზე დიდი რაოდენობით რომელია?**

— ხსოვნა. ადამიანების ხსოვნისადმი ერთგულება, პატივისცემა, ყურადღება და ძალიან დიდი სურვილი, რომ ვიყო ადამიანი, რომლის ბიოგრაფიაც სხვას რამეს შეუმსუბუქებს და ვიღაცისთვის საყრდენი იქნება. ასეთი რომანტიული, გიჟური სურვილი ნამდვილად მაქვს — მინდა, მაგალითი ვიყო ჩემი ჩადენილი საქციელებით.

**— ბატონო ზაზა, როგორ გგონიათ, ამ სურვილს საზოგადოება ხედავს ან ხალხი პატივს რის გამო გცემთ?**

— არ ვიცი, როგორ ვილაპარაკო ხალხის მაგივრად... უსიყვარულობა არასოდეს მჭირდა, სიძულვილით და შერცხვენილს ამ ქვეყნად არ მივლია, სიყვარულიც მხვდა წილად და პატივისცემაც, მაგრამ ხალხთან ურთიერთობა რთულია. ვიცი, რომ დღეს შეიძლება, მეფედ შეგრაცხონ, ხვალ კი, იყვირონ, ჯვარს აცვით! ეს კლასიკაა და არასოდეს მავიწყდება. აი, სწორედ ასეთი რამეებია ჩემი საყრდენი ცხოვრებაში. ხალხი კი, ყველანაირია: უმადური, ვერაგი, სეირის მაყურებელი, შენი მოძულე და მოშურნეც, ასევე, კეთილი ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც ხელსაც გამოგიწვდიან, სისხლსაც გადაგისხამენ და არც ულუკმაპუროდ დაგტოვებენ. ახლა, თქვენ გამოიტანეთ დასკვნა, თუ როგორ შეიძლება, ხალხმა შემაფასოს. პრინციპში, ცხოვრება სარკესავითაა და როგორც გაგიცია, ისე დაგიბრუნდება. მინდა, ამ გზას არ ავცდე და დავრჩე მართალი ჩემს ფიქრებთან, მრწამსსა და პრინციპებთან. ასაკის მატებასთან ერთად, რა თქმა უნდა, სამივეში შედის კორექტივები, მაგრამ ძირითადი არსი, კონსტრუქცია, მინდა, ასეთივე დარჩეს. ასე რომ, ჯერ არ ვამთავრებთ, ვაგრძელებთ!

**— ამბობენ, დეპუტატის სკამმა ზაზა პაპუაშვილი შეცვალაო...**

— მოდი, ვილაპარაკოთ, რა სკამია, რა გავლენისა და წონადობის მქონე და შემდეგ, ვიმსჯელოთ, რატომ უნდა შევეცვალე და რა შეიცვალა. ცვლილება, რასაკვირველია, არის, მაგრამ ამ სკამმა, როგორც ეგ ადამიანები უწოდებენ, დაღლილობის, ხეტიალის, გულისტკივილის, ხვეწნა-მუდარისა და დავიდარაბის მეტი, კაცმა რომ თქვას, არაფერი მომიტანა. შემცვალა იმ მხრივ, რომ მეტი რამ მასწავლა. ამ ხნის განმავლობაში, თუ ვინმეს ჩემთან ურთიერთობა ჰქონია, თუ ნამდვილად ჰქონია, ჩემს ოლქში ერთი ადამიანიც კი, თუ ის ტვინგახრწნილი არ არის, ვერ იტყვის, რომ ტელეფონს არ ვიღებ, ან მოქალაქეებს არ ვხვდები, თუ, რა თქმა უნდა, ან ქუთაისში არ ვარ, ან კომიტეტში, ან სადმე მსგავს ადგილას. ასე რომ, „ჩემს დეპუტატს ვერ ვნახულობ“ — ეს ჩემში არანორმალურ ქარტეხილს და სიბობოქრეს გამოიწვევს. თავად ნახეთ, დღეს რამდენი ადამიანი იყო... ამ ხნის განმავლობაში, არ ყოფილა შემთხვევა, რამე პრობლემა ყოფილიყო და იქ არ გავჩენილიყავი. სხვა თემაა, მოგვარდა თუ არა...

რაც შეეხება ჩემს სადეპუტატო ცხოვრებას, აქტიური დეპუტატი ვარ და სხდომებს არ ვაცდენ. აბსოლუტურად ყოველთვის გამოვთქვამ ჩემს აზრსა და წუხილს ნებისმიერ განსახილველ თემაზე, გამოვთქვამ ჩემი ამომრჩევლების აზრსაც — მათი სიტყვა საჭირო ადგილას მიმაქვს. ვიმუშავე თეატრის კანონის ერთ-ერთ შესწორებაზე და შემდეგ, მთლიანად თეატრის კანონზე, რომელიც პირველი მოსმენით გავიდა, მაგრამ მას, რიგი მიზეზების გამო, მსვლელობა არ მიეცა. როგორ ხმამაღლადაც უნდა ჩამითვალოთ, ამ საქმესაც პატიოსნად, ყოველგვარი ხიმანდრობისა და ბუჩქებში დამალვის გარეშე ვემსახურები. ბევრი სიკეთეც გამიკეთებია, მაგრამ ტელევიზორში არ „გამოვშტრიალებულვარ“, ეს გავაკეთე და დამინახეთ-მეთქი

**— სწორედ ამას საზოგადოება „ოცნების“ შეცდომად მიიჩნევს, ბატონო ზაზა და, ამბობს, ხელისუფლებას პიარი არ უვარგაო...**

— ჰო, არის აქ რაღაც სისწორე. სწორი კრიტიკაა და, შეიძლება, მეც მეხება, მაგრამ არის ისეთი თემები, ისეთი ნიუანსები, რომ არ ღირს ტელევიზორში გამოცხადება... იმხელა ბედნიერებაა, როცა პატარა სიკეთე გამოგივა, რომ ვერანაირ სიხარულს მოგიტანს მისი ტელევიზიით ჩვენება. უბრალოდ, უნდა გააკეთო და მორჩა.

**— ესე იგი, რეიტინგის ვარდნის მიუხედავად, სიკეთე, რომელსაც აკეთებთ, გირჩევნიათ, არ გაახმაუროთ?**

— თუ ვინმეს აინტერესებს, როგორ მიდის ჩემი რეიტინგი, ძალიან კარგი პასუხები მაქვს. შევეცდები, ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ამომრჩევლები, ვისაც სურვილი აქვს, შევკრიბო, ჯერ მე დავუსვამ საკუთარ თავს უმწვავეს შეკითხვებს, რომლებიც, შეიძლება, საერთოდ არ მოუვიდეთ მათ თავში და პასუხებს გავცემ, შემდეგ მათ შეკითხვებს მოვუსმენ და ვუპასუხებ.

იცით, ზოგს როგორი დამოკიდებულება აქვს? — მოდის და მეუბნება: აი, თქვენ, რამე გამიკეთეთ? — რა უნდა გაგიკეთოთ? — ვეკითხები. — არა, რამე გამიკეთეთ? — რა უნდა გაგიკეთოთ? — არა, რაღაცა გამიკეთეთ, საერთოდ, ხმა ტყუილად მოგეცითო?! ეს ერთი, ახლა მეორე დიალოგს გეტყვით: ერთი ქალბატონი მოვიდა და გამომიცხადა: ბატონო ზაზა, დენისა და გაზის 2000-ლარიანი დავალიანება უნდა გადამიხადოთო. საიდან-მეთქი, ვკითხე. არ ვიცი, ადრე მიხდიდნენო. ვინ გიხდიდათ-მეთქი და ასახელებდა ვიღაცებს. კი, მაგრამ ვიღებ ხელფასს, არ მაქვს ფონდი, არანაირი სამსახური, რა ფული უნდა გადმოგცეთ ან საიდან-მეთქი და, ტყუილად მოგეცით ხმაო, დაიწყო...

კიდევ ასეთი დიალოგი: — გაჯი მჭირდება, ორი მანქანა. — კი, მაგრამ მე რა შუაში ვარ? — რო ამოდიოდით და დღე და ღამე იძახოდით, ხმა მოგვეცითო... აი, ასეთი რამეები ხდება. ვიღაც დილის 9 საათზე მირეკავს, დეპუტატი ხარო? ვარ-მეთქი, ვპასუხობ. რა გქვიაო. ვუთხარი. — სოლოლაკში (თავის ქუჩას მისახელებს), ჩემს ცხვირწინ დადგეს ნაგვის კონტეინერი და არ შეგიძლიათ, გადადგათ? ასეა, ხმას მოგცემთ და დადიხართ მერე შავი „ჯიპებითო“ და გათიშა. ვიღაცა რომ ამბობს, დეპუტატს ვერ ვხედავო, ასეთი პასუხი მაქვს: სად გინდათ ნახოთ და იქ დაგხვდებით-მეთქი. მერე ვხუმრობ ხოლმე, ილიკო მეველე ხომ არ ვარ, ცხენზე შევჯდე, კიკეთიდან მთებს და ველებს დურბინდით გადმოვხედო და დაგენახოთ, აი, აქ ვარ-მეთქი. ან, დავუშვათ, ვიღაცას ანთებული ასანთი დაუვარდა ძირს და პატარა ცეცხლი გაჩნდა. იწყება შფოთვა, დედა, სად არის ხელისუფლება, სად არის მთავრობა, სად არის დეპუტატი, ჩვენ ხომ ავირჩიეთო. დაადგი, რა, ფეხი, ჩააქრე, რა შუაშია დეპუტატი?!

**— ბატონო ზაზა, მსახიობი ბრძანდებით და, რაც ხელისუფლებაში „ოცნება“ მოვიდა, ხელოვნების სფეროში რა შეიცვალა?**

— არ მესმის, ხელისუფლებამ ხელოვნების სფეროში რამე რატომ უნდა შეცვალოს? სულ მაგას ვლაპარაკობდით, ხელისუფლება არ უნდა ჩაერიოს და თავისუფლება ბოლომდე მისცესო.

**— კი ბატონო, მაგრამ ხელოვნების სფეროში გადაწყვეტილებებს, როგორც ადრე, დღესაც, თურმე, გარკვეული ჯგუფი იღებს...**

— სამწუხაროდ, ასეთ რაღაცას წააწყდებით. შეგნებულ და კვალიფიცირებულ, ნიჭიერ კადრებს ნაკლები ამბიცია აქვთ, ვიდრე — უნიჭო მედროვეებს. სახელმწიფოს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, რომ რაღაც ეტაპზე მაინც, გვერდით დაუდგეს და ცოტა ფეხზე წამოაყენოს, მაგრამ ხელოვანმა საკუთარი გზა თავად უნდა გაიკვლიოს და როცა ბაზარი, კონკურენცია გაჩნდება და დარგი განვითარდება, ყველაფერი თავისით დალაგდება. ხელოვნებას ენთუზიასტები ქმნიან და ეწირებიან კიდეც!

**— ბატონო ზაზა, რა ამის პასუხია და, ლგბტ საზოგადოებას არ სწყალობთ...**

— ამაზეც საკმაოდ მარტივი პასუხი მაქვს: რას ნიშნავს, არ ვწყალობ? — იმას, რომ მიმდინარეობა, რომელსაც ლგბტ გულისხმობს, ჩემი არ არის? ვერც გემოვნებით ვირჩევ, არ მომწონს, არ ვაღიარებ და არ მიმაჩნია სწორად. მე, ჩემი წყობით, ისეთი, როგორიც ღმერთმა გამაჩინა, სხვა, ჯანმრთელ მიმდინარეობას ვეკუთვნი... ეს ფსიქიკური გადახრაა, ინტერესის გამო მოსინჯვა თუ ვიღაცის მიერ იმიჯის შექმნის მცდელობა, ამის მტკიცებას ვერ დავიწყებ. შეიძლება, დაავადებაა, ან რაღაცის ნაკლებობის ბრალია, მაგრამ ჩემთვის, ერთი სიტყვით, ანომალიაა, თუმცა, ჩვენს ქვეყანაში ასეთი ადამიანები ყოველთვის არსებობდნენ, თან უამრავ სფეროში. არასოდეს დამიჩაგრავს ადამიანი, მით უმეტეს, ამ მოტივით. საქართველოში ასეა: რაღაც ქონს შემოაგდებენ ხოლმე და მერე, ყველა ერთად ვეცემით და ვძიძგნით... შემდეგ, რასაკვირველია, მედია ამ თემას ხელოვნურად უფრო აწევს, აწევს, აწევს... და უკვირთ, რატომ არის სტუდიებში ჩხუბი და დაპირისპირება. არადა, ამის მოგვარება, ძალიან მარტივად შეიძლება, გესმით? არანაირი ძალადობის მომხრე არ ვარ, მაგრამ თქვენ, ლგბტ ხართ თუ რაც ხართ, ხომ თავად აირჩიეთ, სახლში ხომ არავინ შემოგივარდათ, თქვენგან რატომ მოდის აგრესია?.. ეუბნები, ეს ჩემი ქვეყანაა, რომელსაც რაღაც პრინციპებითა და ტრადიციებით უცხოვრიაო. ჯერ ეუბნები, მეგობრულად სთხოვ, რატომ მაინც და მაინც რუსთაველზე, მაინც და მაინც, ქაშუეთის წინ, აღლუმი რატომ?.. რატომ ჩვენ, ჯანმრთელ ადამიანებს არ გაგვჩენია სურვილი, ქალებთან ერთად შიშვლებმა გავიაროთ? აი, ავდგეთ და მოვითხოვოთ, რომ „პარადი“ გვინდა მაგარ მამაკაცებს!.. შენ შენი ცხოვრებით იცხოვრე, რატომ გადმოდიხარ იერიშზე და ძაბავ სიტუაციას? კონსტიტუციაშიც გიწერია, რომ შენი უფლება იქ მთავრდება, სადაც სხვისი იწყება. შენ, შენი საქციელით, ლახავ ჩემს უფლებას და მნიშვნელობა აღარ აქვს, უმცირესობა გქვია თუ არა... ასე რომ, უმცირესობამაც შეიძლება, იძალადოს უმრავლესობაზე. ხვდებით, ნელ-ნელა როგორი აზრი მკვიდრდება? — თურმე, შენ შეგიძლია, მოხვიდე ჩემთან და შემაგინო, რადგან ეს შენი არჩევანი და უფლებაა, მაგრამ მე რომ პასუხი გაგცე, თუნდაც ფიზიკურად, უკვე აგრესორი გამოვდივარ... ეს რა არის?! შენ ნუ გააკეთებ პროვოცირებას, თორემ მე ხომ არ გეუბნები, ნირი შეიცვალე-მეთქი? იყავი ისეთი, როგორიც გინდა, მაგრამ ნუ ცდილობ, რომ ჩვენ შეგვიცვალო ნირი. ქვეყანას ასეთი კოდირება აქვს და შენ რატომ ცდილობ, ეს შეუცვალო? რატომ ცდილობ, საყრდენი გამოაცალო? არ გიცვლი შენ კოდს, შენ შეუცვალე საკუთარ თავს და ახლა იმდენად თავხედობ, რომ გინდა, მთლიანად ქვეყანას შეუცვალო კოდი. აი, ამაზე იქმნება დაძაბულობა და არა — შენს არჩევანზე. ხარ ლგბტ? — კარგი, ხელს არავინ გიშლის. მაგ ცხოვრებისგან თავის დაღწევა გინდა? — კი ბატონო, 100 კაცი მოგეხმარება, მაგრამ ნუ აკეთებ პროვოცირებას და ნუ ძალადობ უმრავლესობაზე! კიდევ ვამბობ, უმცირესობას შეუძლია, იძალადოს უმრავლესობაზე და შექმნას კომფლიქტური დამოკიდებულება, რათა მივიღოთ „რეზულტატი“, ხედავთ, რა აგრესორები არიანო?!. შემდეგ, სად მიდის ეს დარტყმა? — მღვდლებსა და ეკლესიაზე. ამას არავინ ჭამს და, ძალიან გთხოვთ, მშვიდობას ნუ გვირღვევთ, რა?!

მე, ქართველი ადამიანი, გეუბნები: ნუ აგინებ ჩემს ღმერთს, ნუ აგინებ ჩემს ღვთისმშობელს, ის ჩემი დედაა! კაცი რომ ასე პატიოსნად გეტყვის, არ შემაგინო, არ მომკლა, ბიჭოო, გული ხომ უნდა მოგილბეს... არ ხარ მორწმუნე? არ გინდა ეკლესიაში სიარული? — გასაგებია, ვინ მოგივარდა სახლში, ვინ გაგაგდო ამის გამო სამსახურიდან, ან არ მიგიღო ინსტიტუტში? შენი არჩევანია? — იყოს, მაგრამ გაიარე. ნუ ჩერდები და ქვას ნუ ესვრი, რა... მხოლოდ ესაა მოთხოვნა და, მაინც რომ არ ითვალისწინებ, ჩერდები და ქვას ესვრი, იმიტომ გხვდება ტაბურეტი თავში.

ბოლოს და ბოლოს, რას გვეუბნება ჩვენი სარწმუნოება? — არ მოატყუო, არ მოიპარო, ცილი არ დასწამო, არ მოკლა, მშობლებს პატივი ეციო... მეტი რა გითხრას? მშობელი, განა, სხვანაირად ზრდის შვილს? შვილი რომ უპატრონოდ დაგრჩეს, ქრისტიანობა გაგიზრდის! ჰოდა, იმას, რაც ჩემთვის ყველაზე წმინდაა, რატომ აგინებ, თან შენი ქვეყნის უმრავლესობა აღმსარებელია. რატომ უბობოქრდები და მიდიხარ მის წინააღმდეგ, თუ არ ხარ ანგაჟირებული და თუ ამაში ფული არ გაქვს აღებული? ჩემი უკიდეგანო თხოვნის მიუხედავად, ჩერდები და ჩემს გასაგონად აგინებ... იმიტომ კი არ ჩაგარტყამ თავში, რომ მეზიზღები და კაცთმოძულე ვარ, არა, იმ სიყვარულს დავიცავ, რომელსაც მიფურთხებ.

**— ანტიდისკრიმინაციულ კანონს ხელი მოაწერეთ...**

— იქ სადაო მე-7 კარი იყო, რომელიც მოლაპარაკებებით მოგვარდა. იყო დაძაბულობა, მაგრამ მედიამ, რა თქმა უნდა, უფრო გააბუქა. უბრალო ასახსნელია და მარტივი რამის გამო მოვაწერე ხელი: თუ ევროპაში გჭირდებათ იმის დასტური, რომ მე არ ვარ მხეცი, ნადირი და ძალადობის მომხრე არ ვარ და თუ ყველაფერი ეს ჩემი ისტორიითა და ცხოვრებით ვერ დაგიმტკიცეთ, აჰა, ხელმოწერაც... იფიქრეთ, ქვეყანა როგორ გამოვიდეს კრიზისიდან, მტრის კლანჭებს ერთად როგორ დავუძვრეთ, ინვესტორი როგორ გაჩნდეს და ეკონომიკა წინ წავიდეს... ამდენი პრობლემაა და ამ დროს, რას აკეთებ? — თამაშობ ისედაც ნერვებმოშლილი ხალხის ნერვებზე! მე არ გიკანონებ, როგორ იცხოვრო და შენ მოხვიდე, შენ დამიკანონო და წინააღმდეგობაც არ მიიღო?! რატომ გინდათ, ქვეყანა კვამლში გახვიოთ და მთელ მსოფლიოს ჩვენთვის მოძალადეები დააძახებინოთ? რატომ, თუ ანგაჟირებული არ ხართ და ფული არ გადაგიხადეს. მე ვარ ქვეყნის მტერი თუ შენ? — შენ იმიტომ, რომ ვერაგი ხარ.

**— მგონი, ყველამ იცის თქვენი პერსონაჟი ფილმიდან — „მიდიოდა მატარებელი“, სადაც ქალის ტანსაცმლით, საყურეებით და პარიკით ხართ. მსახიობობის მიუხედავად, კაბამ შინაგანი დისკომფორტი არ შეგიქმნათ?**

— არა, ეს ჟანრში ზის — აფერისტი კაცი, რომელმაც რაღაც გზა იპოვა, რომ მევალეებს თავი დააღწიოს. ცუდი შეგრძნება არ მქონია. ერთი პატარა კურიოზი კი იყო: გადაღება ვაგზალზე მიმდინარეობდა და ვიდრე მატარებელს შევახტებოდი, დავინახე, რომ ერთი კაცი უცნაურად მიყურებდა... მიყურებს, თან ხელს ულვაშზე ისვამს... მერე, ადგა და თვალი ჩამიკრა, მეც ჩავუკარი. მერე, მეორე თვალი ჩამიკრა და მეც ორივე ჩავუკარი. ეტყობა, იმედი მიეცა და დამელოდე, ახლა გადაღება მაქვს და ცოტა ხანში მოგხედავ-მეთქი, კაცის ხმით ვუთხარი...

**— ბატონო ზაზა, თქვენი მატარებელი საით მიდის?**

— რაც მთავარია, მიდის! ამ მატარებელმა ბევრი წინააღმდეგობა გამოიარა და მაინც მსვლელობაშია. მინდა, დიდხანს იაროს და მერე, ბევრი წლის შემდეგ, სადღაც შორს, კარგ დეპოში შევიდეს ისე, რომ ამ განვლილი ცხოვრების გახსენება და მოგონება ღირდეს. ჯერ იაროს, ღვთის წყალობით, ჯერ იაროს!

**ესაუბრა ბექა ღიბრაძე**

ქართული სიტყვა
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ტრაგედია უგმიროდ

# „ყაზტრანსგაზის“ ყველა აბონენტს, მთელ ქალაქს საფრთხე ემუქრება!“

**2015 წლის 14 ივლისს, გლდანში, მეექვსე მიკრორაიონის მეორე საცხოვრებელ კორპუსში, გაზის აფეთქების შედეგად, ექვსი ადამიანი დაიღუპა... „ქართული სიტყვა“ დამოუკიდებელ ექსპერტს, ორგანიზაცია „ალტერნატივას“ წევრ გიორგი ნიკოლაიშვილს ესაუბრა:**

— ყოვლად შემზარავი ამბავი მოხდა — გაზის აფეთქების შედეგად ადამიანები დაიღუპნენ. აფეთქების ეპიცენტრი კორპუსის მეოთხე სართული იყო, სადაც ბურდულებ-ის ოჯახის ორი წევრი გარდაიცვალა.

**— თქვენი ვარაუდით, აფეთქების მიზეზი რა გახდა?**

— აფეთქების სამი ვარიანტია შესაძლებ-ელი: მილზე მექანიკური ზემოქმედება, დაზიანება; ე.წ. ჩობალების გაცვეთა-გაშვება და მოსახლეობის დაუდევრობა.

**— სხვათა შორის, ხალხში მითქმა-მოთქმა იყო, რომ მეხუთე სართულზე მცხოვრებთ გაზი მოშვებული დარჩათ, შენობაში დიდი რაოდენობით აირი დაგროვდა და აფეთებაც სწორედ ამან გამოიწვია.**

— აფეთქების ადგილზე მაშინვე მივედი და, როგორც დამოუკიდებელმა ექსპერტმა, ახლოს მისვლა ვცადე, მაგრამ სამართალდამცავებმა უფლება არ მომცეს. გარე დათვალიერებით კი, კარგად ჩანს სადარბაზოდან სადარბაზოში „შლანგით“ გადაყვანილი გაზი, რაც შეიძლება, გაჟონვის მიზეზი გახდეს, მაგრამ მაინც შეუძლებლად მიმაჩნია, რომ ბინაში ისეთი რაოდენობის გაზი დაგროვდეს, რომელიც ასეთი სიმძლავრის აფეთქებას გამოიწვევს. ასეთი რაოდენობის გაზის დაგროვება მოსახლეობას შეუმჩნეველი არ დარჩებოდა, გაზი კი, ძალიან დიდი რაოდენობითაა დაგროვილი, რამაც ასეთი სიმძლავრის აფეთქება განაპირობა. ზაფხულია, ხალხს ფანჯრები და კარი ღია აქვს, აფეთქების ტალღა ამანაც გაფანტა. კიდევ კარგი, დღე იყო, თორემ ღამის საათებში შეიძლება, უარესი მომხდარიყო. ჩემი აზრით, აქ ე.წ. სტაიაკის პრობლემა იყო, თორემ კორპუსში შემავალი 14-მილიმეტრიანი წვრილი მილი ასეთ პრობლემას ვერ შექმნიდა. გაზი ისეთი ნივთიერებაა, ადვილად შეუძლია სინკარებში, სართულებს შორის ხვრელებში გაძვრეს. გაზი ერთადერთია, რომელიც მინარევებს არ შეირევს და მისი შერევა მხოლოდ წყალთან ხდება.

**— ვთქვათ, გაზმა სინკარებში გაჟონა. აფეთქება რამ გამოიწვია?**

— ასეთ შემთხვევაში, აფეთქება ტერიტორიაზე სანთებელის ანთებამაც შეიძლება გამოიწვიოს.

**— ამბობთ, რომ გაზის „შლანგები“ შენიშნეთ, რომლებიც სავარაუდოდ, უსაფრთხოების წესების გვერდის ავლითაა დამონტაჟებული. როგორც მშენებელი და დამოუკიდებელი ექსპერტი, კონკრეტულ შემთხვევაში, კიდევ რა სახის დარღვევებს აფიქსირებთ?**

— სახეზეა სამშენებლო ნორმების დარღვევის ფაქტები და ამავე დროს, გაზგამყვანი კომპანიის მხრიდან უსაფრთხოების ზომების უგულებელყოფა. კომპანიას ოფიციალურად 30 ათასი აბონენტი ჰყავს, თუმცა აბონენტთა რეალური რაოდენობა გასაიდუმლოებულია. ასეა თუ ისე, „ყაზტრანსგაზის“ ყველა აბონენტს, მთელ ქალაქს საფრთხე ემუქრება.

**— ერთი წლის განმავლობაში, გლდანში ეს უკვე მესამე შემთხვევაა. ამ რაიონში განსაკუთრებული დარღვევებია?**

— გლდანის რაიონი კომუნისტების დროს გაშენდა და მოსახლეობა დენის მომხმარებელი იყო, როცა თბილისში დენის ტარიფი ორი კაპიკი გახლდათ, გლდანელები 1 კაპიკს იხდიდნენ. გლდანის მთლიანი გაზიფიცირება ათი წლის წინ დაიწყო.

**— გლდანშიც პროვაიდერი „ყაზტრანსგაზია“. კომპანიას არ აქვს ვალდებულება, რომ მოსახლეობის უსაფრთხოება უზრუნველყოს?**

— სამწუხაროდ, გაზის მეურნეობებსა და გაზგამანაწილებელ კომპანიებზე კონტროლი არ არსებობს. 2010 წელს, ზედამხედველობის სისტემაში ცვლილებები მოხდა, რომლის შედეგადაც, ეს სამსახური, პრაქტიკულად, გაუქმდა. 2011-2012 წლების სამშენებლო ნორმებში გაზმომარაგება ამოღებულია.

**— ანუ?**

— არ არსებობს ნორმატიული დოკუმენტი, სადაც დაკანონებულია, თუ როგორ გაიყვანონ გაზი.



## გლდანში მომხდარი აფეთქების უცნობი დეტალები — მოსახლეობა ექსპერტიზის დასკვნის გასაჯაროებას ითხოვს!

**— ესე იგი, ტექნიკური ზედამხედველობა დღეს არსად ხორციელდება?**

— ყველას გვახსოვს, ყოფილი პრეზიდენტისა და მისი თანამოაზრეების სატელევიზიო გამოსვლები მაკონტროლებელი ორგანიზაციების მისამართით.

**— რას ამბობდნენ?**

— მაკონტროლებელი ორგანიზაციების კართან მდგარი „ნაციონალები“ აცხადებდნენ: „აქ უნდა იდოს დიდი ბოქლომი!“. მიაჩნდათ, რომ კონტროლის ორგანოების თანამშრომლები, უკლებლივ ყველა, გამომძალველები იყვნენ. შეიძლება, ვიღაცებს ხელი წაუცდათ და კორუფციულ გარიგებაში შევიდნენ, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ უწყება საერთოდ გააუქმო? თუნდაც ისეთი მაკონტროლებელი, როგორიცაა ქალაქის უსაფრთხოება. გაზმომარაგება და გაზმეურნეობა დღეს დაუცველია, მხოლოდ გაზის მაგისტრალები კონტროლდება.

2006 წელს, ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციამ არსებობა შეწყვიტა, მანამდე, საწარმოებში ტექნიკურ გამართულობაზე ინსპექტირება წელიწადში რამდენიმეჯერ ხდებოდა. ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის გაუქმებას კარგად ახასიათებს რამაზ ობოლაძის ერთი ინტერვიუ, რომელიც გაზეთ „რეზონანსს“ 2011 წელს მისცა. ობოლაძე წერს: „აქ გამომგზავნეს, როგორც ტერმინატორი... შემოწმდება მხოლოდ ახლადშექმნილი და ის საწარმოები, სადაც რაიმე შემთხვევა დაფიქსირდება.“

ინსპექტირება შეწყვიტა სამშენებლო ობიექტების მონიტორინგმაც და „არქმშენის“ ინსპექციაც გაუქმდა. ყველაფერ ამის მიზეზად კორუფციული სქემები დასახელდა. სტრუქტურების გაუქმების და კერძო სექტორისთვის გადაცემის მიზეზად კორუფციის დასახელება, ცოტა არ იყოს, არასწორად მიმაჩნია, თუმცა ფაქტია: „ტერმინატორმა“ მაკონტროლებელი ორგანო — ინსპექციის სისტემა დაანგრია. რამაზ ობოლაძე და გრიგოლ კაკაურიძე სათავეში ჩაუდგნენ სსიპ „საქართველოს სტანდარტებისა და რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს“.

**— გიორგი, წეღან მილი ახსენეთ, რა მილია და გაზისთვის რატომ არ გამოიყენება?**

— ეს პოლიეთილენის ალუმინნარევი მილია, რომელიც ჩვეულებრივ, ერთი ჩხვლეტით იხვრიტება და ამ მილით მთელ თბილისსა და საქართველოს რეგიონში გაზი გაჰყავთ. ქარხნის სერთიფიკატში მითითებულია, რომ აღნიშნული მილი მხოლოდ ცივი და ცხელი წყლისთვის გამოიყენება, გაზისთვის გამოყენება კი, კატეგორიულადაა აკრძალული. ეს არათუ ამ ქარხნის, არამედ, მსოფლიო სტანდარტია. საქართველოში მისი მიწაში ჩადებაც არ შეიძლება, რადგან სეისმურად არამდგრადი ქვეყანა ვართ და ნებისმიერი ზემოქმედება მასზე გავლენას მოახდენს. ამ მილებს თურქული ქარხანა „ფირატი“ აწარმოებს, რომლის ქარხნული სერთიფიკატი „საქსტანდარტმა“ გადათარგმნა და გააყალბა. ვინც ეს გააკეთა, „ნაცმოძრაობის“ მსხვილი დამფინანსებელი ფირმა „ჩაკფრია“.

**— პოლიეთილენის მილის გაზისთვის გამოყენება რატომ არ შეიძლება?**

— უამრავი მიზეზი არსებობს, რომ გაზთან მისი ზემოქმედება არ შეიძლება. საქართველოში გაზის გაყვანა, დღემდე საბჭოთა კავშირის დროს მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობით, მხოლოდ რკინისა და სპილენძის მილებითაა შესაძლებელი. ასე აქვს გაზი გაყვანილი ჩვენს მეზობელ რუსეთს, პოსტსაბჭოთა და ევროკავშირის ქვეყნებს. ხალხის სიცოცხლის ეჭვქვეშ დაყენებით იაფი საქონლის შეძენა საკუთარი ერის გენოციდის ტოლფასია!

**— პოლიეთილენის მილები გაცილებით იაფია, ვიდრე რკინა და სპილენძი, არა?**

— თურქული კომპანია „ფირატის“ მიერ შემოტანილი პოლიეთილენის მილები გაცილებით იაფია, ვიდრე კანონით გათვალისწინებული მასალა. თვით „ნაციონალების“ ყურმოჭრილმა მონამ, სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომაც კი დაწერა დასკვნაში, რომ ეს მილები გაზისთვის საშიშია და სტანდარტებს არ შეესაბამება.

**— ფიქრობთ, რომ შეცდომების შედეგებს ვიმკით?**

— მილების გაყვანა 2010 წელს დაიწყეს. მან, ვისაც მანქანა აქვს, კარგად იცის ჩობალების, ანუ „სალნიკების“ მნიშვნელობა, რაც გაზის მილებთანაც გამოიყენება, ყველა ბინის შესასვლელში თორმეტი ჩობალი აყენია, ბინაში კი — ოთხი. გარკვეული დროის მერე, „სალნიკები“ ცვდება — მას გაზი ნელა ჭამს. ცივი ზამთრის დროს, გაზის მილი იყინება, მერე ლღვება და ამ პროცესის დროს რეზინაც იშლება. გარდა ამას, პოლიეთილენის მილები ულტრაიისფერი გამოსხივების ზემოქმედების შედეგად იშლება და ასეთ დროს გაზის გაჟონვაც ხდება...

**— „სალნიკი“ როდის გაცვდება, არავინ იცის?**

— სერთიფიკატში მისი ვარგისიანობის ვადა 12 თვეა. ფიტინგები კი გადაბმის ადგილებში გამოიყენება, რაც ისევე ცვდება, როგორც ჩობალები.

**— თქვენი მოსაზრებები შემაშფოთებელია, რომლის გააზრებაც მოქალაქეებს დეპრესიაში ჩააგდებს. რასაც ამბობთ, ამ ყველაფრის დამადასტურებელი დოკუმენტები გაქვთ?**

— ამ საშიშროებებისა და ტექნიკური დარღვევების შესახებ სერიოზული მასალები მოვაგროვე, ამ თემაზე ხუთი წელია, ვმუშაობ. ჩემი ყველა არგუმენტი დოკუმენტურად დადასტურებულია. ჩემს მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე მომზადებული წერილი, ოთხი თვის წინ, საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, პარლამენტს, მთავარ პროკურატურას, ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურს, თბილისის მერს, სახალხო დამცველს, პატრიარქს გავუგზავნე, რომელიც ამ თემას გამოეხმაურა. ასევე, გადაცემა „20/30“-ს მივმართე, მაგრამ არც რესპონდენტად მიმიწვიეს და არც პასუხი მაღირსეს.

გლდანში, აფეთქების ადგილზე მისულ თბილისის მერს, დავით ნარმანიას გავესაუბრე, თავი გავაცანი, გავაგებინე, რომ ოთხი თვის წინ მერიას მივმართე საშიშროების შესახებ. მან ინტერესით მომისმინა და მთხოვა, მის ელექტრონულ ფოსტაზე გადამეგზავნა წერილი. გავაგზავნე, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიმიღია.

**— „ყაზტრანსგაზი“ საკმაოდ მდიდარი კომპანიაა. თავის ობიექტებზე კონტროლს ანხორციელებს? სხვათა შორის, ის ქვეყანა ვართ, სადაც პრემიერ-მინისტრი არასწორად დაყენებული გაზის გამათბობლის გამო**

გაგრძელება მე- 13 გვ.

# ტრაგედია უგმიროდ

მე-12 გვერდიდან

**დაგვეღუპა...**

— მიმაჩნია, რომ კონტროლი დაბალი დონისაა. მთელი უბედურება ისაა, რომ საქართველოში ერთმანეთზე გადაბრალება უფრო ადვილია, ვიდრე — საქმის კეთება. ამ დროს, ადამიანის სიცოცხლე უგულებელყოფილია. იურისპრუდენციაში უდანაშაულობის პრეზუმფცია არსებობს, გლდანის შემთხვევაზე საქმეა აღძრული, მაგრამ კომპანია ,,ყაზტრანსგაზი“ ხელს უკვე მოსახლეობისკენ იშვერს და ეს პირველი შემთხვევა არაა, რომ ცდილობს, მომხდარი სხვას გადააბრალოს და პასუხისმგებლობა თავიდან აიცილოს.

მიმაჩნია, რომ გლდანის მეექვსე მიკრორაიონში აფეთქების შედეგად დაზიანებული კორპუსის და მოსახლეობის მატერიალური თუ მორალური ზარალის ანაზღაურება კომპანია ,,ყაზტრანსგაზს“ უნდა დაეკისროს. არ უნდა შეგვეშინდეს ვინმეს გაბრაზების და როცა საქმე ადამიანის სიცოცხლეს ეხება, მკაცრი და შეუვალი უნდა ვიყოთ. არ იქნება ,,ყაზტრანსგაზი“, იქნება ,,თბილგაზი“ ან, სულაც, სხვა პროვაიდერი შემოვა, ან ქალაქის ხელმძღვანელობა აიღებს მართვის სადავეებს. ასეთი დარღვევებით სხვა სავალალო შედეგებამდე მივალთ. საწყენია, რომ თავის ჭკუაზეა მიშვებული ,,ყაზტრანსგაზი“, ,,სოკარი“, ,ყამარი“, ,,ვარკეთილაირი“ და სხვა.

**— წესით, აირს დანამატი უნდა ჰქონდეს, რომელიც გაზს სუნს აძლევს....**

— დიახ, ჩვენს სახლებში შემავალ გაზს დანამატად ნივთიერება ,,ოდურანტი“ უნდა ერეოდეს. ეს ნივთიერება მომწამვლელია, ამავე დროს ძალზე ძვირია, ეფექტისთვის ერთ კუბურ მეტრ გაზს სულ მეათასედი გრამი სჭირდება. ,,ოდურანტის“ მეშვეობით ადამიანი გრძნობს, სადმე აირი ხომ არ ჟონავს. იმ დღეს, როცა თბილისში აფეთქება მოხდა, ქალაქი პანიკამ მოიცვა, რადგან გაზგამანაწილებელმა კომპანიებმა ,,ოდურანტი“ გაუშვეს მილებში და მოსახლეობა სუნმა შეაშინა. მოკლედ, მთელი თბილისი აყროლდა, პანიკაში ჩავარდნილი ადამიანებისგან უამრავი ზარი განხორციელდა სამაშველო სამსახურში. კიდევ ვიმეორებ, რომ კომპანია, რომელმაც საერთაშორისო ნორმები და კანონები დაარღვია, ვალდებულია, ზარალის თანხა გადაიხადოს. ახლა მე დაგისვამთ შეკითხვას: ქვეყანაში გვყავს კი სპეციალისტები, რამე რომ შეამოწმონ? ოცი წელია, საქართველოში ინჟინერ-მექანიკოსი არ მომზადებულა.

**— რას ამბობთ, ამდენი ტექნიკური სასწავლებელია და ვერც წარმოვიდგენდი, თუ რომელიმე სპეციალობის დეფიციტია! ინჟინერ-მექანიკოსი უსაფრთხოებას იცავს?**

— ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობას სასოფლო-სამეურნეო და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში ასწავლიდნენ. დღეს ეს სპეციალობებიც, ისევე, როგორც სხვა ,,არამომგებიანი“, გაუქმებულია. მალე იმ რეალობის წინაშე დავდგებით, რომ ქვეყნის გარეთ მოვძებნით ამა თუ იმ სფეროს სპეციალისტს.

**— გიორგი, ვიცი რომ მშენებელი ხართ და მიხეილ სააკაშვილის საპრეზიდენტო რეზიდენციების მშენებლობაში მონაწილეობდით. როგორია იქაური გაზგაყვანილობების სისტემა?**

— პრეზიდენტის ზუგდიდისა და ავლაბრის სასახლეების გაზგაყვანილობა შესანიშნავია — იქ საფრთხე არავის ემუქრება. აი, მოსახლეობაში არასწორად გაყვანილი გაზის მილების გამო კი, ხუთი წელია, ვყვირი. ფილმიც კი გავაკეთე უჩა ნანუაშვილთან ერთად, რომელშიც კარგად ჩანს, თუ როგორ შეიძლება აალდეს მილი.

**— გიორგი, თქვენი მსჯელობის მიხედვით, გაზმომარაგების კომპანიებს ხელახალი სამუშაოები აქვთ ჩასატარებელი. ამაზე რომელი კომპანია წავა?!**

— მილების გამოცვლას 40-60 მილიონი დოლარი დასჭირდება, კომპანიას ამ ხარჯებს ვინ გააღებინებს, ძნელი სათქმელია.

**— სხვა გამოსავალი არაა?**

— თუ კომპანიები ნებას იბოძებენ, გამოსავალი სიგნალიზატორების დაყენებაა: აპარატი, გაზის გაჟონვის შემთხვევაში, განგაშს ასტეხს და შემომავალი მილიდან გაზი ჩაიკეტება.

**,,ქართული სიტყვა“ გლდანში აფეთქებული კორპუსის მაცხოვრებლებსაც ესაუბრა.**

**ია ბექაური:** — მეოთხე სადარბაზოს მეოთხე სართულზე ვცხოვრობ. იმ დღეს მე, მეზობელი და ჩემი ვაჟი სამზარეულოში ვისხედით. ასეთი ხმაური მხოლოდ კინოებში თუ გამიგონია, ვერ მივხვდით, რა მოხდა, შვილმა სადარბაზოს კარი გააღო, დაინახა, რომ ცეცხლი ხმაურით ქვემოთ ჩავარდა. კარი მიხურა, ეგონა, კიბე ჩაინგრა და გარეთ გასვლას ვეღარ ვბედავდით. ეზოში მყოფნი განწირული ხმით გვეძახდნენ, დაბლა ჩამოდითო — ისინი ხედავდნენ, რომ კორპუსს შუა გული აღარ ჰქონდა და ჰაერში ვიყავით გამოკიდებულნი. სამზარეულოდან საძინებლის კართან როგორ აღმოვჩნდი, არ მახსოვს. გონს რომ მოვედი, მე და ჩემი შვილი ეზოში ვიდექით. საშუალება მომეცა და უღრმესი მადლობა მინდა გადავუხადო გლდანის გამგეობას, სასტუმრო ,,დკდ“-ს მეპატრონეს, ჩემი სამსახურის — ,,თბილისის მეტროპოლიტენის” ადმინისტრაციას ჩემი ოჯახის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის.

**მაკა (მაია) ადეიშვილი:** — მეზობელთან სტუმრად ვიყავი, როცა გავაცნობიერე, რომ ჩვენს თავს დიდი უბედურება დატრიალდა, მაშინვე ჩემი 17 წლის ორსული რძალი, ნუცა გამახსენდა — მის სახელს განწირული ვყვიროდი. მეზობლები კი, ქვევიდან მიყვიროდნენ, მაჩვენებდნენ: ნუცა აქ არის, ცოცხალიაო, მაგრამ ვერ ვხედავდი და არ მესმოდა.

მეცხრე სართულზე ვცხოვრობ, მაგრამ ვაჟმა ცოლი რომ შეირთო, მეექვსე სართულზე ბინა ვუქირავე. აფეთქების დროს შვილი და რძალი ჩემთან იყვნენ ამოსულები, მე კი, მეოთხე სართულზე მეზობელთან ვიყავი. ისინი ბედისწერამ მაჩუქა — მეექვსე სართულზე მათი საძინებელი მთლიანად განადგურებულია. თოთხმეტი წელია, ამ კორპუსში ვცხოვრობ, მეზობლები ერთმანეთს შევაბერდით, ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე მათგანი ისეთი უპასუხისმგებლოა, რომ გაზი ჩართული დატოვა. ძალიან გვაწუხებს მოარული ხმა, ათასნაირად ხატავენ ამბავს. ლიკა ჯოლოგუაზე ამბობენ, თითქოს სადღაც იყო წასული და გაზი ჩართული დარჩა, ტყუილია, წინა დღესაც სახლში იყო და იმ უბედურ დღეს ასე, 12 საათზე, სტუმრად მყოფი მამიდაშვილი გააცილა. გამომძიებელი მეკითხება, თუ გაზი არა, მაშინ რამ გამოიწვია აფეთქებაო? მე რას უნდა ვფიქრობდე? გამოძიებამ გაარკვიოს და ბოლო მოუღოს ჭორებს. დაქცეულია რამდენიმე ოჯახი, თეფშებს და კედლებს რას დავეძებთ, ოღონდ ესენი ცოცხლები დარჩენილიყვნენ, ცოცხალ ადამიანს ყოველთვის ეშველება.

ლევან ბურდული უკეთილშობილესი ადამიანი იყო, მეცხრე სართულიდან ხანდახან ფეხით რომ ჩამოივლიდა, მორიდებით მოგესალმებოდა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს. როგორც გვითხრეს, მსხვერპლი შეიძლება, გაცილებით დიდი ყოფილიყო, მაგრამ კორპუსი ისე მყარად ნაშენი აღმოჩნდა, რომ ამხელა ტალღას გაუძლო...

გაზის კომპანიიდან არავინ გამოჩენილა, არადა, ვინმემ წელიწადში ერთხელ ხომ მაინც უნდა შეამოწმოს, გაზის აპარატურა ვის როგორ აქვს დამონტაჟებული? ქვითრის ამოწერაზე, გამორთვაზე ცქვიტად დადიან, წუთს არ გადააცილებენ. მძიმე ცხოვრებაა, ხალხი იაფფასიან ტექნიკას ყიდულობს, მაგრამ ვიღაცამ ხომ უნდა გააკონტროლოს, როგორია ეს გამათბობელი?! ამ ზამთარს გაზის კომპანიის თანამშრომლები იყვნენ მოსულები, მკითხეს, რამდენი წერტილი გაქვთო. საგანგებოდ დავათვალიერებინე ყველა წერტილი, გამაცხელებელი, გამათბობელი, გაზქურა, მაგრამ ზედაც არ შეუხედავთ, წერტილების რაოდენობა ისე ჩაინიშნეს.

**მაკა გოგოხია:** — იმ დღეს სტუმრები მყავდა, ცოლ-ქმარი ლოჯიაში კომპიუტერთან ერთობოდა. აფეთქების შედეგად ორივე მინის ნამსხვრევებისგან დაიჭრა. ჩემი შვილი, საბა ეზოში იყო, მეზობლის კაცებმა უპატრონეს. უფროს ქალიშვილს, ნატას კი ვერ ვხედავდი. შოკირებული კორპუს-კორპუს დავრბოდი და შვილს ვეძებდი, სულ დამავიწყდა, რომ დედაჩემს ბაზარში გაჰყვა. ბოლოს, მეზობელმა შემახსენა... სადარბაზოში ისეთი ბული იდგა, ვერაფერს დაინახავდი, თუმცა მეზობლის კაცები არ ეპუებოდნენ და კორპუსში დარჩენილების გამოყვანას ცდილობდნენ, ხალხს ამხნევებდნენ. ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებდა.

**ლალი სისაური:** — უცნაური ღმუილის ხმა გაისმა, პირველი ყრუ დარტყმა იყო, ვიდრე აფეთქება ფრთებს გაშლიდა. ღია ფანჯრებში ვხედავდი, როგორ ჩაიქროლეს დაგრეხილმა ჩარჩოებმა, აგურებმა, ხის ნაფლეთებმა. შემოსასვლელი კარი დაბრეცილი დამხვდა, მაღლიდან კივილის ხმა ისმოდა, შველას ითხოვდნენ. სადარბაზოში თავი გამოვყავი, ერთოთახიანის კარი მოგლეჯილი ეგდო, გახეთქილი მილებიდან წყალი ასხამდა... ბურდულების კარს მივადექი — კარი სადღა იყო, ბინაში ნანგრევები ჩანდა, ბული ოდნავ გაიფანტა და ბათქაშისგან მთლად გათეთრებული ნანა, ლევან ბურდულის ცოლი დავინახე, ბავშვებთან ერთად. ნანა შეშლილი სახით, კივილით მანიშნებდა — ლევანი და დედამთილი ,,ზალაში“, სინკარის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. ამასობაში, ჯერ მეზობლის ბიჭები, მერე მაშველები გაჩნდნენ, ნანა და ბავშვები წაიყვანეს, მე იქაურობას ვერ ვშორდებოდი, უმწეობისგან არ ვიცოდი, რა მექნა... მაშველები ყოჩაღი ადამიანები აღმოჩნდნენ — საკუთარი თავი საფრთხეში ჩაიგდეს და ნანგრევებიდან მკვდარ-ცოცხალი ლევანი ამოიყვანეს. ისე, აუცილებლად მიმაჩნია, რომ ექსპერტიზის დასკვნა გასაჯაროვდეს, მოსახლეობამ კარგად უნდა გაიგოს, რას გაუფრთხილდეს.

**თურმე, იმ ავადსახსენებელ დღეს, ვიდრე მაშველები მივიდოდნენ, ხალხი მეზობელი კორპუსებიდან გამორბოდა და ალმოდებული საცხოვრებელი სახლიდან უმწეო ადამიანების გამოყვანას ცდილობდა.**

**ახლა კორპუსის წინ პოლიცია პატრულირებს, მშენებლები მუშაობენ, ბაღში პატარებთან ერთად კანტიკუნტად სასეირნოდ გამოსულები გულისტკივილით იხსენებენ იმ დღეს. ერთმა ქალბატონმა მითხრა, შიშით შინ ვეღარ ვჩერდებიო, მეორემ ეჭვი გამოთქვა, სამ თვეში მშენებლები სახლის შეკეთებას ვერ მოასწრებენო. დავინტერესდი, ,,ყაზტრანსგაზიდან“ ხომ არავინ გამოჩენილა-მეთქი. ერთმა მითხრა, აფეთქების მეორე დღეს ბაღში ორი კაცი იჯდა და რაღაც ჟურნალს მაჩვენებდა, თან მიხსნიდა, რომ აფეთქებამდე შვიდი წუთით ადრე კორპუსიდან ზარი იყო, მაშინვე გამოვედით, მაგრამ ვერ მოვასწარითო. რა ვიცი, მართალს ამბობდაო?**



„ეს პოლიეთილენის ალუმინნარევი მილია, რომელიც ჩვეულებრივ, ერთი ჩხვლეტით იხვრიტება და ამ მილით მთელ თბილისსა და საქართველოს რეგიონში გაზი გაჰყავთ. ქარხნის სერთიფიკატში მითითებულია, რომ აღნიშნული მილი მხოლოდ ცივი და ცხელი წყლისთვის გამოიყენება, გაზისთვის გამოყენება კი, კატეგორიულადაა აკრძალული. ეს არათუ ამ ქარხნის, არამედ, მსოფლიო სტანდარტია. საქართველოში მისი მიწაში ჩადებაც არ შეიძლება, რადგან სეისმურად არამდგრადი ქვეყანა ვართ და ნებისმიერი ზემოქმედება მასზე გავლენას მოახდენს. ამ მილებს თურქული ქარხანა „ფირატი“ აწარმოებს, რომლის ქარხნული სერთიფიკატი „საქსტანდარტმა“ გადათარგმნა და გააყალბა. ვინც ეს გააკეთა, „ნაცმოძრაობის“ მსხვილი დამფინანსებელი ფირმა „ჩაკფრია“.

ნათია გოგიტიძე

№ 30 (294)
29-VII 4-VIII 2015
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

21-Ე საუკუნის რეალობა

# ვინ აკონტროლებს „ტაჩკების“ ბიზნესს

**გავიგე, ვინც „ტაჩკაზე“ მუშაობს, დღეში 60 ლარს „აკეთებსო“ და... სამგორის ბაზარში წავედი... დილაა, მაგრამ მზე ისეთი აუტანელია, წარმოდგენაც კი მზარავს, რა იქნება შუადღით... ეს არასახარბიელო ამინდი, ყველას, განსაკუთრებით, „მეტაჩკეებს“ ეტყობათ: ჩამომსხდარან „ტაჩკებზე“ და შუბლიდან ჩამოწურულ ოფლს მაისურის სახელოთი იწმენდენ... რომ ვუთხრა, ჟურნალისტი ვარ და თქვენი ბიზნესის შესახებ ყველაფერი მაინტერესებს-მეთქი, საუკეთესო შემთხვევაში, ზედაც არ შემომხედავენ. ამიტომ ორ „ტაჩკისტს“ გვერდით ვუდგები და წრიალს ვიწყებ... ერთ-ერთი წამოხტა და სადღაც გაიქცა. მეორეც რომ არ გამქცეოდა, უფრო მეტად მივუახლოვდი და ამოვიხვნეშე:**



## რამდენს შოულობენ დღეში „გრუზჩიკები“

— ეჰ... ამ სიცხეში როგორია ტვირთის ზიდვა, არა? — უცნობმა თავი დამიქნია და ამოიხვნეშა.

— ბაბუ, 2 წუთში ჩემი მეგობარი მოვა და ხომ აქ იქნები?.. ჩანთებია წასაღები...

— აქ არა ვარ?!

— რამდენი დამიჯდება?

— გააჩნია, სად მიგაქვს და რამდენია ტვირთის წონა... შენ სად გინდა?

— მე არ ვიცი. ის რომ მოვა, თვითონ შეუთანხმდი.

მოხუცს ცალი ხელის მტევანი არ აქვს და შავი ნაჭრით შეუხვევია. გამიკვირდა, ცალი ხელით როგორ უნდა ათრიოს სიმძიმე-მეთქი და ვკითხე:

— ასე არ გიჭირს, ბაბუ?— უმტევნო ხელზე მივანიშნე.

— რა ვუყო, აბა, სხვა გზა არ არის და...

— ისე, მუშაობა გაქვს? — არაო, თავი გააქნია და სიტყვა გავაგრძელე, — ვიღაცამ მითხრა, 50-60 ლარს შოულობენ დღეშიო... რა 60 ლარიო, შემომიბღვირა და ჩქარი ნაბიჯით ჩამომცილდა. მივხვდი, მისი დალოდება არ ღირდა და სხვა „დისლოკაციის ადგილის“ ძებნა დავიწყე.

მზე უარესად თუ არა, ისევ ისე აჭერს... სამგორის ბაზარში მანქანების გაბმული სიგნალი და სიბინძურე არ უნდა გაგიკვირდეს... ბაზრის შესასვლელთან, ვიდრე დაღმართს ჩაუყვები, ნანატრი „ტაჩკა“ შევამჩნიე. ვიფიქრე, ასე არ გამოვა, მიდგომა უნდა შევცვალო-მეთქი და როგორც კი „ტაჩკის“ პატრონი დავინახე, ტელეფონი ამოვიღე და ხმამაღლა, ვითომ ვიღაცას ველაპარაკებოდი, დავიწყე:

— ალო... ა?.. 10 წუთში მოხვალ? ხო, ბაზრის ჩასასვლელთან ვარ და გელოდები... აი, „კალონკის“ გვერდით. ბევრი გაქვს? oო.. რა გენაღვლება, კაი...

ასაკიანი, ულვაშიანი, მსუქანი მამაკაცი მიხვდა, რომ მასთან ვიყავი. ტელეფონით „საუბარს“ რომ მოვრჩი, მივუახლოვდი.

— სიგარეტი ხომ არ გინდა-მეთქი? — გახარებულმა გამომართვა. მოვუკიდეთ.

— ფასს წონის და მისატანი ადგილის მიხედვით ადებ ხო? — მივაშტერდი...

— „ტავარი“, კაცო, რა გაქვს?

— ქუთაისიდან ჩამოიტანა ჩემმა ცოლმა რაღაცები... ზუსტად არ ვიცი... არის მუშაობა? იქით, ვიღაც მეუბნებოდა, 50-60 ლარს ვშოულობ დღეშიო...

— ეგ სად გითხრეს, „ოფტავოიში“?

— სადაა ეგ „ოფტავოი“?

— ძველი ბაზრის ქვევით. იქ უფროა მუშაობა, ვიდრე — აქ, ოღონდ, დილით, ადრე.

— ააა... თქვენც დილით გამოდიხართ?

— ჰო, აბა... ჩვენი „ტაჩკები“ იქ არ გამოდგება, იმათ „ტაჩკებს“ დიდი „ბორბლები“ აქვს — იმხელა აღმართზე უნდა ამოიტანონ „ტავარი“...

— აბა, თქვენ დღეში 30 ლარსაც ვერ შოულობთ?

— კი, შაბათ-კვირას.

მინდა, რომ „ტაჩკების ბიზნესზე“ უფრო მეტი მითხრას. ამიტომ, ნდობა რომ მოვიპოვო, ჩემს სახელდახელოდ შეთხზულ ისტორიას ვუყვები:

— რთულია, რთული... მშენებლობაზე ვმუშაობდი მტვირთავად. ახლახან, ცოლი მოვიყვანე, ორსულადაა და... ოჯახს რჩენა ხომ უნდა?! დიდი სწავლა-განათლება არ მიმიღია, მაგრამ მშენებლობაც დროებითია, თუ ვინმე დაგიძახებს...

— ეს სად? — მაწყვეტინებს

— სპორტის სასახლესთან შენდება რაღაც... ჰოდა, რომ მითხრეს, დღეში 50-60 ლარი იშოვებაო, ვიფიქრე, მივალ, უფროსს დაველაპარაკები, იქნებ, მუშაობა დავიწყო-მეთქი. საერთოდ, გყავთ უფროსი?

— უფროსი არა, ისა... ასეა, ასე, რას იზამ, რთულია ცხოვრება. ჩვენ „ტაჩკებს“ ვყიდულობთ, აბა, თუ იქირავე, დღეში 3 ლარი უნდა გადაიხადო. 5 საათზე ვდგები დილით და სამუშაოდ გამოვდივარ. საღამოს „ტაჩკებს“ დაცვას ვაბარებთ, 50 თეთრს ვუხდით და სახლში მივდივართ. შენ მაგას ვერ შეძლებ.

— ვერ შევძლებ? — ვიუკადრისე, — დედას ვუტირებ!

— ვერა, ვერა, ახალგაზრდა კაცი ხარ... ხანდახან ღამის 12-მდე, ხანდახან, დილამდეც მუშაობენ. გააჩნია, როგორ გირჩევნია და როგორ შეძლებ.

— კი, მაგრამ ასეთ დროს კლიენტი არის?

— მემწვანილეები ღამის 3 საათზე გამოდიან. მეორე ბაზრიდან მწვანილების აქამდე გამოტანა 1 ლარი ღირს. „პამიდორი“ იქნება, კიტრი თუ კარტოფილი, „მესტა“ 70 „კაპიკი“ ღირს. ხანდახან ტონა ან ტონა-ნახევარი ტვირთიც გვაქვს.

— მოიცა, კაცო, ტონანახევარი ამ „ტაჩკაზე“ ეტევა?

— კი... ესაა, აღმართზე ამოტანაა ძნელი. კლიენტები ვითომ გეხმარებიან და აწვებიან, მაგრამ მაინც შენ გიწევს ამოტანა. აბა, ამას შენ შეძლებ?!

ამასობაში, უცნობი მოგვიახლოვდა, გვკითხა, ვყიდი და ხომ არ იცით, ვინმეს „ტაჩკა“ რომ უნდოდესო. 100 ლარად ჰყიდდა, ფასში ვერ ვერკვევიო, მაგრამ როგორც გავიგე, საშუალოდ, 200 ლარი ღირს. მოკლედ, თანამოსაუბრეს ჩემი ოჯახის ისტორია მოვუყევი, რომელიც სპეციალურად ამ რეპორტაჟისთვის გამოვიგონე და ხელი სამუშაოსაც გამოვკარი:

— რადგან ასეთი სიტუაცია გაქვს, წამო, ერთ კაცთან წაგიყვან, ოღონდ, იქ ფქვილიანი ტომრების გადაზიდვა მოგიწევს.

ტელეფონი ამოვიღე და ისევ „ლაპარაკი“ დავიწყე. ახლავე მოვალ-მეთქი, ვუთხარი „მეტაჩკეს“ და იმ „ოფტავოისკენ“ გავემართე, სადაც დღეში 50-60 ლარს უნდა შოულობდნენ...

გრძელი დაღმართია და მეც გამოკითხვას თავიდან ვიწყებ... ყველა „ტაჩკასთან“ მივდივარ და მეპატრონეს ხან რას ვუყვები, ხან — რას. ერთი კია: ყველას ვეუბნები, 5 წუთში ჩემი მეგობარი მოვა და ჩანთები უნდა წაგვაღებინო-მეთქი. აი, ერთთანაც რომ მივედი, ტელეფონის ჩვეული „რიტუალი“ ჩავატარე და ვკითხე, უფროსო, თავისუფალი ხარ-მეთქი, ხელების ქნევა დაიწყო — თურმე, მეტყველებადაქვეითებული „მეტაჩკეების“ სადგომს მივადექი... თავისუფალი ვარო, — მანიშნა, მაგრამ რადგან ინფორმაციის მიღებაში ვერ დამეხმარებოდა, დაღმართს ჩავუყევი, სხვასთან გავჩერდი და საუბარი მორიგ „მეტაჩკეს“ გავუბი, რომელმაც ვიღაცას გასძახა, ნელა, ბიჯო, ხელი არ შემოგიბრუნოსო... მივიხედე და დასვრილი, გაბურძგნული კაცი დავინახე, რომელსაც არყის ბოთლი ჩაებლაუჭებინა, მიწაზე იწვა, თავი კი მანქანის საბურავზე მიედო. ვერ მივხვდი, ადგომას ცდილობდა თუ დაძინებას. ამასობაში, ავტოსადგომის მორიგე მივიდა, ეს ხომ სულ აქ უნდა ეგდოს, ვერაფრით გავაგდეო და 2-ლიტრიანი ბოთლით წყალი „გადაავლო“.

— მიდი, აბა, თუ ბიჭი ხარ, მიდი! — აქეზებენ „მეტაჩკეები“.

დასველებული კაცი ფეხზე ძლივს წამოდგა და მორიგეს გამოეკიდა:

— უ იძი, იბ..მატ, უ იძი! — რუსი ყოფილა...

„უ იძი...იბ..მატ“-ზე რაღაც გამახსენდა... ჰმ... გაბურძგნული რუსი, რა თქმა უნდა, ქართულ პოლიტიკას თვალს არ ადევნებს, თორემ ვიცი, როგორც უპასუხებდა მორიგეს: „უ იძი, იბიარდ, უ იძი!“.

„მეტაჩკე“ კი დგას და ხმამაღლა მიხსნის:

— ის შენი მეგობარი რომ მოვა, ფასზე იმას შევუთანხმდები. გააჩნია, სადმე ახლოს თუ უნდა წაღება და თუ მიღირს,... არა, რის 50, მით უმეტეს, 60 ლარი. ტყუილი „ბაზარია“. მე, წლებია, აქ ვმუშაობ და ჩემი კლიენტებიც მყავს, მაგრამ დღეში 30-40 ლარი გამომდის... აქ ყველას თავისი ადგილი აქვს. ამ ადგილას მე და ჩემი შვილი ვდგავართ.

— ვთქვათ, სხვა მოვიდა და დადგა...

— მოვა და „გავუხევ“ სახეს. ეგრე ხო არაა... ელემენტარული კაცობა და ადამიანობაა, სხვას კლიენტი არ წაართვა.

„არაფერი პირადული, უბრალოდ ბიზნესი!“ — გამიელვა.

— მოიცა, ახლავე მოვალ-მეთქი და გზა გავაგრძელე. ისევ გამოვკითხე რამდენიმე „მეტაჩკე“, მაგრამ განსხვავებული არაფერი უთქვამთ. როგორც იქნა, „ოფტავოიმდეც“ მივაღწიე. აქ, ეტყობა, მართლა კარგი მუშაობაა, რადგან ყველა „ტაჩკა“ დატვირთულია და სადღაც მიარბენინებენ. ერთი დავინახე, გაჩერდა, ტვირთი გადმოცალა და ქოშინით მივვარდი, უფროსო, ცარიელი ხარ?..

და დაიწყო ახალი დიალოგი...

მეგობარზე მასაც მოვატყუე და ვიდრე შეკითხვების დასმას დავიწყებდი, ვიღაც ქალი მოვიდა, ეს „მეშოკი“ წამაღებინეო. აქ დამელოდე, ახლავე მოვალო, ამ კაცმა, მაგრამ გავყევი. 50-60 ლარი თავიდან მანაც უარყო, მაგრამ ნელ-ნელა და ჩემი „გულახდილი“ საუბრიდან გამომდინარე, აღიარა, კი, აქ მაგდენი იშოვებაო. ამ კაცმა ისიც მითხრა, თავი დაანებე მშენებლობას, აქ მოდი, ჯობიაო.

— აქ თავისუფალი ხარ, ძმაო. უფროსი არა გყავს და არაფერი. ოღონდ „ტაჩკა“ უნდა იყიდო. თუ იქირავებ, ამათ უნდა უხადო დღეში 3 ლარი, მაგრამ ასე არ ღირს. მართალია, ძვირია — კარგი „ტაჩკა“ 200 ლარამდეა, მაგრამ მაინც ასე ჯობია, რა! როცა გინდა, წახვალ და როცა გინდა, მოხვალ. მე დილის 7 საათზე გამოვდივარ, დღის 12-მდე ვმუშაობ. 30 ლარზე მეტს თავისუფლად „ვაკეთებ“. შენც, თუ ჭკვიანად იმუშავებ, იშოვი, კლიენტები თავისით მოდიან. ტრაქტორისტი ვარ და სხვაგანაც ვმუშაობ, მაგრამ იქიდან რომ გამომიშვან, ეს ადგილი გარანტირებული მაქვს. უკვე ასაკში ვარ, 52 წლის გავხდი და რა იცი, რა ხდება...

ცოტა ხანს გაჩერდა და შემდეგ მკითხა, შენი მეგობარი მალე მოვაო? არ ვიცი-მეთქი და მხრები ავიჩეჩე. მერე ტელეფონი ამოვიღე, ჩამწერი გამოვრთე, ის, რა თქმა უნდა, ვერაფერს მიხვდა და მეგობარი მოვიდა, გავალ დავხვდები-მეთქი, ვუთხარი. ჩემთან ერთად წამოსავლელად მოემზადა.

— არა, არა, იყავი, მოვიყვან-მეთქი.

— აბა, გელოდები მაშინ...

წამოვედი. ალბათ, დიდხანს მელოდა... მაპატიოს... აბა, რომ მეთქვა, ჟურნალისტი ვარ და თქვენი ბიზნესის შესახებ ყველაფერი მაინტერესებს-მეთქი? საუკეთესო შემთხვევაში, ზედაც არ შემომხედავდა.

**აღმართი ისეთი ქოშინით ამოვირბინე, ბავშვობაში ბნელი ოთახიდან განათებულისკენ რომ გავრბოდი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ბნელი ოთახი ახლა ბაზარი იყო, განათებული კი — ავტობუსების გაჩერება.**

**ბექა ღიბრაძე**

**„აქ თავისუფალი ხარ, ძმაო. უფროსი არა გყავს და არაფერი. ოღონდ „ტაჩკა“ უნდა იყიდო. თუ იქირავებ, ამათ უნდა უხადო დღეში 3 ლარი, მაგრამ ასე არ ღირს. მართალია, ძვირია — კარგი „ტაჩკა“ 200 ლარამდეა, მაგრამ მაინც ასე ჯობია, რა! როცა გინდა, წახვალ და როცა გინდა, მოხვალ. მე დილის 7 საათზე გამოვდივარ, დღის 12-მდე ვმუშაობ. 30 ლარზე მეტს თავისუფლად „ვაკეთებ“. შენც, თუ ჭკვიანად იმუშავებ, იშოვი, კლიენტები თავისით მოდიან“.**

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!"

პრობლემა

# მათხოვარ ბავშვებს პროსტიტუციას აიძულებენ?!

**„ბიძია, დამეხმარე, რა"! „5-10 კაპიკი ხომ არ გექნება?" „ღმერთმა დაგლოცოს, შვილო!" — საქართველოში, ალბათ, არ მოიძებნება ადამიანი, ვისაც ყური იდენტური ფრაზებისთვის არ მოუკრავს. მოწყალებას ითხოვენ ყველგან: პრესტიჟულ უბნებსა თუ გარეუბნებში და სოციალური უფსკრული, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია, არსებობს, კიდევ უფრო ღრმავდება. არსებულ ვითარებას დრამატიზმს ბოშები სძენენ, რომელთათვისაც უსახლკარობა და გაჭირვება მემკვიდრეობითი რუტინაა, მათი მომაბეზრებელი სითავხედე კი, — პროფესიული უნარ-ჩვევა.**

## ბოშათა ბანდა — მოზარდთა ექსპლუატაციის შემზარავი ფაქტები



„სახელმწიფომ ისინი საზღვარზე არ უნდა შემოუშვას, რადგან ქუჩაში სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდება. ჩვენი მათხოვრებიც გვეყოფა!"

„ერთხელ, სააკაძის ბაღში ვიჯექი, გევრდით პარკი მედო, უცებ, მოვიდა „ციგანკა", ხელი დაავლო პარკს და გაიქცა..."

„ბოშები ორგანიზებულად მათხოვრობენ, ეს მათი საქმიანობაა და ქვეყანას სარგებელს ვერ მოუტანენ. ჯერ ნორვეგიიდან „დაადეპორტეს", მერე — აზერბაიჯანსა და რუმინეთიდან. მგონი, ყველა აქ ჩამოვიდა", — ასე აფასებენ თბილისელები ბოშებს.

ბოშები, ქართველი მათხოვრებისა არ იყოს, ბავშვებით სპეკულირებენ და, როგორც ჩანს, სამართალდამცავები ამაზე თვალს ხუჭავენ. რამდენჯერმე ვცადე, უშუალოდ მცირეწლოვან ბოშას გავსაუბრებოდი, მაგრამ უშედეგოდ — რამდენიმე ხმოვანი ამოხდა და გაიქცა.

ერთი საინტერესო ფაქტის თვითმხილველიც გავხდი: პეკინის ქუჩაზე, ნახევრადშიშველ ბოშა ბავშვს გამვლელმა ტანსაცმელი მისცა, შემდეგ, პატრული გამოვიძახეთ და მის მოსვლამდე ვცადეთ, გაგვერკვია, თუ რა ხდებოდა ამ ბავშვის თავს, თუმცა რამდენიმე წუთის შემდეგ, ბოშა გაიქცა. უკან გავყევი, კვალი დავკარგე და გეზი სწრაფი კვების ობიექტებისა და რესტორნებისკენ ავიღე. გზად ისევ ის ბავშვი შემხვდა — ისევ ნახევრადშიშველი იწვა და ახალ „მსხვერპლს" ელოდა. გამვლელისგან ნაჩუქარი ტანსაცმელი კი იქვე მდგარ შუა ხნის ბოშა ქალს ეჭირა...

ქუჩა გადავკვეთე და ბრიტანელ ტურისტებს გადავეყარე, ვკითხე, ქუჩაში ფულს თუ გთხოვენ-მეთქი. ტურისტმა ქამრის სარტყელს წაავლო ხელი და ტანსაცმლის ქაჩვა დაიწყო, შემდეგ, დამტვრეული ქართულით მითხრა:

— იციან, უცხოელი რომ ვარ და დოლარები ახსენდებათ.

ტურისტს გავეცალე და კვების ერთ-ერთ დაწესებულებას მივადექი. საუბარი დაცვის თანამშრომელს გავუბი:

— **მოწყალების სათხოვნელად ხშირად შემოდიან?**

— კი, მაგისთვის ვდგავარ.

— **მხოლოდ ბოშები გაწუხებენ თუ ქართველებიც?**

— ორივე. ისე, ამაზე საუბრის უფლება არ მაქვს და ამ დაწესებულებაში არც სხვა დაგელაპარაკება.

— **ის მაინც მითხარით, ერთი და იგივე ხალხი მათხოვრობს, ან მათ წინააღმდეგ რა ზომებს იღებთ?**

— თუ საკითხი ასე გაინტერესებთ, თვითონ გაარკვიეთ.

ქუჩის ბოლოს კიდევ ერთ რესტორანს მივადექი, მენიუ მოვიმარჯვე და საუბრის დასაწყებად მომენტს ვარჩევდი. ბოლოს, მიმტანს ვკითხე:

— **ბოშები გაწუხებენ?**

— „ციგნები"? კი, დაცვას ვეძახი და იმას გაჰყავს ობიექტიდან.

— **ერთი და იგივე „ტიპები" მოდიან?**

— არა, ან შეიძლება, ერთი და იგივეცაა. სახეზე ვერ ვიმახსოვრებ.

რესტორნებში ჩემი ვოიაჟის მიზეზი იმის გარკვევა იყო, არსებობენ თუ არა ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც კვების ობიექტებს „აწიოკებენ". ფაქტია: ყველა ბოშას თავისი ქუჩა აქვს და იქ „პატრულირებს", ძირითადად, ბავშვები ითხოვენ მოწყალებას და შემდეგ, გამომუშავებული თანხა მოზრდილ ქალბატონებთან მიაქვთ. თუ ბოშები ჩვენს ქვეყანაში არალეგალურად ცხოვრობენ და ამაზე სამართალდამცავები თვალს ხუჭავენ, სახელმწიფომ ბავშვთა ექსპლუატაცია მაინც არ უნდა დაუშვას. „ქართული სიტყვა" სახალხო დამცველის აპარატს დაუკავშირდა:

— **მოწყალების მთხოვნელ ბავშვებზე, განსაკუთრებით ბოშებზე თუ გაქვთ ინფორმაცია? ისინი ქუჩაში მოწყალებას ჯგუფურად ითხოვენ, ამ ფაქტებს მონიტორინგს უწევთ?**

— ასეთი ფაქტები სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშშია ასახული. ამ პრობლემას ცალკე ქვემუხლი დავუთმეთ და ამაზე ვმუშაობთ. გვაქვს პროგრამა, რომელიც ქუჩაში მცხოვრები ბავშვებისთვის გარკვეული სახის მომსახურებას ითვალისწინებს. არსებობს სხვადასხვა სახის თავშესაფარი. აგრეთვე, მონიტორინგს ვუწევდით პროცესებს და სტატისტიკა დაფიქსირებულია ზემოხსენებულ, 2014 წლის მოხსენებაში. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა და ამ საკითხით მუდმივად ვინტერესდებით.

— **მობილური ჯგუფები თუ გყავთ, რომლებიც უშუალოდ გაეცნობიან ბავშვთა პრობლემებს, რათა ქუჩას მოშორდნენ და თავშესაფრებში დაბინავდნენ?**

— სამი მობილური ჯგუფი გვყავს, რომელიც დაკომპლექტებულია სოც. მუშაკებითა და ფსიქოლოგებით. ეს ადამიანები ცდილობენ, ბავშვებთან კონტაქტი დაამყარონ და შემდეგ, თავშესაფარში გადაიყვანონ. აგრეთვე, ბავშვებს ვეხმარებით დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში, ვცდილობთ, ჩავრიცხოთ სკოლაში და მათი ყოფა ჩვეულებრივ საზოგადოებრივ ცხოვრებას შევუთავსოთ. ყველა ბავშვს ვეხმარებით, განურჩევლად ეთნოსისა. სამწუხაროდ, ბავშვებს, ზოგ შემთხვევაში, პროსტიტუციას აიძულებენ. ბევრია ოჯახში ძალადობის მსხვერპლიც. კონკრეტული ფაქტებით და „ქეისებით" თუ ვინმე დაინტერესდა, შეუძლია, ჩვენს ანგარიშში იხილოს.

— **მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე რეაგირებთ?**

— კი, რა თქმა უნდა, გვირეკავენ და გვაწვდიან ინფორმაციას, როცა ქუჩაში უსახლკარო ბავშვს ნახავენ. ხშირად შსს არ რეაგირებს და ამიტომ პრობლემის მოგვარება ჩვენ გვიწევს, თუმცა თანამშრომლობას ისევ შსს-ს ვთხოვთ... არსებობს რეფერირების ბრძანება, რომელიც შსს-ზეც ვრცელდება, ანუ საპატრულო პოლიციას პასუხისმგებლობა ეკისრება, დააფიქსიროს ძალადობის მსხვერპლი ბავშვები და ამას სათანადო რეაგირება მოაყოლოს. რა თქმა უნდა, ნებისმიერი ბავშვი, რომელიც მოწყალებას ითხოვს, ძალადობის მსხვერპლია. მოკლედ, ამ კუთხით ბევრი პრობლემაა. არსებული სისტემა, რომლითაც ვაფიქსირებთ მსხვერპლ ბავშვებს, არაეფექტურია. უპატრონო ბავშვების უკანონო ქმედებების გამოძიებაც საკმაოდ პრობლემურია და შსს ძირითადად ჩვენი მიმართვის შემდეგ ინტერესდება ხოლმე.

**სამწუხაროდ, ქუჩაში მოწყალების მთხოვნელი ბავშვების პრობლემა ხვალ და ზეგ ვერ მოგვარდება. ასეთი ვითარება მხოლოდ სახელმწიფოსი კი არ, ალბათ, საზოგადოების ბრალიცაა — გამვლელები იშვიათად თუ ინტერესდებიან იმ ბავშვების პრობლემებით, რომლებიც დღე და ღამე ქუჩაში არიან. ამ მოზარდების მომავალიც, ალბათ, ისეთივე პირქუშია, როგორიც მათი სახეები...**

**დავით გალაშვილი**





ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გზა ტაძრისაკენ



# ტუალეტის ქაღალდზე დაწერილი დღიური

## ისა ამინი

დილაადრიან გავიღვიძე, ან რას დაგაძინებს კოსტია, ჩვენი ეზოს კატა. ჩხავილით კარს ფხოჭნის, ოთახში შემოსვლას ითხოვს. მთელი ეზო აჭმევს. ზარმაცია და უმაქნისი. ღამღამობით ეზოში არ ჩერდება, ცხრა მთას გადაივლის. საკმარისი აღმოჩნდა, ერთ ყინვიან დღეს შინ შემოვუშვი გასათბობად და იმ დღიდან ამოიჩემა — მომადგება, კნავილს მორთავს. კაი ბიჭი ხარ, არ გაუღებ და არ შემოუშვებ, არ მოგასვენებს „მიაუ-მიაუ“-თი, ჩხავილს არ მოეშვება, ვიდრე თავისას არ გაიტანს. იძულებულს მხდის, შემოვუშვა. ამოიჩემა ბალიში, რომელზეც თავი მიდევს — ზედ მოკალათდება, ბურთივით მომრგვალდება. თავის ფუმფულა კუდს დრუნჩქვეშ ამოიდებს. მოყვება კრუტუნს შეუსვენებლივ. არ მახსოვს, წავიკითხე თუ მომიყვნენ: ქრისტეს ჭრილობები კატამ აულოკა. ამიტომაც არ აგდებენო ეკლესიიდან. ალბათ, მაგის ხათრითაც ვრთავ ნებას. საცა უნდა, იქ წამოწვეს. მიეჩვევი ცხოველს, ისიც მოგეჩვევა. თვალებში ჩახედავ, გული გწყდება, ნეტავ ლაპარაკი შეეძლოსო.
ერთი უცნაური ჩვევა აქვს: ყოველდღე ხელცარიელი არ მოდის, ხშირად თაგვი მოჰყავს, გაგუდული. კართან დადებს თავმომწონედ, აქაოდა, ნახე რა ნანადირევიაო. მაგის დაჭერილი თაგვი მე არ მინახავს. ასიანი, მაგათშიაც მოსულა ერთმანეთის გატანა და თანადგომა — მეზობლის კატა აჩუქებდა. წადი, შენ ფუქსავატ პატრონს თავი მოაწონეო.
ამ დილაუთენია, როგორც კი მორთო კარის ფხოჭვნა, გავუღე. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა — თაგვი არ მოუტანია. სამაგიეროდ, მოზრდილი ცელოფანის პარკი იდო კოსტიას გვერდით. კოსტია არ დამლოდებია — დასაძინებლად გავარდა. მეზობლები შევყარო, არიქა, პარკი ვისია? აზრი არ აქვს. ვაითუ, ნაგვის ბუნკერში ჩახტა ეს კოსტია-პროსტია. სირცხვილი არ ვჭამო. მეზობლების დაცინვაღა მაკლია, ისედაც ჭაკად მაქვს საქმე — ნივრიან ჩაის გეახლებით, რწყილებს ჩაქუჩით დავდევ. პარკი ჩაცუცქულმა გავხსენი. ცოტა მეშინია — ტერაქტს ხომ არ მიწყობენ? მაგრამ ვის რაში ვჭირდები. გავხსენი. გაოცებისგან პირი დავაღე: კაი ხანი დავყავი პირდაღებულმა.
პარკში იდო: პატარა „ჩეკუშკა“ არაყი, ძეხვი, „ბატონებო“, „ბატონი“ პური, ხელსაწმენდები და ტუალეტის ქაღალდი. მაღლა ავიხედე, გამჩენს მოწიწებით მადლობა ვუძღვენი. ძღვენი ოთახში შემოვიტანე, სამზარეულოს ბუფეტში დავაბინავე. ტუალეტის ქაღალდი საპირფარეშოში შევიტანე. ბარემ, ადგილზე ვიყავი, ვიფიქრე, უნიტაზს მივაგებ-მეთქი კუთვნილს. პერანგის ამხანაგი ჩავიძრე, უნიტაზზე ჩამოვჯექი. სიგარეტიც გავაბოლე. საქმეს შევუდექი. პაპიროსი ბოლომდე ჩაიფერფლა. აუცილებელიც მოვითავე. ტუალეტის ქაღალდს ყდა შემოვახიე. ის იყო, უნდა გამექანებინა თავისი მოვალეობის შესასრულებლად, ქაღალდზე რაღაც ხელნაწერი შევნიშნე.
გაგიკვირდებათ, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ. ვინ ირჯებოდა, რამ მოაფიქრა, როგორ შეძლო, რა ნერვებმა გაუძლო, რა განზრახვა ედო გულში, რომ მთელი თავისი ცხოვრება, ტუალეტის ქაღალდზე გადაეტანა?
გორგალი საძინებელ ოთახში შევიტანე. წაკითხვა დავიწყე. ბოლომდე ჩავედი. ყოველი შემთხვევისთვის, გავიკითხ-გამოვიკითხე, ახლომახლო ვინმე თუ ცხოვრობდა, რომელსაც ცეტიაანთ გოგიათი მოიხსენიებდნენ. ყველა მხრებს იჩეჩავდა, მასეთი სახელის კაცს არ ვიცნობთ, არც საახლობლოში გაგვიგონიაო. პრესაშიც განვაცხადე: გამომეხმაუროს ცეტიაანთ გოგია, წაიღოს თავისი დაკარგული ტუალეტის ქაღალდი-მეთქი. ჩემი მისამართიც მივუთითე. შემეძლო, გაზეთის რედაქციაში დამეტოვებინა უცნაური ფორმით შესრულებული დღიური. ცნობისწადილმა მძლია. ვიფიქრე, იქნებ გამომეხმაუროს ავტორი, დავილაპარაკებთ-მეთქი. იქნებ, აეხსნა, რამ დააწერინა სიჭაბუკისდროინდელი თავგადასავალი მაინც და მაინც ტუალეტის ქაღალდზე, როცა მაკულატურას მიაქვს ქვეყანა. იქნებ, აეხსნა, სადაური იდეა იყო. თვითონ მოიფიქრა, ურჩიეს თუ ზეციდან უკარნახეს?
ერთი წლის განმავლობაში არავინ გამომხმაურებია. ხელნაწერი გადასაგდებად დამენანა. ავდექი და საერთო რვეულში გადმოვიტანე, როგორც შეეფერება ჩემნაირ წიგნის ჭიას. მინდა, თქვენც წაიკითხოთ — სამსჯავროზე გამომაქვს. თუ ცოცხალია ცეტიაანთ გოგია, ნუ გამიბრაზდება. თუ კი იმ ქვეყნად გაემგზავრა, შემინდოს მისმა სულმა. ვთქვათ, ამ ნაწარმოებმა, რაიმე შემოსავალი მომიტანა (მე უპატრონოს, რაც ნაკლებად მჯერა), მაგას რა აჯობებს. მოკლედ, რა თანხასაც მომცემენ, კოსტია მჩხავანას ლამაზ საყელურს შევუძენ. არაფერს ავიღებ ჰონორარის სახით? — მაინც ვუყიდი საყელურს კოსტიას. ზედ „პედიგრისაც“ მივამატებ — უყვარს ნამეტანი.

●

ამბავი, რომელიც უნდა გიამბოთ, ერთი ჩვეულებრივი ადამიანის ჩვეულებრივი ამბავია. ჯარიდან რომ დავბრუნდი, ერთხანობას წერამ ამიტანა. მოვიმარაგე ბლომად ჩაი, „კუპეჩესკი“ შაქარი, მივუჯექი მაგიდას, მოვიმარჯვე კალამი და მეგონა, რომ მოგონებების სქელ-სქელ დასტას დავაყენებდი, მაგრამ ოც ფურცელზე მეტი ვერ დავწერე, ან რას დავწერდი. ჯარში ორი წელი, გინების მეტი არაფერი მომისმენია, მხოლოდ წერილებს თუ დავწერდი, იმასაც იშვიათად.

წერის დროს დავლიე ასი „კრუშკა“ ჩაი, ორმოცდაათამდე — „ჩეფირი“. ისე, მიკვირს, ამდენი როგორ შევძელი?! იმხანად, როცა მოგონებების დაწერა გადავწყვიტე, დედაჩემი ბამზე იყო წასული სამუშაოდ, დები ცალკე ცხოვრობდნენ. მოკლედ, შინ მარტო ვიყავი... 22, ჰა-ჰა 23 წლის გახლდით. ძარღვებში სიცოცხლე დუღდა კი არა, გადმოდუღდა, სისხლი თავში მირტყამდა...

ჩემი მეგობარი კაც-ქალები ამ პაწაწინა, უზედამხედველო ოთახს ვინ მოაცდენდა? სალონი „კრასნი შარიკი“ — ასე მონათლა ჩემი სახლი ალისამ პირველივე ნახვისას, თან ჰომერულად გადაიხარხარა...

ვიკრიბებოდით თოთხმეტკვადრატულმეტრიან ოთახში თოთხმეტჯერ-თოთხმეტი. სიგარეტის ბოლი, აუარება ბოთლი — ღვინის, ლუდის, მანაგუის, ბორჯომის, ლიმონათის, შხამის, დოზანის და დარდუბალასი... ჭერზე წვრილი თოკით დიდი წითელი ბურთი მეკიდა, იცით, რამხელა? — აი, ორ ხელს რომ ვერ შემოაწვდენდით...

მოგონებების წერაში ხელი რომ არ შეეშალათ, კარზე გაკრული მქონდა წარწერა: „ჩუმად, რეპეტიციაა!“, მაგრამ ჩემი მეგობრები ამას არ შეეპუვნენ, პირიქით, თითქოს პირი შეკრეს, არ დამანებეს ლიტერატურულ ასპარეზზე სახელის, დიდებისა და დაფნის გვირგვინის მოხვეჭა. ზოგი ფანჯრიდან მოძვრებოდა, ერთნი ლამის საკანალიზაციო მილს მოჰყვებოდნენ. ქილიკ-ქირქილის საბაბი მიეცათ — რომელიმეს ალკოჰოლი გაუჯდებოდა თუ არა, შუბლთან თითს დაატრიალებდა, დამემანჭებოდა და მეტყოდა: „გოგი, შენა ხარ „ჩუმად რეპეტიცია“...

მეც რაღა ძალი მედგა, გადავეშვი ბოჰემურ ცხოვრებაში. არავის ვადანაშაულებ, დღეში ათი პარასკევი მაქვს, ბალახს გავაბოლებ, მხართეძოზე წამოვწვები და როგორც ხდება ჩვენში, აქეთ გორას წიხლსა ვკრავ, იქით გორას ძვრას ვუზამ. თრობიდან გამოსულს ხომ ვერ მომეკარებით, მუქ ფერებშია ყველაფერი, თავჩაქინდრული დავბოდიალობ, ასე მგონია, მთელი სამყარო ჩემს წინააღმდეგაა ყალყზე აფოფრილი. კიდევ კარგი, ყურუმსალი მეგობრები დაიარებიან ჩემთან, აი, ასე ვლრეობთ......

ხელნაწერი უჯრაში ჩავაგდე და კარგა ხანს აღარ გამხსენებია, თანაც კომუნისტების დროს, თემა, რაზეც მინდოდა დამეწერა, დღის სინათლეს ვერაფრისდიდებით იხილავდა...

მას მერე ოცდაათ წელზე მეტი გავიდა. ამას წინათ, უჯრაში შენახული ჩემი მოგონებები შემთხვევით ხელს მოხვდა, ავდექი და წერა დავიწყე, საქმე მაინც არაფერი მაქვს, შემოდგომაა, აღარ მაძალებენ ღვინოს, შემომეცალნენ დოსტები, მათი უმეტესობა ბოხჩებითა და ყავარჯნებით იმ ქვეყნადაა. მიკვირს, ალბათ, მიქელას ჯერ ჩემთვის არ სცალია, თორემ ჩემი საფლავის რკინის ცხაური სამჯერ უნდა იყოს უკვე გადაღებილი...

სოფელში დავიბადე... დედაჩემს სამშობიარო ტკივილები რომ დასწყებია, სახედარშებმული ურმით სოფლის სამშობიაროში წაუყვანიათ. ოთხისაც არ ვიქნებოდი, სრულიად ახალგაზრდა, 29 წლის მამა რომ გარდამეცვალა... ცელქი და მოუსვენარი ვიყავი და რაც მე დედაჩემისგან როზგი მომხვედრია, იმდენი ფოჩიანი კამფეტი თქვენ, პური და ფული... ყველაზე ახლობელი ხალხი ჩვენი ეზოს თავსა და ბოლოში ცხოვრობდა: პაპაჩემი ლუკა, ბებიაჩემი ლიზავეტა (უკრაინელი გახლდათ). პაპაჩემი კოჭლი იყო, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, ერთ-ერთი ყველაზე ჩინებულად მოვლილი ვენახი ჰქონოდა. პაპა ლუკა სასმელს არ ეტანებოდა — სადილად ერთ ჭიქას თუ დალევდა. აი, ბებიას უყვარდა ღვინო და ხშირად მიმართავდა ბახუსოთერაპიას. ოთხი შვილი ჰყავდა დაღუპული და, ალბათ, დარდს იქარვებდა. დალევდა, დაიწყებდა თავის მშობლიურ ენაზე ღიღინს. მართალია, არაფერი გამეგებოდა, მაგრამ ეს ღიღინი უსაზღვროდ მომწონდა. სულგანაბული ვუსმენდი და მინდოდა, მეც მემღერა ბებიასთან ერთად.

ლიზავეტას ახალგაზრდობიდან ისეთი ჭრელი კაბები და „მაშიები“ ჰქონდა შემორჩენილი, უბნის გოგოებს ერთი სული ჰქონდათ, სადმე გაეგულებინათ ბებია, მის კირით შეთეთრებულ ოთახში ჩემი დის მეთაურობით შეპარულიყვნენ, ეს კაბები გადაეცვათ და „დიდობანა“ ეთამაშათ.

ზამთრობით პაპა და ბებია გომურს გადატიხრავდნენ და საცხოვრებლად იქ გადაბარგდებოდნენ ხოლმე. ამას რომ ვიხსენებ, ჟრუანტელი მივლის — ტიხრის ერთ მხარეს შუა ცეცხლი ანთია, ტიხრის მეორე მხრიდან კი ძროხა იყურება, „ლამაზო“ ჰქვია, თავისი საცრისხელა სევდიანი თვალებით აკვირდება ადამიანებს...

დედამ ითმინა, ითმინა, მაგრამ ველარ გაუძლო სოფლის ყოფას, გამოკეტა სახლი, აგვიკიდა სამი შვილი და ჩამოგვიყვანა ქალაქში, დიდუბეში, ერთ პატარა ბარაკულ დასახლებაში, რომელსაც „შანხაის“ ეძახდნენ, „სორობინა“ ვიქირავეთ, თაგვი კუდს ვერ მოიქნევს...

პირველი სპექტაკლი, თანაც თოჯინების, სწორედ „შანხაიში“ ვნახე. ამ უბანში ყველაზე ნორმალური სახლი ქრისტოს ჰქონდა. ჩვენზე ორი წლით უფროსი ქრისტო გააბამდა ფარდას, თვითონ ფარდის უკან დადგებოდა, ჩვენ მაყურებლები ვიყავით და... ყველა ცნობილ საბავშვო ზღაპარს ქრისტოს წყალობით გავეცანით...

მე, როგორც ამკლები, ინტერნატში მიმაბარეს... ე.წ. ინტერნატის ბავშვების უმეტესობა ან ობოლია, ან — ხელმოკლე ოჯახის შვილი...

პირველი სექტემბერია... ვდგავარ შუა საკლასო ოთახში, ვღნავი... თითქმის ყველა ბავშვი მიწყნარდა — ბედს შეეგუა, ან ხმას შიშისაგან ვერ იღებენ. მე კი, გულამოსკვნილი მივტირი „ოქროს ხანის“ დასასრულს. ამ დროს, თითქოს ცა გაიხსნა, საიდანაც ანგელოზი ჩამოფრინდა და ყურში ჩამჩურჩულა:

— ნუ ტირი, პატარავ!... აი, ია...

ამ ორმა სიტყვამ მომაჯადოვა, სლუკუნი შევწყვიტე, თავი მაღლა ავწიე და... ჩემს წინ 25 წლამდე ასაკის ლამაზი ქალი იდგა... ეს ახალგაზრდა ქალი ციური მასწავლებელი იყო...

ინტერნატის ცხოვრება ერთფეროვანია: დილის 8 საათზე ვიღვიძებთ, დავრბივართ, ვვარჯიშობთ. ვსაუზმობთ, მერე გაკვეთილები გვეწყება. 12 საათზე ისევ სასადილოში შევდივართ და მსუბუქად ვიკვებებით — კაკაო, კისელი, ფუნთუშა, კამფეტი... ნაშუადღევს გაკვეთილები გვიმთავრდება. სამ საათზე სადილია, თან მსუყე, მენიუ ყოველ დღე იცვლება... ხუთ საათამდე ვისვენებთ. ირეკება ზარი, მეცადინეობას ვიწყებთ, ანუ გაკვეთილებს ვსწავლობთ მეორე დღისთვის. ამ

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

29-VII 4-VIII 2015 № 30 (294)



„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

## გზა ჭაობისაკენ

პროცესს თვალს ზედამხედველი ადევნებს, რომელსაც მოფერებით ბუას ვეძახით... რვა საათზე ვახშამია... მერე, პირსაბანში შევდივართ, კბილებს ვიხეხავთ, ხელ-პირს ვიბანთ და... დასაძინებლად მივდივართ... საძინებელი კორპუსი სამსართულიანია. პირველი სართული გოგონებს უკავიათ, დანარჩენი ორი – ბიჭებს. შაბათ-კვირას, ვისაც ბედი გაუღიმებს, დედა მოაკითხავს და ამ ორ შესანიშნავ დღეს შინ გაატარებს.

ტირილით, მართალია, აღარ მიტირია, მაგრამ მთელი რვა წელი, რაც ინტერნატში ვიყავი, თითქმის ყოველთვის, როცა საკლასო ოთახის კარი იღებოდა, მეგონა, დედა შემოვიდოდა, ან ავტობუსს მოვკრავდი თვალს, იმედი მქონდა, რომ იქიდან დედა ჩამოვიდოდა... ჩემს სულსა და გულს არაფერი ახარებდა, დედა მშიოდა და დედა მწყუროდა, და განა მარტო მე? – ექვსასსამოცდაექვს ბავშვს ოჯახური სითბო ენატრებოდა, თავისი ავით და კარგით.

წიგნებმა მიშველეს... ისე, ნამდვილად არ ვიცი, რატომ მიწერდნენ პედაგოგები მაღალ ნიშნებს: არც ერთი საგანი ისე არ მყვარებია, როგორც ინტერნატის ბიბლიოთეკაში აღმოჩენილი მსოფლიო კლასიკური ლიტერატურა მიყვარდა. წიგნის ჭია გავხდი – დროის უმეტეს ნაწილს ბიბლიოთეკაში ვატარებდი და ხშირად მომჩვენებია, თუ როგორ გადაქცეულან პატარა შავი ასოები ვარდისფრად. ისე განვიცდიდი ლიტერატურული გმირების თავგადასავალს, რომ მათ ცხოვრებაში ვიძირებოდი – მათნაირად მტკიოდა და მიხაროდა...

ერთხელ, სექტემბრის ბოლო რიცხვი იყო, საწყობში ჩაგვიყვანეს, სახელმწიფოს ხარჯზე, ზამთრის ტანსაცმლით შეგვმოსეს. საწყობის გამგე ნიკოლოზი ჩვენთვის აღმოსავლელი მოგვივითაა, კეთილი ნათლია.

სულმოუთქმელად ველოდებით შაბათს...

შაბათს, დილიდანვე ყველა ძალდაუტანებელი მონდომებით ვვარჯიშობთ. მერე, გემრიელად ვსაუზრობთ. თითქოს გაკვეთილების დაწყებას აგვიანებენ. დროზე დარეკეთ ზარი, თქვე ოჯახაშენებულებო! იქნებ, ბედმა გამიღიმოს – დედა მოვიდეს, შინ წამიყვანოს... მაშინ მარტო მაინც არ ვიქნები – კიეველ ვოვა ბალიცკისთან ვძმაკაცობ, ათასნაირ გასართობს ვიგონებთ. კვირას შეგვიძლია, გვერდით ქუჩაზე, კინოთეატრში უფასოდ შევიდეთ და კინო ვნახოთ. ჩვენ, ვისაც შაბათ-კვირას მშობლები არ მოაკითხავენ, ორშაბათობით აბანოში მივყავართ ხოლმე... ინტერნატის გვერდზე სასაფლაოა, მასწავლებლების მკაცრი გაფრთხილების მიუხედავად, აღდგომას, სასაფლაოზე მივიპარებით, საფლავებზე დატოვებულ წითელ კვერცხებსა და პასკას ვიღებთ.

„შანხაის“ დასახლებაში მეგობარი არ მყოლია. მერე ელიავაზე გადავედით საცხოვრებლად, აი, იქ, სადაც ახლა დიდი ბაზრობაა. ჩემს ბავშვობაში ელიავა ბარაკებით იყო სავსე. იქვე იყო საბაგირო, ნაგავსაყრელი და ყვავილების სათბურები. ელიავაზე ორ ბიჭთან დავმეგობრდი – სერგო „პონჩიკასთან“, თავისი დიდი ლოყების გამო და კოწოსთან. კოწოს დედა, ლიდა რომ დაიყვირებს, კოწოო, მთელ დიდუბეს ესმის. ამ დროს ჩვენ საბაგიროზე უფროსებს ვეხმარებით – ვაგონში თორმეტი მგზავრი ეტევა და როცა ვაგონი შეივსება,ზარს ვრეკავთ. ვატმანი მდინარის მეორე მხარესაა. საპასუხო ნიშანს გვაძლევს და ვაგონის კარს მაშინვე ვკეტავთ. ზედიზედ ორ სიგნალს ვაგზავნით, რაც იმას ნიშნავს, რომ კარი დაკეტილია. ვაგონში თორმეტ მგზავრზე მეტი არ იმყოფება და უსაფრთხოების ზომები დაცულია. ბაგირი მოძრაობას იწყებს. გიგლა ბიძიას თავი ქუდში აქვს, რადგან იცის, რომ თანაშემწეები არ ვუღალატებთ. საბაგიროს შენობის გვერდით ნაძვები დგას, სადაც გიგლა, ძმაკაცებთან ერთად, „რვა ნომრით“ ილხენს. ნაგავსაყრელი ჩვენი საომარი მოქმედებების თეატრია. ჭაობში შტაბი გვაქვს – ქოხი ავაშენეთ. დროს მშვენივრად ვატარებთ... ფიცრებისგან პატარა ტივი შევკარით, დავცურავთ ზღვებსა და ოკეანეებში...

საღამო ახლოვდება, შინ წასვლას არ ვჩქარობთ – არ გვეთმობა ჩვენი სამყარო. ოცნებიდან ლიდა დეიდას გამოვყავართ. კოწოოოო, – ისმის გამყინავი ხმა. სად წაუხვალ ამ ბრძანებასავით დაძახილს?!

ბარაკებს სამსართულიანი, ყვითელი ფერის სამხედრო ყაზარმა დაჰყურებს, რომლის შესასვლელშიც ჩვენი ნომერი პირველი მტერი, საპენსიო ასაკის „პრაპორშიკი“ ზის. მასთან ხვეწნა-მუდარა არ სჭრის. არადა, კინოს ყურება გვინდა, თან ვერ წარმოიდგენთ, პატარა ბიჭებისთვის სამხედრო ნაწილში წანწალი რამხელა სიამოვნებაა. სამხედროებთან ურთიერთობა, ოფიცრის მოხდენილი ფორმა, ბრჭყვიალა სამხრეები, „პარტიანკის“ თუ თოფის წამლის სუნი გვაჯადოვებს. ქვის მესერი, რომელიც ყაზარმას არტყია, გულდასმით გვაქვს შესწავლილი – მესერის სუსტი ადგილები ვიცით, რომელსაც გვერდზე უბნის მოწინააღმდეგე მტერს, რომც გვაწამონ, არ გავუმხელთ. ჯარისკაცებთან ვმეგობრობთ, საჭიროების შემთხვევაში, არყის მოსატანად ვეგზავნებით პაშა ბებოსთან, რომელიც ისეა დაოსტატებული, ქვისგანაც შეუძლია გამოხადოს „თეთრი ჩაი“. ჰოდა, თუ მოვინდომებთ, შებინდებისას „პლაცზეც“ გავისეირნებთ და პოლკის კინოდარბაზის ბოლო რიგის შუა ადგილებში ჩავიკუჭებით. თუ ბედი გაგვიღიმებს, შეიძლება, სასადილოშიც შევაღწიოთ და ჯარისკაცის „კრუშკიდან“ ჩაის დალევა და იმის გაფიქრებაც მოვასწროთ, რომ მალე გავიზარდოთ და სამხედროები გავხდეთ. ასე მგონია, უმამო ბავშვების უმეტესობა სწორედ ამაზე ოცნებობს, კარუსელებს, ბევრ ნაყინსა და შოკოლადის ფილებთან ერთად. თუ ვცდები, არა უშავს, მე ხშირად მინატრია, ნეტავ, ახლა დიდი ვიყო და სამხედრო ფორმა მეცვას-მეთქი...

უმანკო ოცნებები...

კაპიკ-კაპიკ ვაგროვე ფული, სამ მანეთამდე შევაგროვე... მესერში „ფორთოჩკაა“ ჩატანებული – პოლკის მაღაზიაა. შევყავი თავი, სამხრეები მოვითხოვე. როგორც მახსოვს, ორი მანეთი ღირდა. გამყიდველმა შიშნარევი ხმით მკითხა:

– სახლში იციან?.. რომელ კლასში სწავლობ?.. რად გინდა?

– მინდა! ჩემი ფულია, არ მომიპარავს – დაბადების დღეზე მაჩუქეს!

– წაიღე, შვილო, მაგრამ იცოდე, შარში არ გამხვიო, შენი მშობლები არ მომივარდნენ, არ გამთათხონ...

ელიავაზე კიდევ ერთი ამბავი შეგვემთხვა, რომლის გახსენებაც, ალბათ, ღირს: 30 დეკემბერია, ახალი წელი ახლოვდება... დედა შინ გაფითრებული დაბრუნდა, ლამის ჩაიკეცა... ატირდა... ჩემმა დამ, რომელიც იმხანად 13 წლის იქნებოდა, ჰკითხა:

– რა მოხდა?

– ხელფასი ავიღე, მაგრამ გზაში ჩანთიანად დავკარგე.

– დაწყნარდი... გაიხსენე, სად დაკარგე?

– ტრამვაიდან რომ ჩამოვედი, ჩანთა მქონდა... გაზეთების ჯიხურთან გავჩერდი. ჟურნალი ვიყიდე, წამოვედი...

მოკლედ, დედა ვერ იხსენებს, დაბნეულია. ჩემმა დამ ხელი ჩამკიდა, ჯიხურისკენ გავიქეცით, მიეჭრა გამყიდველს, ცალხელა კაცს ჯიქურ მიახალა:

– მოგვეცი დედაჩვენისა და ჩვენი საშობაო ფული!

ჩვენდა გასაოცრად, დახლის ქვეშიდან ამოიღო და ვიწრო სარკმლიდან მოგვაწოდა ხელჩანთა, თან დააყოლა:

– გახსენით, ნახეთ... შიგ ცალი თვალითაც არ ჩამიხედავს.

სახლისკენ ფრთებშესხმულები გავვარდით.

დედა ისევ ატირდა...

არადა, პატარა ამბავია? – შობას გამოცარიელებულ სახლში იჯდე და გულს არაფერი გიხარებდეს. ჩვენ, ადამიანები ხომ გარეგან ზიზილ-პიპილოებს ვაქცევთ დიდ ყურადღებას!

მთელი მსოფლიოს ბავშვების ჯინაზე, საშობაო არდადაგები ხელში უცბად, თოვლის ფანტელივით გვადნება. საახალწლო კონცერტებზე ჩემი წაყვანით თავს არავინ იკლავს და არც მე ვიჭრი ვენებს, გინდა თუ არა, წამიყვანეთ-მეთქი... ინტერნატის მიერ მოცემული თბილი პალტო მაცვია, ფეხზე – „ტრაქტორები“, ქუდიც მახურავს და კაშნეც მიკეთია. ჰოდა, შემიძლია, საათობით ვიდგე ქუჩაში და ტრამვაის ვადევნო თვალი. „ასწორებს“, როცა მეზობელი, უფროსი კაცი თანატოლივით მოგესალმება, რაღაც აბდა-უბდაზე დაგიწყებს ლაპარაკს, – ჩვენ დროს უკეთესი იყო, ჩვენ დროს იაფი იყო ცხოვრებაო...

მერე, კმაყოფილი ჯიბეში ხელებს ჩაიწყობ და იაფი მომავლის დადგომამდე, ჭაობისკენ მიმავალ ბილიკს ჩაუყვები...

ქოხს დახედავ, აქაურობა გაძარცულივით გამოიყურება, აკლია უჩვენობა. აქა-იქ შემორჩენილია გადატეხილი ისლის ღეროები, გამხმარი ბამბუკები... გაგახსენდება ზაფხული.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა, მეამბნა, თუ რა გადაგვხდა ამ ზაფხულს მე და სეროჟას.

ნაგავსაყრელზე ძაღლების დიდი, გაერთიანებული ოჯახი ცხოვრობს, ათამდე ლეკვით... ძაღლები ჩვენ არ გვერჩიან – ვმეგობრობთ, ძალიან ლამაზები და ალერსიანები არიან. ყველაზე უფრო ბომბორა ლეკვი დაგვიძმაკაცდა, სულ თან დაგვყვება... სამნი სამხედრო ნაწილთან დავხეტიალობთ. „ზაპოროჟეცმა“ დაამუხრუჭა. მძღოლმა ფანჯრიდან თავი გადმოყო და შეგვეკითხა:

– ბიჭებო, ლეკვი თქვენია?

– ჩვენია...

– მომყიდეთ... დიდი ეზო მაქვს, გავზრდი.

მე და სეროჟას გაკვირვებისგან ყბა მოგვეღრიცა, ენა ჩაგვივარდა. აბა, რა ჯანდაბა მოგვივიდოდა – მძღოლმა ხუთმანეთიანი მოგვაწოდა, მერე კარი გააღო... ბომბორამ უცბად გადაუსვა ხაზი ჩვენს მეგობრობას, რა გესმით ცხოვრებისა, თქვე ინტერნატის სუფის მხვრეპავებოო. თითქოს ადრეც მჯდარა მანქანაში, კუდი გააქიცინა და კმაყოფილი წკმუტუნით შეხტა მანქანაში. როგორც ჩანს, შემოთავაზებულ პირობას ჩვენზე უკეთ აუღო ალღო, ნაგავსაყრელზე მთელი ცხოვრების გატარებას არ ვაპირებ, პერსპექტივა გამომიჩნდა, ხელიდან როგორ გავუშვა, ნაგავსაყრელზე ჩემნაირი ლეკვი რამდენიც გინდათ, იმდენია, მათ მიხედეთო. გაოგნებულებმა ერთი კი მივაძახეთ, დედაშენ ძუკნიკოს რა ვუთხრათ, ლეკვოო, მაგრამ ჩვენი ლაღადი „ზაპოროჟეცის“ ძრავის ღმუილში ჩაიკარგა... ჩვენთან თავისუფალი ნებაა, ძმაო, ლეკვმა თავისი ბედი თვითონვე აირჩია...

სეროჟას დედა, ვიქტორია წერეთელზე, სასადილოში მუშაობს. იქით გავუტიეთ. კარგად გამოვძეხით, ხუთ-ხუთი „პორცია“ ჩამოწერილი ნაყინიც გეახელით. გგონიათ, ვიქტორია დეიდას იმიტომ მივაკითხეთ, რომ ფული არ გვაქვს? – როგორ გეკადრებათ?! დიახაც, გვაქვს, მაგრამ არცა გვაქვს – ერთი მანეთი რა ფულია?! კინოს ხარჯად გვეყოფა, აი, ელექტროფანრებზე არ გვეყოფა...

სასადილოში ყველა გვცნობს. აქ ჩვენთვის პატარა, მსუბუქი სამუშაოც მოიძებნება. – თქვენი გაკეთებული არაფერი გვინდა, – გვეუბნებიან, მაგრამ ჩვენ ჩვენსას არ ვიშლით და დასვრილი ჭურჭელი სამრეცხაოში მიგვაქვს, ცარიელ ბოთლებს მაგიდებიდან ვაგროვებთ, ნაგავს ვყრით ბუნკერში...

ვიქტორია დეიდას ფრანგული პომადა ესვა, მაგარი „ფირმენი დუხი“ ესხა, თხილისხელა ოქროს საყურეები ეკეთა, ხუჭუჭა თმა და ოდნავ კეხიანი ცხვირი ჰქონდა, ჩუმი სევდიანი სიცილი იცოდა. ჯარში რომ ვიყავი, მაშინ გარდაიცვალა... მოკლესო, შვილმა წააგო „ზარშიო,“, ოცამდე ჭრილობა ჰქონდაო... არ მეგონა, თუ გული არ გამისკდებოდა, მთელი ღამე ბალიშში თავჩარგული ვტიროდი. ნეტავ, სულ არ მოეწერათ. თითქოს ბავშვობა მომიკლეს. მერე მითხრეს, უგონებენ შენს ძმაკაცსო.

თავი დამანებეთ, არავის დანახვა არ მინდა...

თოვლის ფანტელებივით გადნა არდადაგები. არდადაგებამდე სკოლაში დიდი ჟრიამული იყო – საახალწლო კონცერტისთვის კოსტიუმების ჭრა-კერვა, ნიღბების დამზადება. ესმა მასწავლებელი ვაი-უშველებელშია. მთელ სკოლაში ყველაზე საზეიმოდ ჩვენი საკლასო ოთახი გამოიყურება – პარკეტი შუშის ნატეხებით გავფხიკეთ, „მასტიკით“ მოვაპრიალეთ, ჭერი ფერად-ფერადი ქაღალდის რგოლებით ავაჭრელეთ, კუთხეში ნაძვის ხეც დავდგით, სათამაშოებით მოვრთეთ და მოვკაზმეთ, სარკმელზე ფიფქებიც მივახატეთ, თუ, ვინიცობაა და, თოვლი არ მოვა. ახლა, გამოდით, დადექით ნაძვის ხესთან, გაიფხორეთ, დასჭექეთ ლექსი ბედნიერ ბავშვობაზე, ცბიერ მელაკუდაზე, მხიარულ თოვლის პაპასა და მზრუნველი, მშობლიური პარტიაც არ დაგავიწყდეთ, თორემ დედა გეტირებათ. მერე გახსენით ვაშლის ხილფაფით გამოტენილი კანფეტები და დაითხუპნეთ სიტკბოთი თითები და ლოყები, წარბები და წამწამები.

რა მოხდა, რას შეიშმუშნეთ, ბავშვები არ ყოფილხართ?..

არადა, ამ გაგანია საახალწლო სამზადისისას, „ბიძია თომას ქოხის“ კითხვა დავამთავრე. მერჩივნა, საახალწლო ალიაქოთში მონაწილეობა ჩემებურად მიმელო, მაგალითად, სკოლის ეზოში, ბიძია თომასთან ერთად, ძელსკამზე ჩამოვჯდე და ჩუმად ბელურებს ვუთვალთვალო. როცა მოსაღამოვდება, ბიძია თომა გადმომხედავს და მეტყვის: ავიდეთ მაღლა. უსიტყვოდ თავს ვუქნევ, მთელი ბელურების გუნდი მოფრინდება და მხრებზე შემოგვასხდება. ბიძია თომა და მე წამოვიზლაზნებით, დინჯად ავუყვებით კიბეს, ბელურებს სხვა ჩიტუნიებიც შემოჰყვებიან ფრენა-ფრენით, შევალთ დარბაზში, დავსხდებით უკანა რიგში, ყველა ონავარი ბავშვი ჩვენს ირგვლივ მოგროვდება, ფრთოსნები სათითაოდ გადანაწილდებიან დარბაზში მსხდომთა მხრებზე. საზეიმო ჟღურტულით მოგვილოცავენ შობას. შუქი ჩაქრება, განათდება სცენა. დაიწყება კონცერტი, წამოვა თოვლი და... ათასი სისულელე. ჩიტუნიები დიდ ჩიტებად გადაიქცევიან, ნისკარტებს ქოჩორში ჩაგვკიდებენ, გაიღება ფანჯრები და ჩვენ გავფრინდებით შორს, თუნდაც აფრიკაში...

თებერვლის დასაწყისში გაყინა და რა გაყინა, მეორე ციმბირი გეგონება თბილისი. ყინვამ გათბობის მილები გახეთქა. შინ მარტო არ გვიშვებენ, შინიდან კი, არავინ გვაკითხავს. შეფუთნულები საკლასო ოთახში ვსხედვართ, მელანი გაიყინა ლამის – ორიანებს ვერ წერენ. ოროსანი იურიკა ნატრობს,ოხ, ნეტავ ისე მოყინოს, გევედრები ზამთრის უფროსო, სკოლამდე ვერ მოაღწიონ მასწავლებლებმა, ყინულზე მოსრიალდნენ, ხელფეხს ნუ მოსტეხ, დაინდე, მსუბუქად დააშავე, ერთი-ორი კვირა გვაბაირამე, მსხვერპლს შემოგწირავთ, ვეებერთელა თოვლის კერპს დაგიდგამთ შენდა სადიდებლადო.

ზამთრის უფროსმა იურიკას ხვეწნა-მუდარა შეისმინა, მთელი კლასი, მაღალი სიცხით, უკლებლივ იზოლატორში მოგვათავსეს. მე ხომ საერთოდაც გონება დავკარგე, ისეთი მაღალი სიცხე მომცა, ლამის „წერილი წავიღე“, მაგრამ ამ ჯერზე პატარა ორგანიზმმა გაიმარჯვა, მოვსულიერდი. ჩემდა გასაოცრად, ამ ქვეყნად მოქცევა, შევხედე რა ისევ აქაურობას, სულაც არ გამხარებია, მისუსტებულმა თვალები დავხუჭე, იქნებ, ისევ გამოვეთიშო ამ სინამდვილეს... სიცხეს ვიზომავ, უფროსკლასელმა ბიჭმა თერმომეტრი გამომართვა... ამასობაში ექთანი მოვიდა, ავადმყოფების გასინჯვა დაიწყო. ჩემამდეც მოვიდა, თერმომეტრს დახედა. შევატყვე, გაოცებისგან თვალები შუბლზე აუვიდა. სახე აეჭარხლა, მერე დაიღრიალა და სილა გამაწნა. ვერ მივხვდი, რა დავაშავე – ვიღაც ვიგინდარის გამო, რომელსაც ეს ხრიკი უფრო დიდმა ვიგინდარამ ასწავლა, უსამართლოდ დავისაჯე. უფროსკლასელი სიამოვნებისგან იკრიჭება, ნეტავ, გამაგებინა, რა სიამოვნება მიიღო. ასეთებს, თვალს არ დავახამხამებდი, ტუალეტში, საკანალიზაციო მილში ჩავყრიდი, ფეკალიებში ჩავრეცხავდი, ვირთხებთან ერთად წუმპეში ღირსეულ ადგილს დაიკავებდნენ. ვერ ვიტან, ძალად უშინაარსო მოუსვენარ ცელქებს. ერთი სიტყვით, გრიპის ეპიდემია ჩაცხრა. ყინვაც მოტყდა...

საკლასო ოთახში სასწავლო ნაწილის გამგე შემოვიდა და გამოაცხადა:

– ვისაც გინდათ მუსიკა, ბეთჰოვენთან თანაზიარობა, ადით მესამე სართულზე, კლუბში პარნასიდან ჩამოსულები გელიან.

მუსიკის შესწავლის სურვილი ნახევრის ნახევარმა გამოთქვა, მათ შორის მეც. კლუბში ორი მამაკაცი და ერთი ქალბატონი დაგვხვდა. სმენას გვისინჯავენ... რამტატ-რამტატ-რამტატ-ტა, – აკაკუნებენ მაგიდაზე რიტმულად... ორკესტრში ათამდე ბიჭი აგვიყვანეს. მე „ვალტორნას“ კლასში ჩავეწერე (ჯერ სადა ხართ, მალე კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამოვალ და დავანგრევ იქაურობას. ტაშის ცემით თითებზე ტყავი გადაგძვრებათ, ბის, ბის-ის ძახილით ხმის იოგები გეტკინებათ)...

გამოცდები დამთავრდა. უფროსებთან საუბარი მომწონს – ჩემზე მეტი იციან. პედაგოგებს ათასი შეკითხვა დავუსვი:

– რა არის „ვალტორნა“?

– ჩასაბერი საკრავი...

– ძნელია სწავლა?

– თუ მოინდომებ, ძნელი სულაც არაა.

– მალე დავიწყებთ სწავლას, მასწ?

– შემოდგომაზე...

– მასწ, ხვალვე დავიწყოთ სწავლა, არ შეიძლება?

– ჩვენი ნება რომ იყოს, დავიწყებდით.

– მასწ, ვალტორნა ყველაზე მაგარია? – ვალტორნა ორკესტრის წამყვანია, სული და გულია. ვალტორნას გარეშე კაპიკია ორკესტრის ფასი, მუსიკა უფერულდება, მოიწყენს მუსიკა... „უვალტორნოდ“ ვიოლინო გაიბუტება, მას ფლეიტაც შეუერთდება, ვიოლენჩელო იტყვის, თხა თხაზე ნაკლებიო და... ხმას არ ამოიღებს და... ჩასხდებიან ხავერდოვან ფუტლარებში. უბრძანეთ, ეჩხუბეთ, ემუდარეთ, დაუჩოქეთ. აბა, ყველამ ერთხმად მოვუხმოთ: ვალტორნა, გამო, რა?!..

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

№ 30 (294)

29-VII 4-VIII 2015

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

## არა-ჩვეულებრივი გვერდი




### დემი მურის სახლში უცნობი მამაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს

ჰოლივუდელი დემი მურის სახლში, აუზში მამაკაცის გვამი აღმოაჩინეს. ლოს ანჯელესის პოლიციის ცნობით, გარდაცვლილი 21 წლისაა.

„აუზში ნაპოვნი გარდაცვლილი ახალგაზრდა მამაკაცი, სავარაუდოდ, 18 ივლისს ამავე სახლში გამართული წვეულების ერთ-ერთი სტუმარი გახლდათ. ამ დროს არც დემი მური და არც მისი შვილები შინ არ იმყოფებოდნენ“, — ნათქვამია პოლიციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

### ლეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელი თინა კანდელაკს წარმატებებს უსურვებს

რუსული ჟურნალისტიკის ქართული წარმოშობის სახე, თინა კანდელაკი ტელეარხ „matC TV“-ის ბაზაზე შექმნილი სპორტული რედაქციის გენერალური პროდიუსერისა და გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა.

თინას ახალი სამსახური ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა, რობერტო კარლოსმა მიულოცა და განაცხადა: „მინდა, წარმატება ვუსურვო დიდ პროფესიონალ თინა კანდელაკს მისი ცხოვრების ამ ახალ გამოწვევაში. წარმატებები, თინა!“

### ბარაკ ობამას ხათრით, „სატახტო თამაშების“ პერსონაჟი აღარ „მოკვდება“

„სატახტო თამაშების“ რეჟისორმა დევიდ ნატერმა გადაწყვიტა, აშშ-ის პრეზიდენტს გული არ დასწყვიტოს და ამიტომ, ჯონ სნოუ „გააცოცხლოს“.

როგორც ამერიკული ტაბლოიდები იუწყებიან, სნოუს სიკვდილმა გული უამრავ ადამიანს, მათ შორის, ობამასაც დასწყვიტა.

ამჟამად, სერიალის გადაღებები ჩრდილოეთ ირლანდიაში მიმდინარეობს და თვითმხილველებმა ჯონ სნოუს როლის შემსრულებელი კიტ ჰარინგტონი გადასაღებ მოედანზე ნახეს. შესაბამისად, გაჩნდა ეჭვი, რომ ჯონ სნოუს „სიკვდილი“ სერიალის შემქმნელების მორიგი პიარსვლა იყო.

### 35 წლის კირილ პლეტნევმა ია ნინიძის ქალიშვილს თავი დააკარგვინა

ფესტივალ „კინოტავრზე“ 24 წლის ნინო ნინიძე და 35 წლის კირილ პლეტნევი პაპარაცებს არ ემალებოდნენ. ნინოს მეგობრის თქმით კი, წყვილი მალე დაქორწინდება.

„ნინიძე და პლეტნევი ერთმანეთს ნიკიტა მიხალკოვის წყალობით შეხვდნენ, რომელმაც უჩვეულო პროექტი — „კინომატარებელი“ შექმნა. პროექტში მიწვეულ ვარსკვლავთაგან ერთ-ერთი ია ნინიძე იყო, რომელსაც ქალიშვილიც ახლდა. პროექტში მონაწილეობას, ასევე, პლეტნევიც იღებდა“, — წერს ერთ-ერთი რუსული გამოცემა, რომელიც ნინო ნინიძის მეგობრის სიტყვებს ციტირებს: „ნინაჩკამ გადაწყვიტა, კარიერა მოეწყო და ბევრ გადაღებაში მონაწილეობდა, მაგრამ როცა პლეტნევს შეხვდა, მან თავი დააკარგვინა“.

კირილ პლეტნევისთვის ეს მესამე შვილი იქნება — წინა ქორწინებაში, მსახიობ ლიდია მილუზინასთან ორი შვილი ჰყავს.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

29-VII 4-VIII 2015 | № 30 (294)



## არა-ჩვეულებრივი გვერდი



### ყოფილი ჯარისქალი მოდელი გახდა

21 წლის შლომიტ მალკა ორი წელი ისრაელის არმიაში მსახურობდა, დემობილიზაციის შემდეგ კი, სამოდელო კარიერა დაიწყო.

„არმია ძალიან მომწონდა. პირველი ორი თვე, საერთო მომზადება გავიარე. შემდეგ, პრეს-ოფისში გადამიყვანეს — ქვეყანაში მოგზაურობა და არმიაზე სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისთვის ინფორმაციის მიწოდება, ჟურნალისტებთან ურთიერთობა მევალებოდა“, — ამბობს მალკა.

### ყველაზე მდიდარი რუსი ვარსკვლავები

ჟურნალმა „ფორბსმა“ ყველაზე მდიდარი რუსი ვარსკვლავების სია გამოაქვეყნა, რომელსაც ტრადიციულად, მარია შარაპოვა ლიდერობს — წელს მისმა შემოსავალმა 29,7 მილიონი დოლარი შეადგინა.

მეორე ადგილზე გრიგორი ლეპსია — შარშან მისი შემოსავალი 12 მილიონი დოლარი იყო, წელს კი, ეს თანხა 200 ათასით გაიზარდა.

რეიტინგში მესამე ადგილზე მომღერალი ფილიპ კირკოროვია, რომელმაც 10,4 მილიონი დოლარის შემოსავალი ნახა.

მართალია, ბოლოში, მაგრამ სიაში, ასევე, მოხვდნენ რეჟისორები — ნიკიტა მიხალკოვი და ანდრეი ზვიაგინცევი. ორივეს შემოსავალი 400-400 ათასი დოლარია.

„ფორბსის“ მონაცემებით, ვალერი მელაძის წლევანდელი შემოსავალი 4,8 მილიონი დოლარია.

### შარლიზ ტერონმა ბარაკ ობამა სტრიპტიზ-კლუბში დაპატიჟა

39 წლის ჰოლივუდელმა, შარლიზ ტერონმა ჯიმი კიმელის თოქ-შოუში ობამასთან შეხვედრა გაიხსენა.

„პრეზიდენტთან შეხვედრის დროს ძალიან ვნერვიულობდი და თავს ვერ ვაკონტროლებდი. ბარაკ ობამა კი, დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ლაპარაკობდა. საპასუხოდ რაღაც უნდა მეთქვა. მღელვარებისგან დავიბენი და პირველი, რაც აზრად მომივიდა, პრეზიდენტის სტრიპტიზ-კლუბში დაპატიჟება იყო“, — იხსენებს შარლიზი.

მისივე თქმით, 53 წლის პრეზიდენტმა ამ უჩვეულო წინადადებაზე თავაზიანი უარი უთხრა.

### ფიფა-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ქონებას ყიდის

როგორც „ასოშიეიტედ პრესი“ იუწყება, იმისათვის, რომ გირაოს თანხა გადაიხადოს, ფიფა-ს ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი საკუთარ ქონებასა და მეუღლის ძვირფასეულობას ყიდის.

გავრცელებული ინფორმაციით, ყოფილი მაღალჩინოსანი „ფერარის“, „რეინჯროვერსა“ და „მერსედესს“, ასევე, სხვადასხვა ბრენდის 11 ძვირფას საათს შეელევა.

გარდა ამისა, ის უძრავი ქონების 10 ობიექტსაც გაყიდის და მეუღლის ანგარიშიდან 401 ათას დოლარსაც გამოიტანს. იმ შემთხვევაში, თუკი საკმარისი თანხა არ შეგროვდა, უებერი გირაოში საქორწინო ბეჭდებსა და ძვირფასეულობასაც ჩადებს.

შეგახსენებთ: ფიფა-ს ყოფილ ვიცე-პრეზიდენტს პრობლემები მას შემდეგ შეექმნა, რაც კორუფციასა და თაღლითობაში დაადანაშაულეს.

### 74 წლის პელეს ზურგის ოპერაცია გაუკეთეს

ლეგენდარული ფეხბურთელი სან-პაულუს საავადმყოფოში იწვა, საიდანაც უკვე გაწერეს.

როგორც პელემ ჟურნალისტებს განუცხადა, თავს კარგად გრძნობს.

შეგახსენებთ: ეს ფეხბურთელისთვის რიგით მეორე ოპერაცია იყო, პირველად მან კუჭის ოპერაცია გაიკეთა.

# შეჩერებული წამი



ზურა მეგრელიშვილის ფოტო

## ჯანსუღის სიცილნათელები

**იმედი**

არაფერი მაქვს, გარდა კალმისა,
გარდა რვეულის,
აღარც იმედი არ მაქვს არაფრის,
დავდივარ ასე გადარეული.

**ერთ „ნაციონალს“!**

ემოციურად
ამაღლებულო,
ვის გამოწერილ
წამალს ღებულობ?

**ყაჩაღობ?**

კაკო ყაჩაღივით ყაჩაღობ
და შენ გგონია, ხარ კარგად?
ცხვირი სხვის საქმეში არ ჩაყო,
რაც გაქვს, იმასაც დაკარგავ!

**შეკრული**

ვინც კუჭშია შეკრული,
ის კაცია ბედკრული,
მიშა ბედნიერია,
„კა-გე-ბე“-სთან შეკრული.

**თავისუფლება**

თავისუფალია პრესა,
თავისუფალია კაცი,
როცა ძალიან ბევრს სვამ,
შენ ხარ ძალიან მკაცრი.

**წავიდაა..**

გადიარეს მთა და ველი,
ყველა, ყველა წავიდა,
აღარაფერს აღარ ველი,
ჩემი ათი წამლიდან.




დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024

მთავარი რედაქტორი: ჯანსუღ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90
E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით